

1952

მამული



კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა

მარტი, 1952 წ.

Buenos Aires, MARZO, 1952 Nr. 5.

რვეული მეხუთე

TARIFA REDUCIDA
Concesión Nr. 4564
S. cursal 31. (B)


MAMULI - "La Patria"
Revista GEORGIANA de HISTORIA y LITERATURA
Director Dr. VICTOR NOSADSE
Calle Blanco Encalada 5196, BUENOS AIRES.

Reg. Nac. de la Propiedad
Intelectual Nr. 352438

INTENSO RITMO INDUSTRIAL EN TODO EL PAIS

El Justicialismo realizó la independencia económica del país basamentándola sólidamente sobre una sana riqueza agropecuaria y sobre un elevado nivel de industrialización. En el breve término de cinco años la Argentina, sin descuidar el florecimiento de sus dos riquezas básicas, la agricultura y la ganadería, pasó a ocupar un lugar de privilegio entre las naciones con una industria pujante y progresista. La industria argentina es hoy motivo de orgullo nacional, tanto por la calidad de sus productos como por su alto índice de rendimiento, que le ha permitido cubrir las necesidades del mercado interno y satisfacer apreciables demandas del exterior.

F 7015



არგენტინის კიუნაა: — უბირატესობა ზავშებს!
აქ არის ქ-ნ ევა პერონის მიერ აგებული ზავშთა ქალაქი!

Las estadísticas de los organismos técnicos de las Naciones Unidas, asigna al país un incremento industrial, con respecto a 1937, del 73%. Es decir, uno de los más altos registrados en el mundo. Para llegar a ocupar nuestra industria ese lugar de privilegio, el gobierno justicialista ha impulsado en el último quinquenio una política industrializadora de extraordinarias proyecciones. El Banco de Crédito Industrial, creado especialmente para tal finalidad realizó en cinco años 56,800 operaciones por un valor de 11,800 millones de pesos. El monto de los préstamos, que fué en 1946 de 4.414,00 pesos, ascendió en 1950 a 105 millones. No quedó en ningún rincón del territorio nacional una actividad industrial nueva o ya establecida que demostrara su calidad de útil y provechosa que no recibiera el estímulo crediticio oficial.


Con la ayuda financiera del gobier

no justicialista, la iniciativa privada que antes no habían sido intentadas en el país, se creó en pocos años en todos los argentinos una verdadera conciencia industrial y una confianza en la capacidad, la iniciativa y el espíritu de empresa de nuestros técnicos y nuestros obreros. Solamente en 1950 fueron solicitadas 5,795 patentes de invención y 13,518 marcas de fábrica, es decir, las cifras más altas registradas en el país en un año. Bajo el impulso y el estímulo dados por el justicialismo a la actividad industrial, explotaciones y empresas que antes se consideraron aventuradas o azorosas, dieron brillantes resultados, como en el caso de la industria minera.

Así en sólo cinco años Argentina ha ido elevando y diversificando su mercado interno, independizándose ca

da vez más del extranjero en lo relativo a la importación de numerosos productos, y poniéndose cada vez más a cubierto de los altibajos del mercado internacional. En la actualidad la industria nacional trabaja a plena capacidad y el nivel de ocupación de obreros es uno de los más altos del mundo, como lo documentan las estadísticas internacionales: EN LA ARGENTINA NO HAY DESOCUPADOS.

De tal modo, pujante y floreciente, la industrialización del país contribuyó a consolidar la potencialidad general da nuestra economía. Sobre la industria nacional, coordinada con el estímulo a las riquezas agropecuarias, la Argentina justicialista edifica su situación de bienestar y de disfrute de la justicia social.



სამწუხაროდ დიდი იმედების გაცრუების გამო ქართული ემიგრაციის ძალები შიშმა და უიმედობამ მოიცვა, რაც შემდეგ პასივობამა და გულგრილობამ შესცვალა.

ამ ბოლო დროს კი ამერიკულის ააქციამ ეს სურათი ერთბაშად შეცვალა. — მიძინებული ძალები იღვიძებენ; სულ მოკლე დროში არაერთი უურნალ-გაზეთი მოგვევლინა, ზოგი დაბეჭდილი, ზოგიც ხელნაწერი; აქ ყველა ცდილობს თავისი პოზიცია უცთომელად და ღრმა პატრიოტულად მოგვაჩვენოს და სხვათა კი — მოუფიქრებლად და მოღალატურადაც კი. ქართული ემიგრაცია თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდა და ახმაურდა: გაზეთები, კრებები, კომისიები, დელეგატები... ეს გამოცოცხლება უეჭველად საჭირო და საშურიც იყო. დავიგვიანეთ კიდევ.

ამ დროში, როდესაც არა თუ პატარა ერთა, არამედ დიდ სახელმწიფოთა ბედი შეიძლება სამუდამოდ გაიჭედოს, საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, მტკიცე დარწმუნება და სათანადო კავშირთა გაბმვა. აჩქარება, მოუფიქრებლობა, გრძნობათა აყოლა შეიძლება საშვილიშვილოდ სანანიებელად გაუხდეს ერს.

ამ დროს, როგორც ეროვნულ სა მღრთო ომის უამს, ხალხს უნდა უძღოდეს მხოლოდ ერთი, ავტორიტეტით მოსილი, გამოცდილ და მცოდნე პირთაგან შემდგარი შტაბი. მას უნდა ეციხებოდეს და მისგან უნდა გამომდინარეობდეს სახელმძღვანელო აზრი მთავარ საკითხებში. მხოლოდ მაშინ ექმნება წონა ყოველ ჩვენ დელეგაციას, განცხადებას, მოხსენებას, თხოვნას და საერთოდ ყოველგვარ ნაბიჯს... მაშინ არა თუ სხვა და სხვა ერთა ემიგრანტები გაგვიწვედნენ სათანადო ანგარიშს, არამედ დიდი სახელმწიფოები და მათი დაწესებულებანი უფრო მტკიცე ყურადღებით მოგვექცეოდნენ და ასეთ ეროვნულ შტაბთან შეთანხმებას სავალდებულო ფასს დასდებდნენ.

აი, საით უნდა მიმართულიყო ჩვენი „გამოცოცხლება“ და ბეჭდვითი სიტყვის გამომცემლობაც.

სამწუხაროდ, ეს ასე არა ხდება და ეს არის ჩვენი ემიგრაციის დიდი ცოდვა; ჩვენ ამისათვის ერისა და ისტორიის წინაშე პასუხს გვაგებინებენ. — ამბობენ, თითქო ჩვენი საქმიანობა ორ ბანაკად დაყოფილიყოს; სინამდვილეში უარესს ვხედავთ; ჩვენ არავის ვასახელებთ, მაგრამ თუ დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ყოველი გაზეთი და უფრო მეტიც, ყოველი დამწერი, თუ მიმომხილველი დიდის ამბიციებით ვკვეთინება, თავი უცთომელად მოაქვს და ვიღაცას და რატომღაც გააფთრებით უტევს და „მოღალატის“ სახელით ამკობს; ერის ნამდვილ ჭიჩის უფალად მხოლოდ თავისი თავი მოაქვს და არავის და არაფერს არავითარ ანგარიშს არ უწევს... მოკლედ — სრული დაშლა და უღისციბლინობა, რაც უკვე პოლიტიკურ უსუსურობაზე უარესია.

სად მივყვართ ამას? რასაკვირველია, ასეთ ემიგრაციას არც შინაური და, რაც მთავარია, არც ერთი სერიოზული და გარეშე ძალთა წარმომადგენელი ანგარიშს არ გაუწევს და ლაპარაკსაც არ დაუწყებს... ის ხელს ჩაიქნევს და საქართველოს შესახებ მისთვის საჭირო მასალას სულ სხვა წყაროებიდან ამოჰკრებს; სულსხვა ვინმეს, ხშირად ჩვენდამი მტრულად განწყობილს, გამოჰკითხავს და მათ ცნობებზე დამყარებულ მოხსენებას ვისაც ჯერ არს წარუდგენს... და ეს „საბუთები“ ივლიან კანცელარიებში, კომისიებში, და ერთ მშვენიერ დღეს ფაქტებს შეჰქმნიან, რისი შერყევა და გადაბრუნება უკვე ჩვენს ძალებს აღარ შეეძლება. შემდეგ კი მოვეყვებით გმობასა — არა მე ვიყავ სწორი და შენ კი დავგდებო! ... მაგრამ „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის“... და ქვეყანას კი ცუდს დავატენთ თავზე. — გვეტყვიან: ახ, ეს ხომ ჩვენაც ვიცითო! ვიცით, ბატონო ჩვენო, თქვენ ყველაფერი და ყველაზე მეტი იცით! მაგრამ მაგარი ის არის, რომ სადაც საჭიროა, იქ ეს თქვენი „ცოდნა“ ვიწყდებათ... — საქმეს რით მოვევლება, ის ვვითხარითო, — ამასაც გვეტყვიან...

აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენზე ნაკლებ არც თქვენ გესმით, გავგებობათ მისი წამლისა: კარგად იცით, რომ ერთობა მხლავი უნდა უღლებინო იქმნას, ავტორიტეტული ცენტრალი ორგანო, „მთავარი შტაბი“ უნდა დაარსდეს და ჩვენ ყველანი მის განკარგულებაში უნდა

მოქანცული ვარ უმაღლო შრომით ამ სიზმარ-ცხადში ვვლარ ვერკვივი, თუმც დადნა გული ამდენი მძიმე ოცნების ბუქში მანც ვხვდები

საქართველოდან რა დამრჩენია: — ლოცვებით სავსე დედის ბარათი, და ეს ღარაჯი, შრომის გენია დაულალავი კედლის საათი

ისართა წინსვლას სიღინჯი შიენის. მათ მოძრაობას ფიქრიც თან დაჰყავს და გული მისგან სასწაულს ელის, როცა საათი თორმეტჯერ დაჰკრავს.

ეხლაც მგონია: დარეკავს ზარი, უცებ იშუქებს საათის ფონი, მიძიმედ გაიწვივს იმისი კარი — გამობრძანდება ნაპოლეონი

შფოთავი სული საფლაფში. არ ძლებს და ეჭიდება თვის ბედს ძალადა, უხმობს გვარდიას, თვის ერთგულ მარშლებს...

— ასე მეტყველებს მასზე ბალადა.

ჩვენც ხომ ამოგვწვა ცრემლებმა თვალი, ბედი და წლები გვცემდნენ მწყრალადა? ძველ დევნას სცვლიდა ლტოლვა ახალი. მაგრამ ვის უთხზავს ჩვენზე ბალადა?

მინდა ეს წყრომა ვკადრო კორსიკელს, თორმეტ საათზედ, პაემანის დროს, და მრწამს, — გვიბოძებს ის ისეთ სიგელს, რომ ჩვენი ტანჯვა ქვეყანამ იგრძნოს

და ჰა, ჩამოჰკრავს 12ჯერ ზარი, მიძიმედ გაიწვივს საათის კარი, გამოვა რკინის პერანგში მვდარი, მუზარადითა ქართული ჯარი.

მას წინ მიუძღვის მეფე - მხედარი, აღუმართნია ძალუმი მკლავი, მოსჩქეფს კისრიდან სისხლისა ღვარი და ხელს უპყრია თავისი თავი.

მოკვეთილ თავის უთქმელ ბრძანებას მორჩილებს უხმოდ მხედრობის გული, ყოველი იქეთ მიმართავს ნებას. სითაც ანიშნებს „თავდადებული“.

მონანიებით მოვიყრი მუხლებს, მსურს, რომ ვადილო ეს წამებული,

დავდგეთ. მთელ ქვეყანას უნდა ვამცნოთ, რომ ამ შტაბს ერის სახელით შეუძლია ლაპარაკი და მისი თამაშუქები ყველა ქართველისათვის სავალდებულოა.

ამ დიდ ჭიდილში ჩვენ ხომ მაინც არას გვკითხავენო!, ამბობენ. მით უარესი... მაშ უნდა დავხსნეთ და ვუტყალოთ — როგორ განვითარდებიან მოვლენანი, საით გაგვრჩევან დიდი ძალები? უნდა ფაქტობრივად გავხსნათ? ეს ხომ უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე!

მართალია, დიდ საქვეყნო რასმეს არ შეგვეკითხებინან, მაგრამ ჩვენს საკუთარ მომავალზე და მის მოგვარებაზე იქნებ გვკითხონ რამე; და თუ თვითონ არა გვკითხავენ, უნდა ვაძიოთ, რათა ჩვენაც გვკითხონ.

დღეს ყოველ ქართველს თავისი ქვეყნის ბედი აფიქრებს: — რა მოხდება, თუ ახალი ომი ასტყდა? რა მოვლის ჩვენს მამულს? რა? სირაქლემის პოლიტიკა რაში გამოგვადგება, როცა უცხოეთის პრესა მომავალი ომის დროს მთავარ ასპარეზად ჩვენს სამშობლოს ასახელებს! ჩვენი ქვეყნის მდებარეობა — გეოგრაფიული და სტრატეგიული; ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, განსაკუთრებით ნავთისა და მისი გზების უდიდესი მნიშვნელობა... აი რა იპყრობს ორივე მოპირდაპირის მთავარ ყურადღებას და რის გამო შესაძლოა ჩვენს მიწაზე საშინელება დატრიალდეს. საამისო გეგმები ორივე მხარეს უჭველად მზადა აქვს, მაგრამ ჩვენ ამას ვინ გვაცნობებს... ჩვენ შეიძლება გავხსნათ „ობაექტი“, „ასპარეზი“ და სწორედ იმდენი ანგარიში გავვიწიონ, რამდენსაც დღეს კორეის ხალხს უწევინ.

ცნობილია, ჩვენს საზღვრებთან რუსებმა უამრავ ჯარს მოუყარეს თავი; მეორე მხრიდან თურქეთი, ამერიკის თანამედროვე საქურველით ასხმული და მოკაშმული, დადის ძალებით სდგას. რა მოგველის ჩვენ? —

განა ამ დროს არ უნდა გეგავდეს ნომინალურად მაინც „პატრონი“, რომელიც ქართველობის ფიზიკურ გ-დარჩენაზე იფიქრებს და იზრუნებს, საქვეყნოდ ხმას ამოიღებს და ყველას ჩვენ სამართლიან საქმეს მოაგონებს? თუ უნდა უხმოდ გაიუღიროს ქართველობა სხვა და სხვა სახის სახედრო ცდისათვის! ჩვენ არ ვიცით, როდის და რით ვათავდება ორთა ჭიდილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ერთ ამ ამბებს არ უნდა შეეწიროს, არ უნდა დაიღუპოს. ჩვენ ისიც ვიცით — რას გვიპირებს წითელი რუსეთი, ჩვენ ეს ბევრჯერ ვიწვინეთ: მას სურს მისი ბატონობა, ბოლშევიკური რეჟიმი გადაარჩინოს, თუნდაც ამისათვის ერთიანად გავწყდეთ მაგრამ ჩვენ არ ვიცით — რას ფიქრობს ჩვენს შესახებ ჩვენი მეორე მეზობელი — თურქეთი, რას ჰირდება იგი ამერიკას, ინგლისს და სხვებს ჩვენს შესახებ; რას გვიპირებს იგი, თუ მას ამერიკის დახმარებით გამარჯვება დარჩა...

ეს ჩვენმა ეროვნულმა შტაბმა უნდა იცოდეს და უფრო მეტიც მერმე ხალხის ასეთი „შტაბი“? შეგვიძლია ჩვენ ასე სახელდახელოდ მისი შექმნა? ეხლა, ამ ცივი და ცხელი ომების ხანაში, განა ჩვენ დაუსრულებელ კარებებისა და კომისიების დრო გვაქვს? და მისი შედგენის ცდაც ხომ საშინელ არეგულარებას გამოიწვევდა ჩვენს რიგებში! ჩვენ კი ვვინდა სასწრაფო მოქმედებისათვის ავტორიტეტული ორგანო, რომელსაც ამერიკისა და ევროპის ქვეყნებთან ქართველი ერის სახელით შეეძლოს ლაპარაკი

და განა ამისთანა ორგანო ქართველ ერს დღეს არა ჰყავს?, ორგანო, არჩეული საქართველოს სუვერენული ნებით და მის მიერ ერის უფლების დასაცავად უცხოეთში წარმოგზავნილი? ეს ორგანო ხომ თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერაა ნაცნობი და ამ ში წლის მანძილზე მთელი ემიგრაციაც ხომ მასთან თანამშრომლობდა. მართალია, ხშირად ოპოზიციაც ძლიერდებოდა, მაგრამ ის საქმიანობას არა სცილდებოდა და არავის იგი არ უარუყვია. ამ ორგანოს, იურიდიულ და ისტორიულ უფლებათა გარდა, კიდევ ზანგრძლივი გამოცდილება და ავტორიტეტიც მოსახს.

თუ მას ნაკი აქვს, დავებმართო, გავუსწოროთ, დავათმობინოთ. აი, აქ უნდა მოვეყაროთ თავი და გარედქვეყანას ვამცნოთ: რასაკვირველია: ჩვენა გვყავს წინამძღოლი: მს პარის სამართლებლო სკოლის დირექტორი და მისი მთავრობა! გთხოვთ მას შეუთანხმდეთ, ჩვენ ყველა მათ უკან ვდგავართ, მათ მხარს ვუჭერთ.

გვეტყვიან: მთავრობის ესა თუ ის წევრი მიუღებელია, ხოლო მათ გარეშეც მოიპოვებინან გამოცდილი და სასარგებლო პირები. ჩვენ ამის

ვთხოვო: წარგვიძღვეს ყველა ლტოლვილებს მეფე დიმიტრი თავდადებული. ვითხოვ — შეგვიწოდოს სულმოკლეობა,

საყვედურები, გამოხის წამები — იქ რაგვარ ითქმის ჩვენი მხნეობა, სადაც სდგას გმირთა აკალდამები.

სდუმან იმის წინ ჩემი წლებია, ვრჩები უღირსი მის სისხლის წვეთის ვისაც არასდროს არ შინებია სამშობლოსათვის თავის მოკვითის...

მოჭრილმა თავმა პირი იბრუნა, ლმობიერებით დიდ ხანს მიყურა, თითქოს ლტოლვილის ბედზეც იზრუნა და ორი წვეთი სისხლი მიპყურა.

გაჰყვა გზას მეფე დაფიქრებული, თან წარიყვანა ქართველთა ჯარები, გამომეთხოვა დამშვიდებული, რომ ვიქმენ მისგან ნაზიარები ...

ქებიური სან ფრანსისკო.

სოფლელი ბიჭის სიმღერა (ხალხური მოტივი)

ენა გამშრალსა მწყუროდა, წყარო დამახვდა წინაო, დავლიე ცივი ანკარა, მივწექ და მიმეძინაო.

გამომადვიდა ნიავმა, სამხრობა წამოსულიყო, მზე მცხუნვარე და ცხრათვალა ქედს იქით გადასულიყო.

გრძელ ახოსაკენ გავხედე, სადაც მარგალიდენ ყანასა, — ვხედავ: სამხარი კალათით მიშქონდა კოკობ — ტანასა.

შო, გოგოვ მოდი, ჭირიმე, დოქით შემასვი ღვინოო, სასუფეველი რად მინდა. შენთან რომ დამაძინოვო!

სეფისკვერების მკერდი გაქვს, ლოყები წითელ ვაშლაო, გიშრის ნაწნავი ყელს გხვია, — იმისი მინდა დაშლაო!

ხავერდის კაბებს ჩავაცმევ, საცვლებათ ფარჩას ქვედასა, — ერთი ალალი ბიჭი ვარ, მოდი, გაფიცებ დედასა!

შესახებ დავა უდროულად მიგვაჩინა; უცოდველი, რა თქმა უნდა, არავინ არაა, მაგრამ მთავრობა — ეს არის მზა აპარატი; პრეზიდენტი — ის ავტორიტეტი, რომელსაც უდავოდ მეტი წონა და გავლენა აქვს, ვიდრე რომელსამე კერძო პიროვნებას. სხვანი აქ; ემიგრაციაში აღგენენ მთავრობას, ჩვენი კი საქართველოდან მოდის.

ცოდვა გატეხილი სჯობს: ჩვენ დიდი მომზადების, გამოცდილების და ტაქტის პირები ცოტა გავვაჩინა; ვინც არის, მათ ეხლავ გამოყენება უნდა; ისინი უნდა ამოუდგენ გვერდში საქართველოს პრეზიდენტს და მაშინ მთავრობის წონა ერთი-ორად იმატებს. იქნებ ჩვენი საქმისათვის აჯობოს, რომ პირადად საქართველოს პრეზიდენტმა აიღოს თავის თავზე ასეთ პირთა მიწვევა. მთავარია, რომ ეს გამოდიოდეს საქართველოს კანონიერი მთავრობის ან მისი პრეზიდენტის სახელით. აი, ვის გაუწევინ მეტ ანგარიშს გარეშე ძალები!

თუ ასეა, მაშ რისი მაქნისია ეს ყრილობები და ნაციონალური ცენტრები? — გვეტყვის მკითხველი. ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი მხოლოდ სათათბირო, მრჩეველი ორგანო უნდა იყოს და მისი დანიშნულება საქმიანსა და დარბაისლური კრიტიკის საზღვრებს არ უნდა სცილდებოდეს.

დღეს მოქმედების ხანა იწყება და მოქმედება კი მხოლოდ პატარა, მაგრამ დიდი წონის მქონე აპარატს შეუძლია. რაც უნდა დისციპლინის და ცოდნის ხალხი ვიყოთ, მაინც ვერ შეგქმნილით სახელდახელოდ ისეთ შტაბს, რომელსაც საქართველო იცნობდეს და საერთაშორისო დიპლომატია ოდნავ წონას მაინც მაინც მუხნობდეს. ამას ისტორია სჭირდება და დრო... საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ასეთი ისტორიული სანამდვილე, რომელსაც გაუშინ იცნობდნენ და ერის საქმეზე ელაპარაკებოდნენ. აი, ეს არის მთავრობა; ესაა ჩვენი პრეზიდენტი. აი, ეს პირები უნდა გავამაგროთ გვერდით ამოვუდგეთ და ქვეყანას მისი წარსული გავუცოცხლოთ.

მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას აზრადაც კი არ უნდა მოხდოდეს — ისარგებლოს ამ თავისი მონოპოლური მდგომარეობით და ბოროტად მოიხმაროს თავისი ავტორიტეტი და ჩვენი ნდობა. ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ამ ჰი წლის მანძილზე, მან სმენა უნდა გაიმახვილოს, დიდი მოქნილობა, გასაოცარი მოთმინება და ობიექტივობა გამოიჩინოს, ყველას ფართო კრიტიკის გზები გაუხსნას. ყოველი ძალა, რაც გინდა მიმართულებისა და წონის არ იყოს, უნდა იქმნას დაახლოებული, მოსმენილი და გამოყენებული.

დრო არ ითმენს: ყოველ დღეს შეუძლია მოგვიტანოს დიდი მოვლენა, დასვას დიდი კითხვა, რომელსაც მუხსზე პასუხი უნდა გაეცეს. აქ მერყეობა და შინაური ფრონტების გაშლა უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე. საჭიროა შიგნით საქმიანი კრიტიკა და გარედ მტკიცე ერთობის გამოჩენა. ამას მოითხოვს ჩვენი მამული.

მიმართვა

ეროვნულ საბჭოს, პარიზში

ქართულ ემიგრაციაში ყველას მოეხსენება, თუ ვინ ბრძანდებოდა განსვენებული გრიგოლ ფერაძე.

ერთად - ერთი ქართველი დოკტორი თეოლოგოსი, პროფესორი პატროლოგოსის ვარშავის უნივერსიტეტში და არხიმანდრიტი მართლმადიდებელი ეკლესიისა.

მაგრამ ამას გარდა იგი ცნობილი იყო აგრეთვე ვით მკვლევარი ქართული ისტორიისა და მწერლობის დარგიდან.

განსვენებული გრიგოლ ფერაძე პიროვნულად იყო უმწიკვლო ადამიანი, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმად მორწმუნე::: და მან იხილა

მოწამებრივი სიკვდილი.

ქართველობისათვის ეს დიდი პიროვნება ვარშავაში დაატუსაღა გეტაპომ, გააგზავნა კონცენტრაციულ ბანაკში, სადაც იგი დაიღუპა. დაჭერისას იგი, რასაკვირველია, გაჩხრიკეს და მისი ქონება წაიღეს.

განსვენებულ არქიმანდრიტ - პროფესორ ფერაძეს ჰქონდა უძვირფასესი მეცნიერული წიგნთსაცავი, მაგრამ ამას გარდა მას ჰქონდა ისეთი საგნებიც, რომელი საქართველომთავის დიდად მნიშვნელოვანი იყო. —

ყველამ იცის, მან ახლო აღმოსავლეთში იმოგზაურა და თან მოიტანა ტყავზე ხელნაწერები, ქართული პალიმფსესტები; ერთი ეტრატე წარმოადგენდა მეხუთე თუ მეშვიდე საუკუნის ქართულ ისტორიულ სა-

აღარ მოვიდა, წავიდა; ერთხელ მესროლა თვალი, ტანს ურუანტელი მომედო, ამებნა გზა და კვალი...

იქვე ვერხვის ქვეშ მივწვიქი... ზევით მარგლიდენ ყანასა, სახვე კალათი მიჭქონდა გულის მკვლელ კოკობ - ტანასა.

გიორგი გამყრელიძე



დოკტორი თეოლოგოსისა, პროფესორი ვარშავის უნივერსიტეტისა

არქიმანდრიტი

მართლმადიდებელი ეკლესიისა

გრიგოლ ფერაძე

გრიგოლ ფერაძე

ბუთს, რომელსაც იგი თავზე ევლებოდა და მოწიწებით ემთხვეოდა ხელში, — და იტყოდა: ხელთ ჩამივარდა ყველაზე უძველესი ქართული საბუთიო. ამას გარდა მას ჰქონდა (არ მახსოვს რომელი საუკუნისა) ძვირფასი ქართული გარდამოხსნა, რომელში ათასობით ოქროს აძლევდნენ, მაგრამ არა ჰყიდა — საქართველოს მუზეუმს უნდა მივართვაო!

მას ჰქონდა დაწერილი დიდი გამოკვლევა იოანე ბატონიშვილისა და იოანე ხელაშვილის შესახებ. მისი ხელნაწერი დაახლოებით სამას ფურცელს შეიცავდა.

მას ჰქონდა აგრეთვე ბიბლიის ნაწილთა ებრაული ენიდან ახალი თარგმანები და სხვა კერძო მეცნიერულ საკითხებზე ნარკვევნი (ესსეის).

ამას გარდა მას ჰქონდა საკუთარი რელიგიური ხასიათის ლექსები, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმე დაგბეჭდვად კრებულში: „ქართლოსი“.

ამას გარდა გაჰქრა მისი მნიშვნელოვანი „დღიური“, რომელიც ხელთა ჰქონდა „კავკასიურ ფერტრაუენ-შტელეს“ „ლაიტერს“ დრ. აქიმ გრიგოლ აღშიზიას; ეს უკანასკნელი ამ „დღიურს“ დაატარებდა, გესტაპოს დავალებით გადასათარგმნელად და ამისათვის არა ერთს მიმართა, ოღონდ მის თარგმანზე უარი განაცხადეს ჩვენმა მოღვაწეებმა, როგორც მაგალითად, განსვენებულმა ყოფილმა ელჩმა ბერლინში დრ. ვლადიმერ ასმეტელმა, პროფესორ დრ. მიხეილ წერეთელმა, გრიგოლ დრასამიძემ, დიმიტრი ანანიაშვილმა და სხვ. აღარაფერს ვამბობ მისი ბიბლიოთეკის შესახებ, რომელსაც იგი ლუკმა-ბურის მოკლებით დიდი ზრუნვით იძენდა და ქართულ უნივერსიტეტს უმზადებდა, ხოლო მისი ოცნება იყო სწორედ ამ უნივერსიტეტში პროფესორობა.

დაბეჭდვების შედეგად და გესტაპოს ულმოზელობით ეს ჩვენთვის დიდი კაცი დაიღუპა და მასთან ერთად გაჰქრა მისი ქონებაც. გადარჩენილი ძვირე და უმნიშვნელო ნაწილი წიგნთა, რომელიც ბ. თენგიზ დადგეჟელიანმა კეთილის ნებით, ვარშავიდან ქართულ ეკლესიას პარიზში მიუტანა, იყო მხოლოდ უბადრუკი ნაშთი გრიგოლ ფერაძის ძვირფასი ბიბლიოთეკისა! ამ უბრალო წიგნთა გარდა, მთელი ქონება უდროოდ და უსამართლოდ დაღუპული ქართველი მეცნიერისა უკვალოდ გაჰქრა.

ბერლინში ყოფნისას (1944 წელს) რამდენი არ გეცადეთ, მაგრამ ამ ქონების კვალსაც კი ვერ მივაგენით, და ბ. მიხეილ კედიას დახმარებამაც კი ნაყოფი ვერ გამოიღო.

განსვენებულ ისიდორე მანწკავას რომელიღაც დაწესებულებაში უთხრეს — გრიგოლ ფერაძის ქონება პრაგის ბიბლიოთეკაშია. ისიდორე მანწკავა წავიდა პრაგას, დაჰყო იქ სამი დღე, შემოიარა ყველა ბიბლიოთეკა და ვერსად იგი ვერ აღმოაჩინა.

თუ განსვენებული ფერაძის ეს ძვირფასი ქონება ვინმემ არ მიითვისა და კერძოდ არ წაიღო, ყოვლად შეუძლებელია, გესტაპოს იგი დაეკარგა. ამიტომ საჭიროა და სავალდებულოც მისი მოძებნა.

ვგონებ, ქართულ ეროვნულ საბჭოს, პარიზში, უფლებაც აქვს და

მოვალეობადაც ეკისრება ამ მიმართულებით ნაბიჯი გადასდგას.

უმორჩილესად ვთხოვ ქართულ საბჭოს, პარიზში, კეთილ ნებოს და აღნიშნული მიზნით თავი დაივალდებულოს: — მიმართოს დასავლეთი გერმანიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით: — რათა მან ინებოს და პროფესორ დოქტორ გრიგოლ ფერაძის ქონების ძებნას შეუდგეს, მას უნდა მოსხენდეს, რომ პალიმფსესტები, გარდამოხსნა, ხელნაწერები და ბიბლიოთეკა ქართველი ერისათვის დიდსა და დაუფასებელ ვანძს წარმოადგენს და გერმანიის მთავრობა ღვაწლს ნუ დაიშურებს, უდანაშაულოდ დაღუპული ქართველი მეცნიერის ქონება ქართველ ერს მოუპოვოს და დაუბრუნოს.

პატივისცემით ვ. ნოზაძე

ბუენოს აირეს. იანვარი, 1952 წ.

ჩემი მილოცვა

პირველად ყოვლისა მხურვალე გრძობით მივესალმები და ვულოცავ ახალ, 1952 წელს ჩემს სამშობლოს! შემდეგ კი მის ტურფა მკერდს მოწყვეტილ შვილებს, რომელნიც მათა უნებურად უცხო ქვეყნებში გაიზოხნენ; მართალია, ისინი მას ფიზიკურად მოშორდნენ, მოსწყდნენ თავის მიწა - წყალს და თავის კერას, მაგრამ სულიერად კვლავ მიჯაჭვული არიან სამშობლოს ბუმბერაზ ქედებს, მის მდინარეთა ჩქერებს და გონების თვლით მაინც ჭკრეტენ მის ლაჟვარდოვან ცის გუმბათს. მანძილის ვერავითარმა სიშორემ, ვერც განვლილმა დრომ ვერ შესძლო და ვერ შეახელა ერთხელ ანთებული ცეცხლი სიყვარულისა და წელს კვლავ ვიმეორებ: კარგა ხანია მოვსწყდით ახლობელთ და ნათესავთ, — ცა - ფირუზ - ხმელეთ - ზურმუხტ ჩვენს სამშობლო მხარეს, მაგრამ მისდამი ტრფობა ჩვენს გულში ახალგაზრდა ცხოველ კვირტებს ისხამს და მათდამი სიყვარული უფრო და უფრო ძლიერად იფურჩქნება.

მართალია, ერთი ნაწილი ჩვენი თაობისა მრუდე გზით მიაბიჯებს, შეცდომით, მაგრამ ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ჭეშმარიტება მალე გამოიარჯვებს, სინათლე ბნელეთს გააშუქებს, წყვილიაღში მოსიარულე ჩვენი ახალგაზრდობა სინათლის შუქზე უსათუოდ სწორ გზას შეამჩნევს და

ჩვენთან ერთად ივლის იმ სწორის, ქრისტიანული გზით, რომელსაც ქართველი ერის სულიერი მისწრაფების გზა ეწოდება.

გილოცავთ რა ამ 1952 წელს, გისურვებთ, რომ ეს ახალი წელი ყოფილიყოს ჩვენთვის ის სასაბურთელი და საყვარელი ყამი, რომლის ნამდვილ გაზაფხულის სურნელებას შეეძლოს დაეტკბოს ის ჩვენი სურვილები და სიყვარული, რომელსაც ყველა ჩვენგანი ესოდენ ვედრების ხატვრით და მოთმინებით ვუცდით და ველოდებით...

სანდრო ნებლო

პოლიგუდი, კალიფორნია.

დღესაც მომხმის

დღესაც მომემის დედის ხმა ტკბილი, მისი ნუგეში: „შვილო ნუ სტირი, ვინც სახლში დარჩა — რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?“. მახსოვს — ჩამომყვა ბათუმში მამა, გზა დამილოცა, გემს მიმბარა, გემის საყვირმა დაჰკრა ნალარა და მამა-შვილი სწრაფად გაგყარა. დრო გადავიდა. დამთავრდა სწავლა, მორცხვად ამოჰყო უღვაშმაც თავი, ნატვრად გადმეცა ძაშულში ვავლა, — სხვა მხრით ძაქროლებს ცხოვრების ნაეი.


კვლავ გაირბინეს. ათეულ წლებმა, თმების გიშერში ჩაღდა ჭალარა, დროა მიგლოგონ ჩემმა მშობლებმა — მათ ვერ ვიხილავ ვერა, ველარა! მხოლოდ სიზმრებში თუ მევლინება კოლხ-იბერეთის მთა და ველები, გაჩნდება მამაც, მოდის და თითქოს გამოუწყვდია ჩემკენ ხელები...

და კვლავად ჰქრება! მამის აჩრდილო, რად მტოვებ, მისდევ ტალღათა სხმასა;

ზღვა მიგაცურვებს, ჩემკენ გეძახი, მაგრამ შენ სდუმხარ, არა მცემ ხმასა. მამავ, ხომ გახსოვს — არ მეშვებოდი, ბათუმს ჩამყევი სამუდაროდა, თითქოს იცოდო, — რომ ჩვენ ერთმანეთს

ვეთხოვებოდით სამუდამოდა. დედის ტკბილი ხმა კი დღესაც მესმის — ეხლაც მას მტყვის: „შვილო, ნუ სტირი, ვინც სახლში დარჩა — რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?“.“

ს. ტრედიელი



რუსეთის იმპერიის ლტოლვას კავკასიის და ზღვების დაქვეითების და ამ გზით სამხრეთით და აღმოსავლეთით მტკიცედ დამკვიდრებას წინ ელოდებოდა კავკასიის უძველესი სახელმწიფო — საქართველო.

ეს ქვეყანა რუსეთს მოხერხებით, თუ ძალით უსათუოდ ეს ქვეყანა რუსეთს მოხერხებით, თუ ძალით უსათუოდ რება სწადდა. საქმეს ადვილებდა ის გარემოება, რომ ივერია უძველესი საქრისტიანო ქვეყანა იყო, — ჰუმანიტარ კულტურასთან ნაზიარევი, მაჰმადიან მეზობელ სახელმწიფოთაგან უაღრესად შევიწროვებული და თავდაცვისათვის დაუსრულებელ ბრძოლებით მოღლილი.

მეორეს მხრივ საქართველო ის აღარ იყო, რაც წინად, ალექსანდრე მეფის დრომდე — მთლიანი და ძლიერი.

ამიტომ რუსეთის ამოცანა გადავიღებული შეიქმნა ის ჯერ ქართლ - კახეთზე წამოვიდა ჯვრებით და ხატებით, ვით ერთ-მორწმუნე და მფარველი, და მეფეს დარიალის კარები გაახსენებინა; ამის შემდეგ უკვე ადვილი იყო ამ სამეფოს სრულად გაუქმება და რუსეთის პროვინციად გამოცხადება.

ამ ამბებისა და ტკივილების აღწერას ჩვენ ეხლა არ შევუდგებით.

ჩვენი მიზანი იყო ამ ამბებიდან გამოგვეყო და ცალკე შეგვესწავლა ის წინააღმდეგობა და ბრძოლა, რაიც ქართველობამ (ქართლ - კახეთისა) გაუწია რუსეთს მას შემდეგ, რაც იმპერიის ზრახვანი მისთვის გამოაშკარავდა. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ბრძოლებში საუკეთესო მამულიშვილთა რიგებში ღირსეული ქალების დასიც ერია, რომელთაც სახელოვანი ფურცლები ჩააწერეს ამ ბრძოლის მატრიანეში: ესენი იყვნენ — დედოფლები დარეჯან, მარია: მათი ერთგულნი გარსეანის მეუღლე მარია, ბატონიშვილები მარია, ქეთევან, თეკლა, თამარ, მრავალნი სხვანი; რომელთაც ქართველი ერის ღირსება დაიცვეს. მაგრამ ამით არ ვათავებულა ერის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა, ქართველი ქალი და დედა რომ ამ გვარის თავ - გამოდებით ეწეოდა.

როგორც ვიცით, ქართლ - კახეთის დამორჩილების შემდეგ ჯერი დასავლეთ საქართველოზე — იმერეთზე და მის სამთავროებზე მიდგა. აქ რუსეთის ბრძოლა, თუმცა სტრატეგიულად გაადვილებული იყო (დარიალის გაღებით), მაგრამ ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად ბევრად უფრო გაძნელებული. რუსეთმა, 1801 წელს ჩადენილ გაუგონარ ძალადობით, როცა მან ტრაქტატი ცალმხრივად გააუქმა და საქართველოს ტახტზე მემკვიდრე აღარ აუშვა, ამ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს თავისი სახე და მზაკვრული განზრახვანი საკმაოდ დაანახვა; ამიტომ იმერეთს არც მათი ფიცის და დაპირებების სჯეროდა რამე და არც მისი ქრისტიანობის მისიისა.

იმერეთის სამეფოს თვალის წინ ჩატარდა ეს საშინელი ძალმომრეობა ქართლ - კახეთის სახელმწიფოზე და ბავრათიონებზე: მათ დაინახეს — სად მიიყვანა გიორგი მეფის გულუბრყვილო მინდობამ ერთმორწმუნე რუსეთი-

სადმი მისი სამეფო, — რა ყოფაში ჩააგდო ქართველი ერი და ქვეყანა მემკვიდრე დავეთის გაურკვევლობაში. — ეხლა ქართლ-კახეთი რუსეთის ლუბერნია იყო და მისი სახელოვანი მებრძოლ - მფარველნიც რუსეთში ჰყავდათ გადასახლებულნი.

ეს ამბები თავისთავად მეტყველებდნენ და სოლომონ მეფე მტკიცედ დაადგა რუსეთისადმი მტრულ განწყობილებას და ბრძოლის გზას.

ამ მდგომარეობამ რუსეთს დიდად გაურთულა საქმე და ვინ იცის — კიდევ რამდენი ხანი გასტანდა ეს ბრძოლა დიდი იმპერიისა, რომ გენერალ ციციანოვს სამეგრელოს მხრივ არ მოეწყო იმერეთის სამეფოსათვის და გრიგოლ დადიანი არ გადაებირებინა.

იმერეთი მაინც არ სტყდებოდა და გასაოცარის მხნობით იდგა თვისი საყვარელი მეფის, სოლომონ მეორის გვერდით და ამ უკანასკნელ ნაწილს ივერიისას თავამოდებით იცავდა.


ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ სახელოვან ბრძოლების ცალკე ეპიზოდების აღწერას, თუმცა უნდა ითქვას, რომ სოლომონ მეფის და მისი ბრძოლის ისტორია იმპერიის საწინააღმდეგოდ, ყველაზე უფრო სასახელოდ ჩაითვლება იმ წინააღმდეგობათა შორის, რაიც საქართველომ რუსეთს გაუწია. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხანა და იმერეთის ხალხის და მეფის ღვაწლი იმ ეპოქაში ძალიან სუსტადაა შესწავლილი და გაშუქებული.

იმედი კი გვაქვს — ეს დიდი საქმე მიუდგომელ მკვლევართ იშოვნის, და მაშინ ნათლად გამოჩნდება სოლომონ მეორეს ღვაწლი. ჯერჯერობით კი მხოლოდ ალ. ხახანაშვილის და თ. ხუსკივაძის პატარა წიგნაკები არსებობენ სოლომონის შესახებ და დანარჩენია რუსული წყაროები, რომლებიც ტედენციით სავსეა და სოლომონ მეფის პიროვნებას უსამართლოდ ამცირებენ.

ჩვენი მიზანი ამჟამად ვიწროდ შემოიხაზება: — გვინდა იმერეთის ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით ქართველი ქალის დამსახურებას და მის მწვავე გაცდებს შევხებით; მის სიფხიზლეს, დარბაისლობას და თავდადებას მეფისათვის; რაიც მაშინ ერისათვის თავგანწირვას უღრიდა.

რამდენიმედ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დასავლეთ საქართველოს ქალთა ღირსეული დამსახურება დიდი იმპერიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში. ეხლა ჩვენ გვინდა შევეხეთ იმ ქართველ ქალს, რომელიც სოლომონ მეფეს თავის ზრახვების და ბრძოლების დროს რუსთა საწინააღმდეგოდ და სახელმწიფოს გადასარჩენად მუდამ გვერდით უდგა და ერთგულად უღელს უწევდა.

ეს იყო მისი საყვარელი და სათაყვანო მეუღლე და დედოფალი — შეუპოვარი და თავდადებული მარია. ეს ის მარია, რომელიც თავისი ერთგულებით, გონებით და გამჭრიახობით კი არ იყო მარტო ცნობილი და მთელს იმერეთში სახელმწიფოეკილი, არამედ აგრეთვე თავისი არა ჩვეულებრივის სილამაზითა და ნაზი შევენებით, რომელ-



მზე ქვეყნად ერთია,
ვარსკვლავი — ათასი
სამშობლოც — ერთია,
გვიყვარს და ვაფასებთ,
სამშობლოს სიყვარულს
სუნთქვაშიც ვათავსებთ.

სამშობლომ გვიმზუნა,
გვათავა, გვაწვიმა,
მან ჩვენი აკვანი
ნიაფით არწია,
და გაგვარწივა.

უოველი მებრძოლი
ქართველი ბარტყია,
ბრძოლაში დალილდებს,
დაჭრილს და ნატყვიარს
შენი სიყვარული
თილისმად გვარტყია.

სამშობლოც, ლამაზო!
ჩვენ არ დავვარდებით,
თუ შენი გულსთვის
არ გავალმასდებით
და მტრის გულს ტყვიებად
თუ არ დავასკდებით.

მზე ქვეყნად ერთია,
ვარსკვლავი — ათასი
სამშობლოც ერთია,
გვიყვარს და ვაფასებთ,
სამშობლოს სიყვარულს
სუნთქვაშიც ვათავსებთ.

გიორგი ლოლუა

მას აქეთ, რაკი შენდანი ვცან მე
სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე
ძილი და შვება...
ილია ქავჭავაძე



იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ მეორე
1773 — 1815

მაც არა მარტო ახალგაზრდა მეფე მოხიბლა და წარიტაცა. ცნობილია, რომ სოლომონ მეფეს თავდავიწყებამდე უყვარდა დედოფალი და მის საღიდეზოდ და პატივსაცემად საგანგებო სასახლე მიუძღვნა მას ქუთაისში, რომელსაც „ოქროს ჩარდახი“ ეწოდებოდა. მარიამის შვენება და „ოქროს ჩარდახი“ ხალხს საგანგებოდ შეუშვეია და უმღერია; მოვიყვანთ ერთ ხალხურ ლექსს, რომელიც პროფ. ექვთ. თაყაიშვილს თავის „კრებულ“-ში — „ძველი საქართველო“ — მოუთავსებია:

მარიამ დედოფალი

ნეტა რა არი მისთანა; ამომავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია, იმ ოქროს ჩარდახისთანა...

გალმით - გამოღმით ქალაქი, შუაზედ მოედნისთანა, დედის მუცლიდან ნაშობი მარიამ დედოფლისთანა. მარიამო, რამ გაგავსო 14 დღის მთვარის მსგავსო? შიგნით თვალი სამოთხეს გავს, გარს წამწამი ხშირი გაქვსო მდომიერმა კაცმა გნახოს, ამას იტყვის: „ელვა დვასო!“ ერთი შენი შემოხედვა ათას ჯარსაც დაკარგავსო! მარიამი იყო სამეგრელოს მთავარის კაცის ასული და დაი გრიგოლ დადიანისა, რომელმაც შემდეგ ასეთი დიდი ტკივილები მიაყენა სოლომონ მეფეს, რუსებზე მინდობით და გენ. ციციანოვისათვის ოდიშის კარების გაღებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერსად შევხვდით მარიამის დაბადების წლის აღნიშვნას. აგრეთვე ზუსტად ძნელია მისი ჯვრის წერის წელწადის გამოკვლევაც. ბოლოს მოწ-

მოხით, ეს ჯვარისწერა უნდა მომხდარიყოს 1791 წ. (იხილეთ მეორე ნაწილი, გვ. 649). ხოლო დავით ბატონიშვილის „ნარკვევებ“-ში ვკითხულობთ, რომ ეს ჯვარისწერა 1789 წ. მოხდაო. ეს მეორე ვერსია უნდა უფრო სარწმუნოდ ჩაითვალოს, რადგან „საკავშირო აქტს“ — ქართლ - კახეთის, იმერეთის და გურია - სამეგრელოს შორის — 1790 წელს დადებულს, იმერეთის სამეფოს სახელით ხელს აწერენ სოლომონ მეორე და მისი მეუღლე მარიამი, ვითარცა „დედოფალი ყოვლისა საიმერეთოსა“. (იხილეთ პ. იოსელიანის „ცხოვრება“).

ამ ქორწინებაშიც, ისე როგორც იმ დროს ყველაფერში, რაც საქართველოს შეეხებოდა, ერეკლე მეფის ნების და მისი ხელის მართვა სჩანს.

მოსე ჯანაშვილი გვაწვდის დამატებით მცირე ცნობას მარიამის ნათელის შესახებ. სოლომონ დიდს რუხის ბრძოლის შემდეგ (1780 წ.), რომელიც მან სახელოვნად მოიგო, კაცია დადიანთან დაახლოების მიზნით, მოუხათლავს მისი პატარა ასული მარიამი, მომავალი დედოფალი იმერეთისა. აქედან სჩანს, რომ მარიამი დაახლოებით 15 წლისა ყოფილა, როცა ჯვარი დაუწერია 16 წლის დავით არჩილის ძეზე (სოლომონ მეორეზე). მაგრამ გარდვიდნენ ორნივე ზვიადნი — ჯერ სოლომონ დიდი მიიკვალა 1784 წ. და ოთხი წლის შემდეგ მას მიჰყვა კაცია დადიანიც. პირველის ტახტი დაიჭირა დავით გიორგის ძემ, ხოლო ოდიშში გამთავრდა მარიამის ძმა, გრიგოლ დადიანი, რომელიც არ სწყალობდა იმერთა მეფეს დავით გიორგის ძეს. მათ შორის გაჩაღდა ომი, მალე თავადებიც გადაუდგნენ დავით მეფეს, თბილისიდან ერეკლეს შვილისშვილი, დავით არჩილის ძე დაიბარეს და 1789 წელს მას შერთეს გრიგოლ დადიანის დაი მარიამი და გაამეფეს იმერეთში, სოლომონ მეორეს სახელწოდებით. ეს ჯვარის წერა იყო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი და ერეკლეს მიერაც მოწადინებული, ისე ვით თვით გრიგოლ დადიანის ჯვარის წერა გიორგის ასულზე — ნინოზე (ერეკლეს შვილისშვილზე).

„1789 წელს“, ვკითხულობთ დავით ბატონიშვილის „ნარკვევებ“-ში, „წარატანა მეფემან ირაკლიმ ძის თვისსა გიორგისასა, დავითს (დავით ბატონიშვილს); ძეი არჩილისა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშსა და მან წარგზავნა იგი ოდიშსა. იხილეს რა ადიშელთა ძე არჩილისა, შეკრბენ მასთანა და მისცა გრიგოლ დადიანმან დაი თვისი მარიამ ცოლად მას“. (გვ. 36). ამავე ამბავს ასე გადმოგვცემს ისტორიკოსი ნიკო დადიანი: — „განიზრახეს და წარგზავნეს კაცი და მოიყვანეს საქართველოდან დავით არჩილის ძე ბაგრატიონი; ძმის წული პირველის სოლომონ მეფისა... გარნა ესეცა ყრმა და მოიყვანეს ლეჩხუმს სასახლესა მურს და მისცეს მეუღლათ ასული დადიანისა კაციასი და დაი გრიგოლისა და ქმნეს ქორწილი და შემდეგ ქორწილისა შეიკრიბნეს სპანი ლეჩხუმისანი და წარმოემართნენ“... და სხვა.

მარი ბროსე გვაუწყებს, რომ მარიამ და სოლომონ, — ორივენი ახლო ნათესავები იყვნენ სოლომონ პირველისა და ამნაირად ურთიერთსაცო. ასე რომ საჭირო შეი-

ქმნა ამ ჯვარის წერის კანონიერებისთვის საგანგებო ნება რთვა სამეგრელოს და იმერეთის უმაღლესი სამღვდლოებისაო. ამ აქტით მართლაც დადასტურებულ იქმნა სოლომონის და მარიამის დაქორწინება ჯვარისწერის შემდეგო. (იხ. ბროსე, 2. გვ. 254).

მარიამის დაქორწინების და დედოფლად გახდომის შემდეგ იწყებიან და სასწრაფოდ ვითარდებიან დიდნი ამბავნი ჩრდილ ოეთის იმპერიის „შემოტევისა“, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ჯერ ქართლ - კახეთი და შემდეგ იმერეთი, ყველა მისი სამთავროებით.

ბრძენ კანცლერის სოლომონ ლეონიძის შთაგონებით დადებული „საკავშირო აქტი“ ივერიის სახელმწიფო - სამთავროთა შორის საქმეს ველარ შევლოდა, რადგან შვიდი წლით უფრო ადრინდელი ხელშეკრულება ქ. გიორგიევსკში დადებული, არც ოსმალებს და არც სპარსეთს მოსვენებას აღარ აძლევდა. ამ დღიდან ამათ უფრო გარკვეულად იგრძნეს რუსეთის კავკასიასთან მოახლოების დიდი საფრთხე და დაიწყეს გააფთხებული ომები, რომელთაგან 1795 წლის შემოჭრა აღა - მაჰმად ხანისა სასიკვდილო ლახვარი შეიქმნა ერეკლეს სამეფოსათვის; ამ დიდებული მეფის გარდაცვალების შემდეგ კი საქართველოს დაქანება უფსკრულისაკენ შეუჩერებლივ მიდიოდა და 1801 წ. ალექსანდრე პირველის მანიფესტმა მისი დაპყრობა დაავიკრავინა.

ეს ამბები სრულიად არ ჰგავდა იმ „ნებაყოფლობით“ „შეერთებას“, რაზედაც მინისტრი ღალატდებდა; მაგრამ ვინ იყო გამკითხავი? რუსეთმა „ტრაქტატი“ შინაურულად გააუქმა და ეხლა, როგორც ვთქვით, ჯერი იმერეთზე მიდგა.

მაგრამ აქ მდგომარეობა რუსთათვის მოულოდნელად სულ სხვა შეიქმნა: — სოლომონ მეფე, დედოფალი მარიამ, სახლთუხუცესი, კანცლერი სოლომონ ლეონიძე, და სხვა მრავალი რუსთ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ოღონდ რუსეთი უკვე აწყობდა მეფე სოლომონის ირგვლივ დიდ ინტრიგებს... ამ ინტრიგების ქსელში დავით მეფის ქვრივი ანა დედოფალი უკვე გაბმულიყო, და ეხლა მას სოლომონ მეფისაგან მოათხოვნიეს, რათა ძე კონსტანტინე ანასი, მეფეს გაენთავისუფლებინა; ეს კონსტანტინე, რომელიც მამამ, მეფე დავითმა თავის დროზე, იმის დასამტკიცებლად, რომ აწი ფიცს შეინახავდა და სოლომონ მეორეს კვლავ აღარ უღალატებდა, მძევლად წარუგზავნა მეფეს. სოლომონმა ის მუხურის ციხეში დააპატიმრა და მრავალი წელი იქ ინახავდა. აშკარა იყო — რუსეთს კონსტანტინეს ციხიდან განთავისუფლებით სწადდა სოლომონის წინააღმდეგ ახალი პრედენდენტი გამოეყვანა, წარჩინებულთა ნაწილი მოესყიდა, ტახტი ამ კონსტანტინესათვის გადაეცე და სოლომონ მეფე როგორმე გაერიყა. ეს კი დიდად გააადვილებდა იმერეთის რუსეთთან შეერთებას. იმ ხანებში რუსეთი ხომ აღარ ენდობოდა მეფეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ბატონიშვილთა გამდგარი წრე: იულონ და ფარნაოზ მხლებლებით შეიხიზნა და ალექსანდრე ბატონიშვილს დაუკავშირდა; აქედან სჩანდა,

რომ სოლომონი ქართლ - კახეთის ამბებში ერეოდა და წაგებული საქმის გამოსწორებას ცდილობდა სოლომონ ფაშის (ახალციხის), ბაბა - ხანის (სპარსეთის) და ლეკების დახმარებით. მდგომარეობა გამწვავდა აგრეთვე მეფის დიპლომატიური ჩარევითაც რუსეთსა და დარეჯან დედოფლის შორის წარმოებულ დავაში: სოლომონმა პეტერბურგს მიმართა თხოვნით, რათა ბატონიშვილი იულონი ტახტზე დაემტკიცებინათ ამით კი 1783 წლის ტრაქტატი თავისთავად ძალაში უნდა შესულიყო. მეფის ასეთი მტრული პოზიციის გამო რუსეთმა გადასწყვიტა ეხლა სხვაფრივ მოეგლო საქმისათვის: — მან პეტერბურგიდან საგანგებო მოხელე, სოკოლოვი წარავლინა სოლომონ მეფესთან და ითხოვა კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლება. დარეჯანის რჩევით, მეფემ ეს წინადადება ამხელადაც უარჰყო.

დარეჯანი და სოლომონი კარგად ხედავდნენ, რომ რუსები კონსტანტინეს ახალ პრეტენდენტად ამზადებდნენ. ფრთხილმა მეფემ უკვე აღრევე განიზრახა კონსტანტინეს დედის, ქვრივ დედოფალ ანას დაპატიმრება და ამით მისი კავშირის გაწყვეტა რუსებთან და ციციანოვთან. მაგრამ რუსის ჯარმა ანა იხსნა და შემდეგ პეტერბურგს გაგზავნა. და აი, იქედან, ხელმწიფის მიერ ზურგ - გამაგრებული, ანა რუსეთის რწმუნებულ სოკოლოვის პირით შვილის განთავისუფლებას მოითხოვდა. რუსთა გეგმა იყო: — კონსტანტინეს მუხურეთიდან გამოშვებისათანავე სოლომონ მეფეს თავს დასხმოდენ და ტახტზე კონსტანტინე ბატონიშვილი აეყვანათ.

სოლომონის გადაჭრილი უარით დამარცხებული რუსეთი, ეხლა შეეცადა სხვა გზით მოეგლო იმერეთისათვის და ციციანოვის დახმარებით ჯერ როგორმე სამეგრელო ჩამოეშორებინა მეფისათვის და შემდეგ თვით იმერეთს დასცემოდა.

მართლაც, 4. 12. 1803 წელს გრიგოლ დადიანმა რუსეთის ერთგულებაზე ფიცი დასდო; რუსეთმა ამავე დროს, ლეჩხუმის ოდიშზე გადაცემით იმერეთს ზღუდე შეუწერია ამის შემდეგ ციციანოვმა მეფეს დაბეჯითებით მოსთხოვა გამდგარ ბატონიშვილთა (იულონისა და ფარნაოზის) გადაცემა და კონსტანტინეს განთავისუფლება. სამეგრელოს დაკარგვით დასუსტებულმა მეფემ ისევ შერიგება არჩია და კონსტანტინე იმ პირობით განთავისუფლდა, რომ იმერეთიდან გასულიყო, რათა მეფის წინააღმდეგ რუსთა შთაგონებით მას ინტრიგები არ დაეწყო; ხოლო იულონი და ფარნაოზი კი რუსეთს მანც არ გადასცა.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა მეფემ სოლომონმა არჩია თვითონვე გაემართა რუსეთთან ტრაქტატის შესახებ მოლაპარაკება და ამ მიზნით სოლომონ ლეონიძე პეტერბურგს გაგზავნა დესპანად საგანგებო მინდობილობით. ბრძენმა კანცლერმა პეტერბურგს პროექტი წარუდგინა და მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ ს. ლეონიძის ამ ცდებს ციციანოვი მაშინვე გადაეღობა და რუსეთი დააიძედა: — იმერეთს მალე იარაღით დავიჭეო! რუსეთი ამ აზრს სიამოვნებით დაეთანხმა და 26.

10. 1803 წელს ალექსანდრე პირველის ბრძანებით ციციანოვი ჯარით უნდა შესულიყო იმერეთში, მეფეს „დასასჯელად“, რომელსაც სამეგრელოს მტრობის ვარადა, ხონთქართან ახალ ურთიერთობას ახარებდნენ. თითქოს ამ მიზეზით რუსეთი იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა დაწყებული მოლაპარაკება ტრაქტატზე ელჩ ს. ლეონიძისთან და ის უკან გამოესტუმრებინა. ხოლო სამეგრელოსთან თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის მიზნით ციციანოვს იმერეთი ჯარით უნდა დაეკავებინა. მეფე დიდ ხანს უწყევდა ციციანოვს წინააღმდეგობას და მოლაპარაკებას აჭიანურებდა. მოთმინებიდან გამოსულმა ციციანოვმა მიუგზავნა მას მიხ. ვორონცოვი უკანასკნელი მოლაპარაკებისათვის, მაგრამ ლეჩხუმის გამო მეფემ ციციანოვის პირობაზე ხელი არც ეხლა მოაწერა.

მაგრამ ბილოს, როცა რუსეთის ჯარები იმერეთში შეიჭრნენ და ხალხის რუსეთზე დაფიცება დაიწყეს, სოლომონმა დათმობა არჩია და 25 აპრილს 1804 წელს ტრაქტატს ხელი მოაწერა, იმ პირობით კი, რომ ლეჩხუმის საკითხი გამოყოფილი დარჩებოდა, ვიდრე თვით ხელმწიფე მას არ განიხილავდა.

გენერალ ციციანოვმა იმპერატორის დავალებით მეფეს ალექსანდრე ნეველის ბრილიანტიანი ორდენი უწყალობა.

ამ „სათხოვარ მუხლთა“ ე. ი. ტრაქტატის დამტკიცებით მეფობა საშვილიშვილოდ უნდა დარჩენოდა სოლომონ მეორეს. ამით ხომ ჯერ კიდევ ყველაფერი წაგებული არ იყო და მეფეს შეეძლო მომავლის იმედი არ დაჰკარგოდა.

მართლაც, მოულოდნელად სოლომონ მეფეს ორი დიდი მტერი ჩამოეცალა. 24. 10. 1804 წელს გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი. ხოლო ცოტა ხნის შემდგომ ბაქოს კარებთან რუსთა უდიდესი სიმაგრე და უდიდებულესი პოლიტიკოსი და ადმინისტრატორი - მხედარი, გენერალი პავლე ციციანოვი მოჰკლეს ღალატით, ოღონდ ყველა იმედი ტყუილი გამოდგა და სოლომონის მდგომარეობა ვერც ამან გამოასწორა.

მოხდა სრულიად წინააღმდეგი: — ახალმა მთავარმართებელმა გრაფმა გუდოვიჩმა ციციანოვის მიერ დადებული ხელშეკრულება ერთბაშად დაარღვია, იმერეთში და კერძოდ ქუთაისში დიდძალი ჯარები შეიყვანა და ერთგულების დასამტკიცებლად მეფეს დელეგაციის რუსეთს წარგზავნა მოსთხოვა, ხოლო დელეგატთა სია მეფის ერთგულთაგან ამ ხელადაც თვითონ რუსეთმა შემოეშავა, რათა ამით მეფისათვის ყველა ერთგული ჩამოეცილებინა. გაბრაზებული მეფე ვარციხეში გადავიდა და მოითხოვა, თანახმად დადებულ პირობათა, რუსის-ჯარების გაყვანა ქუთაისიდან და ლეჩხუმის უკან დაბრუნება. მდგომარეობა გამწვავდა და ხელმწიფე ალექსანდრე პირველმა განკარგულება მისცა გუდოვიჩს: — სამეფო მთლად დაეკავებინა, მეფე სოლომონი გადაეყენებინა და ოჯახობით პეტერბურგს გაეწვია; ხოლო იმერეთში „დროებითი მმართველობა“ დაეწესე-

ბინა და იმერეთის სამეფო სამუდამოდ გაუქმებულად გამოცხადდებინა.

ამის განხორციელება გუდოვიჩმა ვერ შესძლო.

გრაფ გუდოვიჩი მალე შესცვალა ახალმა მთავარმართებელმა, მრისხანე და დაუნდობელმა გენერალმა ტორმასოვმა.

გენ. ტორმასოვი სწრაფად შეუდგა ხალხის დაფიცებას რუსეთის ერთგულებაზე, ხოლო სოლომონ მეფემ კი თავისი ერთგულნი შეკრიბა და რუსთ მედგარი ბრძოლები გაუმართა (1809 წ.). გენ. ტორმასოვმა თავის მარჯვენა ხელს, გენ. სიმონოვიჩს (ტომით ბოლგარელს) მიანდო — დიდი ძალის ჯარებით შეეტია მეფისათვის, და თან საიდუმლო დავალება მისცა: — მეფისათვის სამი დღის ვადა კიდევ დაენიშნა, რათა იგი დასთანხმდებოდა ნებით ქუთაისს მისვლაზე და ტორმასოვის მიერ დანიშნულ დეპუტატთა პეტერბურგს გაგზავნაზე. ამ დელეგაციაში უნდა ყოფილიყვნენ: — სოლომონ ლეონიძე, კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც რუსებს გამოექცა და მეფეს მიემხრო, როსტომ ნიჟარაძე, სენხია წულუკიძე და სხვანი. ამნაირად, მეფის ერთგულნი უნდა მოეშორებინათ იმერეთიდან. ხოლო თუ მეფე ეხლაც გადალიანდებოდა და ამას არ ასრულებდა, გენ. სიმონოვიჩს უნდა გამოეცხადებინა მეფის გადაყენება და მაშინათვე ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცებინა. ამასთან ერთად, მას იმერეთის „დროებითი მმართველობა“ უნდა დაენიშნა, რუსის მოხელის თავმჯდომარეობით.

20. 11. 1810 წელს მართლაც გამოცხადდა რუსთა განკარგულება და გენ. სიმონოვიჩმა ხალხის დაფიცება დაიწყო. იმავე 20. 12. 1810 წელს მეფემ მეუღლე თვისი და ოჯახის წევრნი მთაში გახიზნა, ხოლო თვითონ კი ვარციხეში გამაგრდა 4.000 ერთგულით; ხოლო როცა მეფეს დიდძალმა ჯარებმა აქ ალყა შემოარტყეს, ის ბაღდათში გადავიდა და იქედან საქარას მიაშურა. აქ ის ხანის მცხოვრებთა დახმარებით გამაგრებას იწყებს, მაგრამ მოულოდნელად ხანის ხეობაში ლინასეიჩის ძლიერი რაზმი გაჩნდა და მეფეს იმეცები წაერთვა.

აი, ამ უმძიმეს დროში დედოფალი მარიამი შეეცადა შეთანხმების მიღწევით დროს მოგებას და საქმის გამობრუნებას. ის მიდის ზურაბ წერეთელთან (სახლთუხუცესთან), რომელსაც რუსნი ნდობით უცქერიან და მას სთხოვს: — უშუამდგომლოს ტორმასოვის წინაშე, რათა დროებით შეჩერებულ იქმნას ხალხის დაფიცება და ომის წარმოება.

დედოფალი მარიამ ჰპირდებოდა, რომ მეფე ამ შემთხვევაში ყველაფრის თანახმა გახდებოდა, შესაფერ პირობას და ხელწერილს დასდებდა, რომ გაგზავნიდა პეტერბურგს იმ დელეგატებს, რომელნიც ტორმასოვს სურდა; ოღონდ სამეფოს ნუ მოსპობენ და ნურც მოითხოვენ, რომ მეფე ქუთაისში გადასახლდესო. იქვე არაა, დედოფალი აშკარად ხედავდა, რომ ქუთაისში ჩასულ მეფეს გენ. სიმონოვიჩი მაშინვე პატიმრად გამოაცხადებდა. როგორც ვიცით, ზ. წერეთლის შუა-

მდგომლობა უშედეგო დარჩა. გენ. ტორმასოვმა მას უარი უთხრა და განაცხადა, რომ ხელმწიფის ნება ასეთია და ვერ შევსცვლიო, ხოლო ბოლოს დასძინდა: — მარიამის თხოვნა მიმაჩნია გულწრფელად; მაგრამ ამას ვერ შევუსრულებთ, ვიდრე „ყოფილ“ მეფე თვითონ არ შეასრულებს ხელმწიფის ბრძანებასო. (იხ. აქტები, ტ. 2)

იმ დროს რუსის ჯარს ისე მტკიცედ ეჭირა ხელთ იმერეთი, გარდა ხანის ხეობისა და ორიოდ ცხისა, რომ რუსებს მოლაპარაკება აღარ სურდათ. მაგრამ მეფე მაინც არ დანებდა მტერს და იმას მაინც მიაღწია, რომ სიმონოვიჩს საჩქაროდ ფიცი ჩამოართვა, რომ მის მეფის ხარისხს არ შეეხებოდნენ, და უკანასკნელ ერთგულთა თანხლებით (500 კაცით) ტორმასოვს გორის ახლოს მოსალაპარაკებლად შეახვედრებდნენ.

15 მარტს მეფემ მხლებლებითურთ სოფელ საზანოსაკენ გასწია, სადაც იმ ჟამად იმყოფებოდა მისი მეუღლე მარიამი. მეფემ აქ სამი დღე დაჰყო თავის საყვარელ მეუღლესთან და იმერეთის მწარე ბედზე და მის მომავალზე ორივემ ბევრი ცხარე ცრემლი დაღვარა.

აქ მეფე არა მარტო დედოფალს, არამედ სხვა წარჩინებულთაც ანუგეშებდა, რომ საფრთხე არავითარი არ მოეღოს მას და იმერეთს; რომ მას 500 შეიარაღებული ახლავს და ქართლის საზღვარზე შეხვედებიან ტორმასოვს; ამას გარდა, რომ სოლომონ ლეონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი მან უკვე ადრევე გაისტუმრა დესპანებად ახალციხეს და იქიდანაც შეველას მოეღოს...

ამაო გამოდგა ეს იმედები.

ტორმასოვი დანიშნულ ადგილას მეფეს არ დახვდა და მან მეფე უფრო იქეთ, გორში მიიწვია. ხოლო გორში მეფეს მხლებლები მოულოდნელად ჩამოაცილეს, ფიცი გასტყხეს, ისინი განაიარაღეს და მეფე პატიმრად თბილისს მიიყვანეს.

ტყვედ ქმნილი მეფე სოლომონ რუსებმა სუმბათაშვილის სახლში მოათავსეს.

1. 4. 1810 წელს გენ. ტორმასოვი დედოფალ მარიამს საგანგებო წერილით ატყობინებდა, რომ ვასრულებ თქვენი ქმარის თხოვნას და თქვენ გტოვებთ საცხოვრებლად იმერეთში, სოფელ საზანაშიო. მეფე კი ჯერჯერობით აქ დარჩება თბილისში, ვიდრე არ მივიღებთ ხელმწიფის ბრძანებას მისი მომავალი ბედის გარდამწყვეტსაო. (იხ. აქტები, ტ. 11).

მაგრამ იმერეთის ერთგულმა შვილებმა სხვაგვარად „გარდასწყვიტეს“ მეფის ბედი და შესანიშნავის მოხერხებით სოლომონ მეფე 11. 5. 10 წ. თბილისიდან გააპარეს და დიდი ზეიმითა და ამბით ახალციხეს მიიყვანეს.

ამის შემდეგ ყველაფერი შებრუნდა: იმერეთს იმედი დაეუფლა და ყველანი მეფის შემოსვლას გულის ძეგრით ელოდნენ. მარიამ დედოფალი ისევ საზანოში იმყოფებოდა და მეფის ახალ ბრძანებას და იმედიან დღეებს უცდიდა; მან იცოდა, რომ საყვარელი მეფე იმერეთის თავისუფლებასა და ბაგრატიონთა ოჯახს ასე ადვილად არ დაუთმობდა ვერაფერს...

შეშინებული გენ. ტორმასოვი მოსვენებას ჰკარგავდა, მას უკვე ელანდებოდა მეფის შემოჭრა და ძალად დაფიცებულ იმერთა შურისძიება. ამის გამო მან ფიცხელი განკარგულება გასცა: შეეკრათ რუსის ჯარებს ხანისა და ზაგამის ხეობანი, რათა ახალციხიდან მეფენ შემოჭრა ვერ მოახერხოსო. ამასთან ერთად, უბრძანებდა ტორმასოვი სიმონოვიჩს, რომ „ვიცი რა იმერელი ხალხის ქარაფშუტა, ამყოლი და მჩატე ხასიათის ამბები, მინდა წინასწარი ზომები მივიღო და ყოველივე ეხლავე აღვკვეთო, განსაკუთრებით უნდა ეხლავ გადავსჭრა ყოველგვარი კავშირის შესაძლებლობა მეფესა და იმერეთის შუა და ყველაზე უწინ იმ პირებთან, რომელთაც აქვთ დიდი გავლენაო. ამიტომ წინადადებას გაძლევთ ეხლავ გადაიყვანოთ და ფოთის ციხეში მოათავსოთ საგანგებო თვალყურის დევნის ქვეშ: დედოფალი

ძლო, რომ მის ასეთ შეურაცყოფას შერიგებოდა და მოსალოდნელი იქნებოდა მღელვარებანი, ამიტომ სჯობსო, დასძენს სიმონოვიჩი, დედოფალი ქუთაისში გადმოვიყვანო და აქ ჩემი თვალყურის დევნების ქვეშ ვიყოლიოვო. ასევე ურჩევდა ის მიქელაძის ცოლის, მარამს შესახებაც.

გენ. ტორმასოვი მიხვდა რა, რომ ქალთა და განსაკუთრებით დედოფლის შეურაცყოფას იმერლები მას და რუსთ არ აპატიებდნენ, იძულებული გახდა სიმონოვიჩის დასკვნას დათანხმებოდა.

ამავე ხანებში მან განსაკუთრებულის მოხსენებით და ბოდიშებით აუწერა ეს დიდი მარცხი პეტერბურგს და მეფის გაქცევა იმას მიაწერა, რომ თვითონ იმ დროს ყარაბაღში იყო... ამავე დროს გენერალი ტორმასოვი ბოდიშს იხდის, რომ მეფე სოლომონი დროზე ვერ გა-



ფელიქს ვარლამიშვილი

ყაბანი

მარამი, დაი მისი მაია, მეუღლე მიქელაძისა, — დაი სოლომონ მეფისა მარამი, — მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილისა — მთელი მათი ოჯახთა შემადგენლობით, რადგან დღეიდან მათი იმერეთში დატოვება სასიფათოა. მაგრამ ყველაფერი ეს ისე სწრაფად უნდა მოხდეს და ისე მოხერხებით, რომ ხალხში რაიმე მღელვარება არ გამოიწვიოსო. ამავე დროს ყველა ამათი ქონება და მამული აღწერეთ და ხაზინას გადაეცით“—ო. (იხ. აქტები, ტ. 2).

მაგრამ სიმონოვიჩი, რომელიც იმერელთ უფრო იცნობდა და მათი შეურაცყოფა სახიფათოდ მიიჩნდა, სხვა, უფრო ფრთხილ ზომებს ურჩევს გენ. ტორმასოვს: — ის სწერს, რომ დედოფლის ძალად გავყვანა ფოთის ციხეში და თან მამულების ჩამორთმევა აქაურ ხალხზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენსო. ამ ხალხს, რომელსაც ასე დიდად ჰყვარებია დედოფალი, არ შეე-

ამგზავრა რუსეთს. მეშინოდა მეტადო, სწერს იგი, რადგან მთის ხალხი და განსაკუთრებით ჩეჩნები და ყაბარდოელები, რომელთა ქვეყანაში სოლომონი უნდა გავგეტარებინა, აჯანყებული იყვნენო; ამიტომ ამ ადგილებში იმერეთის მეფის პატიმრად გატარება ყოველად შეუძლებელი იყოო. აქვე თანდართულია სია იმერეთის სამეფო სახლის წევრთა, საიდანაც ვტყუობილობთ, რომ მეფის დაი, მარამი (მეღლე მალხაზ ანდრონიკაშვილისა) თან გაჰყოლია განმდგარ ქმარს და ახალციხეში იმოყოფებო. ამრიგად, ეს ქალიც აჯანყებაში ურევიაო...

დედოფალი მარამი გენ. სიმონოვიჩის წინადადებას არ დაეთანხმა და ისევ საზანოში დარჩა, რადგან იცოდა, რომ ქუთაისში გადასვლა მის ტყვეობას უდრიდა, ხოლო ეხლა კი მოქმედება და მეფის შემოსვლისათვის სამზადისი, ერის გამხნევება და დარაზმვა იყო საჭირო. მოვიდა სანატრელი ხმაც და პროკლამაციები სოლო-

მონ მეფისა იმერეთს მოეფინა. მეფე ისევ შემოიჭრა სა-
მშობლოში და მისი დროშის ქვეშ ყველამ თავი მოი-
ყარა. დედოფალი გამხნედა, გაკაჟდა და ერთი ადგი-
ლიდან მეორეში დაჰქროდა და საყვარელ მეფის და სა-
მშობლოს დახმარებას ითხოვდა.

მალე საერთო აჯანყებამაც იფეთქა ქაიხოსრო აბაში-
დის და დარეჯან ბატონიშვილის (სოლომონ პირველის
ქალიშვილი იყო) მეთაურობით. გენ. ტორმასოვმა დიდ
ძალი ჯარი და ახალი საჭურველი მიაშველა გენ. სიმონ-
ოვიჩის და ამ ჯარების უფროსად რენეგატი, გენერალი
ორბელიანი დანიშნა. ბრძოლები დაიწყო. მრავალ ად-
გილას იძლივნენ რუსნი, სოფელ ალთან მათ დიდი ზა-
რალიც მიაყენეს, მაგრამ ჯარისა და არტილერიის სი-
მრავლემ ბოლოს მაინც სძლია იმერთ და მეთაური ქა-
იხოსრო აბაშიძე შვილებითურთ მოუკლეს.

დედოფალი მარიამი მაინც არ სცხრებოდა, ყველას
აგულიანებდა, ამხნევებდა. სწერდა და მოუწოდებდა....

გენ. ორბელიანი გენ. ტორმასოვს მოახსენებდა: —
ჩემი ჯაშუსები, ძმები ორჯონიკიძეები დაბრუნდნენ;
ესენი ჩემგან კიკნაძეებთან იყვნენ მიგზავნილი; ეს ამ-
ბავი კი დედოფალ მარიამს შეეტყო და მაშინვე კიკნა-
ძეებისათვის ებრძანებინა დაეჭირათ ძმები ორჯონიკი-
ძენი, ვითარცა გამცემნი და რუსთა აგენტები, და მე-
ფისათვის მიეყვანათ (იხ. აქტები, 4).

24 ივლისის ბრძოლის შესახებ გენ. ტორმასოვი პე-
ტერბურგს მოახსენებდა: — ჩხერთან აჯანყებულ 5.000
კაცისაგან შემდგარ რაზმს გაემაგრებინა ადგილები.
დიდი და მწარე ბრძოლათა შემდეგ მტერს ზარბაზნებით
უკან დავახევინეთ; აქ დახოცილთა შორის იპოვნეს
გვამი დიმიტრი აბაშიძისა, რომლის ჯიბეში აღმოჩნდა

ქაღალდები: — წერილები მეფე სოლომონისა, დედო-
ფალ მარიამისა და სხვათა, რომელნიც მტერთ ხელმძღ-
ვანელობდნენ. ამ დიდი დამარცხების შემდეგ, დასძინს
გენ. ტორმასოვი, იმერეთი, იმედია, დასცხრება და გენ.
სიმონოვიჩი დამნაშავეებს ციმბირს გადაასახლებსო. დე-
დოფალი მარიამი კი სამეგრელოში გახიზნულა და იქე-
დან მის ჩამოსვლას ველოდებითო. (აქტები 4).

ამ ბრძოლათა შესახებ თვით გენ. სიმონოვიჩი 30 .
9. 1810 წ. ასე მოახსენებს გენერალ ტორმასოვს: —
მტერი 23. 9. დავამარცხე და ხანის ხეობაში მეფეს გზა
მოვუჭერ და როცა ხანს ვუახლოვდებოდი, 25. 9. დი-
ლით, მეფე გადავიდა ახალციხეში და მას ვაჰყვა თან 200
ერთგული. დედოფალი უკვე ადრევე დამპირდა ქუთა-
ისს მოსვლას, მაგრამ არ შეასრულა; შემდეგ შევიტყვე,
რომ 26. 9. მისულა სამეგრელოში მთავრინასთან. მას
ახლდნენ აბელ ნიჟარაძე, ოტია ლორთქიფანიძე და მე-
რამ და ვახუშტი მდივანიო. მივიღე რა ამის ცნობა, მი-
ვსწერე მთავრინას — ჩამოიყვანოს დედოფალი, რაზე-
დაც მან მიპასუხა, რომ თვით მოვა და ამაზე პირადად
მომელაპარაკებაო და მეც ამას ვუცდიო.

ამის შემდეგ წერილში 6. ოქტომბერს ის ატყობინებს
გენ. ტორმასოვს: — აქამდის ველოდებოდი მთავრინას
(ნინოს) და ჯერ არ მოსულაო; მინდა მოველაპარაკო
დედოფალი მარიამის შესახებო. მალხაზ ანდრონიკაშვი-
ლის ცოლი მარიამი კი ახალციხიდან მწერს, რომ მას
უნდა დაბრუნდესო და მეც ვურჩევ და ვარწმუნებ, რომ
არავითარი ხიფათი მას არ მოეღისო...

(დასასრული შემდეგ რვეულში)

თამარ პაპავასი

„ქართული სილუეტები“

პირველი დღე

„ჩიკას“ სარდავში

(დ. ვაჩნაძე: მოგონებათა რვეული)

1922 წ. თებერვლის ღამეს საქარ-
თველოს ქალაქების ციხე - სატუსა-
ლოები უეცრივ გაიტენა დაპატიმრე-
ბულ მრავალ მოწინავე ქართველო-
ბით, ეს ამბავი მოხდა საქართველოს
დაპყრობის ერთი წლის თავის (25
თებერვალი 1921 წ.) ორი კვირის
წინ — ათ თებერვალს, როდესაც
თბილისის ახალ მაყრობელებმა, მო-
სკოვის ბოლშევიკებმა, შეიტყვეს,
რომ ქართველობა ემზადება მასიურ
საპროტესტო დემონსტრაციების მო-
წყობისათვის მათ წინააღმდეგ.

იმ ღამეს მეც მეწვია „ჩეკას“ სამი
შეიარაღებული მსახური: სომეხი,
ურია და ქართველი. პირველი ორ-
ნი სწრაფად შემოიჭრნენ ოთახში,
ქართველი კი ჩადგა ქუჩიდან შესა-

ვალ კარებთან, ზურგ - მობრუნებუ-
ლი.

— რა გინდათ, რას დაეძებთ ჩემ-
თან? — მოვასწარი ერთ წამს და
დავეკითხე მარტოკა მდგომ ქართ-
ველ დარაჯს.

— არაფერი ვიცი. აი, იმ ორსა
ჰკითხეთ, შიგნით რომ შევიდნენ! —
თვალის მორიდებით, თავაუღებლივ
მიპასუხა ქართველმა.

ეს კითხვა გავუშეორე იმ ორსაც,
რომელნიც უკვე შესდგომიან ჩემი
ბინის ჩხრეკას.

— დავეძებთ იარაღს და წერილო-
ბით საბუთებს თქვენი პოლიტიკური
არასაიმედობისა, — მიპასუხა ურიამ.

— იარაღი არ მახდია; რაც შეე-
ნება ჩემს „არა-საიმედობას“, მე არ
ვარ კომუნისტი და არც არასოდეს
ვიქნები, როგორც მთლად ქართვე-
ლი ხალხი. — გაქვთ წერილობითი
ბრძანება ჩემი ბინის გაჩხრეკისა? —
მოვთხოვე ჩეკისტს ქაღალდი. მან
გადმომიწოდა თბილისის ჩეკის ოფ-
იციალური ბრძანების ბარათი. შიგ-
წერა: „მოქალაქე დავით ვაჩნაძის


ბინა გაჩხრეკეთ და თვით იგი დააპა-
ტიმრეთ“-ო.

ჩხრეკამ ვერაფერი შესძინათ მათ,
გარდა ჩემი ხანჯლისა და პაპა-ჩემის
დავითის ორ ძველ, ვერცხლით მო-
ჭედილ, ჩახმახიან დამბახისა და ხე-
სურთა მიერ ნაჩუქარ ფარ - ხმალ -
აბჯრის ძველ კომპლექტისა, რომე-
ლნიც ეკიდნენ კედელზე, მორთუ-
ლობის სახით, ტახტის თავზე.

— ეს განა იარაღი არ არის? მაშ
რა არის? — იყვირა მჩხრეკავმა და
სწვდა ამ სამუშეიმო ნივთებს, ჩამო-
ჰგლიჯა კედლიდან და ჩაიყარა ტო-
მარაში.

ეს რამდენი წიგნები გქონიათ? ეს
ხომ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, და
არა მხოლოდ თქვენ! — ჩემი წიგნთ-
საცავის დანახვაზე ბრაზიანად შემო-
მძახა ქართველი ხალხის „მოამაგე“
ვადამთიელ ბრიყვ მოსკოვის აგენტ-
მა.

— ამის თაობაზე თქვენ მთავრო-
ბას ჯერ არაფერი უთქვამს და გათხო-
ვ ნუ შეიწუხებთ თავს ასეთი შენიშე-
ნებით.



— პა! პა! პა! მაშ „თქვენად“ არა სთვლით ახლანდელ მთავრობას... აი ამიტომ მიბრძანეს თქვენი დატუსაღება მოქალაქე ვაჩნაძე — მიპასუხა ჩეკისტმა და თან ფეხის ხვრელში შეიხედა.

— შეასრულეთ ბრძანება თქვენი ბატონებისა! არ მსურს თქვენთან მასლაათი! — შევეუტეე ნავანის პატრონს. ჩეკისტი სწრაფად მიუჯდა მაგიდას და შეუდგა წერას. მალე გამოიწოდდა დამზადებული ნაბეჭდი ქაღალდი, შევსებული მისი ნაწერი — მოქალაქე დ. ვაჩნაძის ბინის გაჩხრეკამ აღმოაჩინა აღკრძალული იარაღი და წერილი - საბუთები, ფეხში დამწვარი. დაკითხვის დროს მოქ. ვაჩნაძემ უდიერად მოიხსენია ახლანდელი მთავრობა-ო. — მოაწერეთ ხელი! —

— ეს თქვენი ოქმი თავიდან ბოლომდე სიყალბეა. მე არამც თუ არ მოვაწერე მას ხელს, არამედ თუ თქვენ ამისთანა სიყალბეს წარუდგენთ თქვენს უფროსებს, მე გიჩვილებთ ჩემი ბინის გაცარცვას და პროვოკაციის გაწევას! — გულმოსული მივაძახე ვერაგ ჩეკისტს, მით უფრო გაბედულად, რადგან ვიცოდი, რომ ბოლშევიკური ძალაუფლება ნაკლებად ფენზომავრებული საქართველოში, ჯერ ერიდებოდა ქართულ წრეებში რუსულ - ბოლშევიკური წესების შემოღებას.

მან უსიტყვოდ დაკეცა თავისი „ოქმი“, ჩაიღო უბეში და მუქარით მითხრა: — მაშ კარგი... ჩეკაში გავარჩიოთ... აბა წამოიყვით!

გამოვეთხოვე ამ სცენით დაფეთებულ ცოლშვილს და გავყევი ორ უცხოელ ჩეკისტს, მომწყვდეული მათ შუა. მესამე — ქართველი — საღლაც გაჰქრა. რუსთაველის გამზირას რომ დავადექით, გზად გვხვდებოდა ასეთივე ჯგუფები დაქერილ ქართველებისა შეიარაღებულ დარაჯთა თანხლებით.

ამიყვანეს სასახლის გვერდზე ეროლოგის ქუჩით და მიმიყვანეს ყოფილ თბილისის გუბერნატორის ახალ სახლში. შიგნით მატარეს მიხვეულ - მოხვეული დერეფნებით, ასავალ - ჩასავალი კიბეებით, რომლის კუთხეებში ლანდებსავით, უხმოდ ატუხული იდგნენ რუსი სალდათები და ბოლოს მიმიყვანეს ერთ პატარა სარდავის კარებთან. კარის კაცმა შეჰყო კლიტეში დიდი გასაღები და ფეხისკვრით გააღო კარი. თვალ წინ გადამეშალა ორი პატარა ჩანწლებული ოთახი, ხალხით გატე-

ნილი. ზოგი იჯდა იატაკზე, ბევრი იწვა, ზოგი ფეხზე იდგა. სიბნელის გამო ვერავისა ვსცნობდი.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! დათას ვახლავართ! კაცო, ამდენ ხანს გელოდებით, რაზე დიავიანე?! — მომესმა აქეთ - იქიდან ნაცნობი ხუმარა ხმები. — შენთვის ადგილიც კი მაქვს შემონახული — მიყვირა პოლკოვნიკ დავით შალიკაშვილმა, გაწოლილმა განიერ და გრძელ ტახტზე, რომელზეც სარდინკებსავით ერთმანეთზე მიკრულთ, ეძინა ოციოდე კაცს. დავაცქერდი ხალხს: — მთელი პოლიტიკური საქართველო აქ იყო წარმოდგენილი! სოც. - დემ., სოც. - ფედ., ეროვნულ - დემ., სოც. რევ. და მხედრები. ..

გათენდა. ორ პატარა ოთახში, საღაც ოცი კაცი თუ დაეტევოდა. 80 ადამიანი ვეყარეთ. ამ ჯოჯოხეთურმა სივიწროვემ და დახშულმა ჰაერმა მაინც ვერ გაუტეხა ქართველთ ჩვეულებრივი კაი გუნება. დარაჯებმა შემოიტანეს ცხელი წყალი.

— აბა, ყმაწვილებო, დავეწაფოთ ჩინურ ჩაის. ამოალაგეთ ხურჯინებიდან ვისაც რა გაბაღიათ, რომ ბოლშევიკურ სამოთხეში წაბრძანება შეიმსებუქოთ — მოისმა მხიარული ვეჭილის, ოსიკო ბარათაშვილის ხმა დაფარული ტუსაღთა საერთო ხარხართ... —

— ამის მაგალითი ფედერალისტებმა გვიჩვენონ; შენახული ხალხია — წამოიძახა კოჭლმა სოც. - დემ. კონიაშვილმა.

— აბა, რასაკვირველია, პროლეტარიატის პარტია ხომ არ გვიჩვენებს ამის მაგალითს, რომელიც სულ სხვი სი ხურჯინებისაგან მიიწევს, — წაიბუტბუტა ნამძინარევემა დავით შალიკაშვილმა. — დათა! აბა, შენ იცი და შენმა ეროვნულ - დემოკრატიულმა პარტიამ! რა გაქვს შენს ჩენთაში? ამოიღე რაცა გაქვს, რომ დავსცხოთ ჩვენს სოციალისტებს — შემომირბუნა ახლა კეხი მშვიერმა დავითმა.

ცოტა ხნის შემდეგ გაიშალა საერთო ქართ. სუფრა. განურჩევლად „პარტიობისა“, ვისაც რა ებადა, ყველა შემოდიოდა თავისი ფსონითა. ნახევარ ტუსაღობას არაფერი ჰქონდა. იმათაც ძმურად მიეზომათ წილი საუზმისა. ასე და ამგვარად, მოწინავე პოლიტიკური ქართველობა დაუხვდა თავის პირველ ტუსაღობის დღეს — დილა 11 თებერვალს 1922 წელს დედაქალაქ თბილისში.

— რა დაგვემართა რომ ამ ორმო-

ში ჩავცვივდით? ან რა მოგველის ხვალ? — უცბად, ოხვრით წამოიძახა ვილაცამ საერთო ჩამოვარდნილ დემოკრატიულ მილში.

— ბიძა, აქამდის ვერ მიხვდი? ამ ორმოში ჩავყარა ჩვენმა გამოფიტულმა ეროვნულმა შეგნებამ, ქრისტეს სახარების მაგიერ მარქსის რჯულზე გადანათვლამ, დავით აღმაშენებლის მაგიერ დამანგრეველ ნოების გაღმერთებამ! გვეკითხები: რა მოგველის ხვალაო? რა და უარესი ვიდრე მონღოლთა ბატონობის ხანაში. მონღოლებმა ფიზიკურად გამოხრეს საქართველო, ხოლო მათი მემკვიდრე რუსი ბოლშევიკები ახლა სულსაც ამოგვართმევენ, ამოგვაშრობენ — უპასუხა თბილისის ნოტარიუსმა, გიორგი მაჭავარიანმა, მუხლმოკეცილად ტახტზე მჯდომმა, კრილოსანით ხელში.

მაჭავარიანის მკვახე, ბრაზიან სიტყვას ცხარე კამათი დაერთო. სოც. - დემოკრატები თავს იმართლებდნენ; ეროვნულ - დემოკრატებს მათზე იერიშები მიჰქონდათ; ფედერალისტები „ნეიტრალიტეტს“ იცავდნენ. და ხან ერთ მოკამათე მხარეს კვერს უკრავდნენ, ხან მეორეს.

ქართველურმა ჩვეულებრივმა ხმა მღლა კამათმა გარედ მდგომ დარაჯების ყურადღება მიიზიდა. დავიკაკუნეს. მაგრამ კამათი მაინც ვერ დააცხრეს. უცბად გაიღო კარი და გაჭედო ხალხით ჩვენს საკანში შემოიჭრა წითელ - არმიელთა თანხლებით, კომენდანტი — ცნობილი ჩეკისტი ტერ - სარქისოვი და გააფთრებული წაგვადგა თავს. გადაგვხედა ყველას და გვიყვირა:

— ეს რა ამბავია? სატუსაღოში პარლამენტის კრება მომიწყვეთ? დაწყნარდით, თორემ სხვა ზომებს მივიღებ... —

შემთხვევით, ტახტის ნაპირის შუა გულზე ვიყავი ჩამომჯდარი. ტერსარქისოვმა იფიქრა, ალბათ ეს კაცი იქნება ამ კრების სულის ჩამდგმელი და მრისხანე კილოთი მომმართა:

— ალბათ თქვენ მოგაწყვიათ ეს კრება და მას თავმჯდომარეობთ?! (ვაზგლავლაეტე).

— მე კი არ მომიწყვია ეს კრება, არამედ თქვენ და თქვენმა ბატონებმა, რომ შეგვავროვეთ ამ სარდაფში. თავმჯდომარეობაც არ მიკისრია, რადგან ამ სიფიროეში ყველა ერთმანეთს თავებზე ვასხედვართ (სიღიმე ნა გოლოვან დრუგ დრუგა).

— თქვენ მემასხრებით კიდე?!

გაჩვენებთ სერს — დამემუქრა სომეხი ჩეკისტი და გაბრაზებული, თავისი შეიარაღებული მსლებლებით, გატრიალდა გასავალ კარებისაკენ. — ეხლა კი უნდა გამოგვემშვიდობო, ძმარ დათა. საიქიოს შენს გასტუმრებას ეს სომეხი თუ ვერ გაბედავს, სააქაოს კი ნაღდად ჩავამწარებს — მითხრა სიცილით შალიკაშვილმა.

— ვერაფერსაც ვერ უზამს, ტრახახობს — მოისმა აქეთ - იქიდან სხვე ბის ხმა. მაგრამ იმ ღამეს ცუდად მეძინა. ველოდებოდი ტერ სარქისოვის მუქარის შედეგსა. გათენებისას გაინმა ბრძანების მაღალი ხმა:

— შეპკარით ბარგი და გამოდით გარედ!

სხვებთან ერთად მეც წამოვიჭერ ფეხზე და შევეკარი ჩემი ბარგი - ბარხანა.

გარედ ეზოში იდგა ტერ სარქისოვი და ანბანზე შემდგარ სიიდან ასახელებდა ტუსალებს, რომელნიც დაძახებაზე გადიოდნენ გარედ და სდგებოდნენ მწკრივში. უკვე კაი ხანია რაც ჩემი გვარი ალფაბეტის რიგს გადასცდა. ჩემი საკანიც ცარიელდებოდა და მალე ყველა გარედ იყო გასული. დავრჩი მარტოდ საკანში. — ვიფიქრე: ახლა კი ჩაუყარდი ხელთ ტერ სარქისოვს შურისსაძიებლად... ეზოდან გაისმა სამხედრო ბრძანება:

— სმენა! მარჯვნივ! წინ წააა! — ტუსაღმა მწკრივი დაიძრა... ყველა თავმობრუნებული მიაჩერდა ჩემ ფანჯარას ...

— დავით ვაჩნაძე, გამოდით! იყვირა ტერ სარქისოვმა.

მეც დავავლე ხელი ბარგს და ნელის ნაბიჯით გავეღო ეზოში. წინ, ირონიული ღიმილით, დამხვდა ტერ სარქისოვი. გავუყარე თვალი თვალს. ჩეკისტმა სახე მიიბრუნა. ჩავდექი მწკრივის ბოლოში, რომელიც გრძელ მანძილზე ვაჭიმული, პეტრე დიდის ქუჩაზე, გარშემორტყმული რუს წითელ არმიელთა ხიმუტების ტყით, მიიზღაზნებოდა სოლოაკისაკენ. მიგვერეკებოდნენ მეტეხის ციხისაკენ...

წინა დღეს, ხანში შესულ გიორგი მაჭავარიანს ცოლმა გამოუგზავნა ჩეკაში, ლეიბი, ბალიში და საბანი..... ნაჩქარევად თოკით აკრული ეს საგრძნობი ტვირთი, ზედ-მიკრულ საჩაიე ჭურჭელითა, რომელსაც ზურგიით მიათრევდა ნოტარიუსი, უცაბედად მოსწყდა მის მხრებს და დაეცა მიწაზე. საჩაიე ჭურჭელი ყლარუნ - ყლარუნით გადაგორ - გადმოგორდა ქუ-

ჩაზე. მივცვივდით მისაშველებლად და ბარგის ასაკრებად.

— გაგიყებულა ჩემი ცოლი... აქ ლემის ტვირთი რომ ამკიდა... რა გამოსავლანი იყო ეს თხერი ლეიბი! დასწყევლოს ღმერთმა მენშევიკები! რა უბედურებაში ჩავგავადეს! — იწყევლებოდა გულმოსული თბილისის ცნობილი ნოტარიუსი.

ამ ალიაქოთში ჩვენი კული მოსწყდა მწკრივს. წითელ არმიელები ყვირილით მისცივდნენ მაჭავარიანს. გაჩნდა თეთრ ცხენზე მჯდომი ჯამუხა კაციც, ქერა უღვაშებით.

— ამხანაგო! საავარაკოთ ხომ არ მიბრძანდებით - ამ უშველებელი ბარგითა? თქვენი ხაზავის გულისათვის მთელი მწკრივი აიშალა და ჩერდება. — უყვირა მაჭავარიანს ცხენოსანმა.

— საამხანაგო თქვენთან არაფერი მაქვს... ჩემთვის ნუ შეწყუბდებით. წაბრძანდით! დაგეწევით — მიუგო კვივად მაჭავარიანმა. და თან კვლავ ზურგზე მოიკიდა თავისი საპალნე. გარშემო ისმოდა სიცილი და ოხუნჯური შემოდახილი. შოთა დადიანმა ჩაიმღერა რუსულად: „კმარა ცრემლი, დაღვრემილობა“... (სლენხ დოვგონო, პროჩ პეჩალ...). თეთრ ცხენზე მჯდომმა უღვაშებთანმა მიუგდო ცხენი დადიანს, გადმოიხნიქა უნაგირიდან და მოაძახა მას საპასუხოდ სხვა რუსული სიმღერის სიტყვები: „იჭიკ-ფიკიკე, მერცხალო, იჭიკიკიკე“ (პოი, ლასტოჩკა, პოი).

ეს ცხენოსანი იყო ჩეკის ცნობილი ჯალათი აარონ შულმანი.

— მომშორდი, ნუ მიცქერ... მომეცალე თვალთავან... (ოტოიდი, ნე გლიადი, სკოროსია ს გლავ ტი მოხი). ხალხის სიცილ - ხარხარის თანხლებით, მოსწრებულად, სიმღერითვე უპასუხა შოთა დადიანმა აარონ შულმანს, რომელმაც სიცილით ხელი ჩაიქნია და თავისი თეთრი რაშით მართლაც ვაგვიქრა თვალთა ხედვიდან.

ავლაბრის ხიდ ვუახლოვდებოდით: შაჰაბაზის მეჩეთთან შეგვაჩერეს; რუსი სალდათები ამოგვიდგინენ ორივე მხრიდან, ერთმანეთზე მხარდა-მხარ მიკრულნი და ჩვენსკენ ხიმუტებ მოშვირილნი.

— რა ამბავია? ამ მხეცებმა სამწვადეთ ხომ არ დაგვიმიზნეს? — დამეკითხა ჩემს გვერდზე მდგომი, ქართველი მუშა. ასოთამწყობი.

— ჯერხნობით არა! მაგრამ თუ გაბედავ თავის სახსნელად ხიდიდან გადავარდნას მტკვარში, მაშინ კი ხიმ-

ტზე აგებას ვერ ასცდები, — ვუპასუხე მას.

ნელის ნაბიჯით მიმავალი მძიმედ გადავდიოდით ავლაბრის ვაკეზე ისტორიულ ხიდს, უშუალო მოწმეს ჩვენი ერის როგორც დიდ ტანჯვათა ისე მისი დიდად ბრწყინვალე დღეებისაც, ამ ხიდზე მრისხანე ჯგულად დონი აყრევენებდა თავებს ქართველ მამულიშვილებს. ამ ხიდზე გაისმოდა ხოლმე ქართველთა გამარჯვების კიჟინაც, როცა იგი ერეკებოდა მტერს განთავისუფლებული მეტეხიდან...

მაგრამ დღეს, ქართული ისტორიის ბედის ტრიალით, მტერი ჩვენ გვერეკებოდა ძველი გოლგოთის წამების გზით დაპყრობილ ქართულ მეტეხისაკენ.


დ. ვაჩნაძე

სტამბოლი, 1925.

„ჩვენ ერთნი ვართ“

თვით ავტორი, ბ-ნი ვალიკო მალლაკელიძე აღნიშნავს, მაგრამ რედაქცია განსაკუთრებით იმეორებს, რომ ბ-ნი მალლაკელიძის წერილი სომეხი ერის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ მხოლოდ ბოლშევიკური პოლიტიკას ჰგმობს იგი. ამიტომ ამ წერილით ნურავინ ბოროტად ნუ ისარგებლებს და მეზობელი ერის წინააღმდეგ ვალაშქრებას ნუ დაგვწყამებენ. რედაქცია.

„ჩვენ ერთნი ვართ“, „ჩვენში არ უნდა იყოს სხვაობა: რუსი, სომეხი, უზბეკი, ჩუვაში, და სხვანი, — ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“; „ჩვენ უნდა გვიყვარდეს ურთი - ერთი სტალინური კონსტიტუციი მიხედვით“; — „ჩვენ მოვსაეთ ყოველგვარი ნივთიერი, პოლიტიკური და ეროვნული სხვაობა, გავხდით ერთნი“! — ასეთი არის ბოლშევიკების ლოზუნგი და მუდმივი ქადაგება! მაგრამ სწორედ ამ ლოზუნგებს ამოფარებულნი, უკუხო თესლის შვილნი ისე დათარგმობენ საქართველოში, როგორც ნეზაზეთ. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისე როგორც ყოველ მის კუთხეში საუკეთესო თანამდებობაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე თქვენ ხვდებით რუსობას, განსაკუთრებით, სომხობას და რუსის ებრაელებს. ნახავთ, რომ შინსახკომი სავსეა სომხებით და რუსებით. ასევეა ეკონომიურ დაწესებულებებშიც, სახ. მალაზიებში, კოოპერატიულ ღუქნებში, სახალხო მეურნეობის მთავარ ბაზე-



ბში, ყველგან სომხობა და რუსობაა. თქვენ ნახავთ ვიღაც კარაპეტისანს სახალხო მოსამართლედ. თქვენ ბედ-ილბალს შინსალკომის კედლებში სომეხი ჩეკისტი სწყვეტავს ან რუსი-ებრავლი. თქვენ ვერაფერს ვერ იტყვი, რადგან „ჩვენ ერთნი ვართ!“ და ამ ლოზუნგის ქვეშ დაუწყეს ძი-რის გამოთხარს ქართველ ერს...

უცხოეთიდან შემოსულმა სომხო-ბამ განსაკუთრებით დიდი აკტივობა გამოიჩინა. მაგალითად: ბ-ნი იშხა-ნოვი გახლდათ ქალაქი თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის მდივან-ი, იგი მეორე ბერიად ითვლებოდა! აი; ბატონებო, ამ დიდმა კაცმა, იშხა-ნიანმა თავის ირგვლივ მოიკრიბა ახ-ლად მოსული მოყვანილი სომხობა, მის მიერ ხდებოდა ყველა „ქონიან“ ადგილზე სომხების დანიშვნა; რო-დესაც ქართველი ადამიანი: აგრო-ნომი, ინჟინერი, ტექნიკოსი და სხვა ხელობის ხალხი თავის სამშობლოში უმუშევრად დადიოდნენ. და უბინა-ოდ იყვნენ, რადგან პირველ რიგში ბინები ახლად მოსულ სომხებს უნდა მიერთება.. აბა, გაბედეთ და დასძა-რით კრინტი, — თქვენი საქმე უკვე მოჩრჩობილია.

თქვენ ნახავთ სომეხ გამოძიე-ბელს, რომელიც ურტყავს, აწამებს, ასახლებს, ხვრეტს განუკითხავად...

თქვენი სიცოცხლე - სიკვდილის საკითხს სწყვეტს ვიღაც ლენინაკა-ნიდან ან ერევნიდან ან სხვა მხარე-დან მოსული სომეხი ბ-ნი იშხანოვის განკარგულებით ან რუსი, ან ებრა-ელი!

იშხანოვის პროექტით ერთ დროს მოსპობილ იქმნა შრომის ბირჟა, რა-თა ევროპისათვის ეჩვენებინათ, რომ უმუშევრობა არა გვაქვსო! წინად ბირჟაში თქვენ ნახავდით დილის 8 საათიდან უმუშევართა საშინელ რიგებს! მოსპეს ეს ბირჟა, მაგრამ ამით უმუშევრობა არ ამოწურულა! ბირჟის ნაცვლად შემოღებულ იქმნა ეგრეთ წოდებული „კადრების გან-ყოფილება“. რას ემსახურებოდა ის? ყველა კადრების განყოფილებების უფროსებად თქვენ ნახავდით უეჭვე-ლად სომეხს, მაგალითად — : სა-ქართველოს წყალთა სამმართველოს კადრის განყოფილების გამგე იყო: სომეხი გ. ბოგდანოვი; საქ. მიწად-მოქმედების კადრის განყ. გამგე : სომეხი ასატუროვი; საქ წყალსადე-ნის სამმართველოს კადრ. განყ. გა-მგე: სომეხი ვართანოვი; საქ. გზა-ტკეცილთა სამმართველოს კადრების განყ. გამგე. სომეხი ჯაფაროვი საქ.

სატყეო კადრ. განყ. გამგე: სომეხი ვართანოვი; საქ. მძიმე მრეწველო-ბის კადრ. განყ. გამგე: გაბრიელოვი და ასე და ამგვარად ყველგან. სწო-რედ კადრების დაარსებამ ხელი შე-უწყო სხვა ქვეყნებიდან უცხო ელე-მენტების მოყვანას. და ქართველები კი უმუშევრად დადიოდნენ.

თქვენ ნახავდით გაზეთ „კომუ-ნისტ“-ში ან რომელიმე ლამის გაზე-თში განცხადებას — საქ. წყალთა სამმართველოს ეკირეება ბუჰხალ-ტერი, ან ინჟინერი, ან აგრონომი ქ. გურჯაანში ან საგარეჯოში ან მცხე-თაში. პირობების გაგება შეიძლება კადრების განყ. გამგესთანო. რასა-კვირველია, უმუშევარი ქართველ-მანინვე ცხადდება იქ, ბ-ნი ბაგდა-ნოვის შრომის წიგნაკს და განცხადე-ბას წარუდგენს. — კარგი სპეცია-ლისტი ხართ თუ ისე, საშვალო? და პასუხზე უმალ პასუხს ღებულობთ: — შემოიარეთ ერთი კვირის შემ-დეგ! — რაშია საქმე? სასწრაფოდ მოითხოვდენ და ეს კი ამბობს, ერთი კვირის შემდეგ შემოდიო! გაივლის ერთი კვირა; მიდიხართ და ცივ პა-სუხობს ღებულობთ: — საქირო თა-ნამდებობის კაცი უკვე დანიშნულია!

თქვენში იღვიძებს ცნობის მოყვა-რობა, თუ ვინაა დანიშნული და ტყობილობთ, რომ დაუნიშნავთ ვი-ღაც ლენინაკანიდან გადმოსახლე-ბული სომეხი მაცაკანოვ. ეს ტრალე-ლია კარგად იციან ქართველმა კო-მუნისტებმა, მაგრამ აბა სინჯონ და

სიქვან რამე! როგორ შეიძლება დე-არღვიო ლოზუნგი — „ჩვენ ერთნი ვართ“!? და თუ ასეთი გამჭედავი აღმოჩნდა ვინმე — მისი გზა არის სასაფლაოსაკენ. რამდენი ქართველი გამოესალმა სიცოცხლეს: — სომე-ხის, რუსის, ებრაელის ხელით! ჩვენ არ ვლაპარაკობთ აქ, რასაკვირვე-ლია, თვით ქართველ ჯალათებზე. ქართველს საქართველოში ბინაც კი არა აქვს. მრავალი უბინოდ არის დარჩენილი და ბევრი ასე ნატრობს: ნეტავ უცხო ვიყო!

რატომ უნდა ხდებოდეს ეს? ყველაფერი ამის მიზეზი არის კო-მუნისტური რეჟიმი. კომუნისტური ხელიუფლების დროს ყველა ერმა განიცადა სასტიკი დევნა, დამცირე-ბა, დაცინვა, მაგრამ ისე ძლიერად და მტკივნეულად როგორც ეს ქარ-თველობას თავს გადახდა, არც ერთ ერს სხვას არ განუცდია.

ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური ბატონობის ხანაში, თორემ ნორმალურ პირო-ბებში ყველა ერს და მათ შვილებს თავისი საკუთარი ასპარეზი აქვთ

„ჩვენ ერთნი ვართ“ არის ერების აღრევის პოლიტიკა, ერთი - მეორეზე გადაკიდებისა და შუღლის პოლი-ტიკა და ეს სჭირდება ბოლშევიკურ ძალაუფლებას, რათა მან იოლად და თავისუფლად ითარეშოს. მაგრამ დიდ ხანს ვეღარ გასტანს მისი ბო-როტი არსება...

ვალიკო მალლაკელიძე

საქანნი ნომერი 19

ვინაიდან ავტორს განზრახული აქვს, მოგონებანი „საკანი ნომ. 19“ კალკე წიგნად გამოუშვას, ამიტომ კრებულში „მამული“, მხოლოდ ნა-წყვეტებს ვათავსებთ.

გათენდა კვირა-დღე. საპირფარე-შოში ჩვეულებისამებრ გაგვიყვანეს, დილით ადრე და სამაგიეროდ დავ-ყავით იქ 20-ის მაგიერ 30 წუთი. ას-ევე ამ დღეს წყალი ე. ი. ჩაი აღმოჩ-ნდა უფრო ცხელი და შედარებით, მგონი, მეტიც. პური ჩვეულებისა-მებრ იყო. (პური, იმის მიუხედავად, რომ პირველ მომხმარებელ საგნად ითვლება, საბჭოთა კავშირში მაინც დეფიციტური საქონელია და არავი-თარ შემთხვევაში, არამც თუ ციხე-ში, არამედ გარედაც - კი ნორმების გადიდება არ შეიძლება, იშვიათ გან-საკუთრებულ შემთხვევათა გარდა.

ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელმწი-ფოს სურს გამოუწუწუნოს უკანასკნე-ლი სისხლი მშრომელ გლეხ - მუშა-მოსამსახურეს, და ამ შემთხვევაში აწესებენ ანუ ხსნიან ეგრეთ წოდებულ საკომერციო ღუქნებს, სადაც ყოვე-ლი პირველ - მომხმარებელი საგანი: პური, შაქარი, საპონი და სხვა ამგ-ვარი გადიდებული ფასით იყიდება ნორმებს გარეშე. რა თქმა უნდა, ყვე-ლა მიაწყდება და ყიდულობს, ამ ცე-ცხლის ფასით, სანამ ნივთიერი იმა-ლა შესწევს. შემდეგ ამისა ეს ღუქ-ნები იკეტება, რადგან მომხმარებ-ლებს ღუქნების მოსამსახურენი აჭარ-ბებენ და ვინაიდან მთავრობა ზა-რალს არ ითმენს, მაშინ ან კეტავს ან ხშირად მათ რაოდენობას ამცირებს. ხალხი ამას უწოდებს: „მუშათა და გლეხთა რიგით მოწველას“, ხოლო „მობილიზაცია ვნუტრენის რესუ-

როგო“, მთავრობის ტერმინია).
პატიმრებმა საჩქაროდ მოათავეს დილის საუზმე და ყველა ფაცაფუცს შეუღდა. ყველა რალაცას სწერდა, მაგრამ რას, ან ვის, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო.

ბოლოს ისევ გიორგიმ მითხრა — დღეს გადაცემის დღე ანუ ასე წოდებული პერედაჩების დღეა, და თუ გსურს მისწერო რამე შენს ცოლს, ამას გავაკეთებ ჩემი პერედაჩის საშუალებითო. ასეც მოხდა. გიორგიმ მისწერა თავის ცოლს, ენახულა და გაეცნო ჩემი მეუღლე და ამასთან შემდეგისათვის ესწავლებინა, თუ როგორი საშუალებით შეიძლებაო, საიდუმლო მიწერმოწერა გვქონოდა.

ეს საიდუმლო მიწერმოწერა თურმე მრავალგვარი ყოფილა. რა თქმა უნდა, ბევრი საიდუმლო მიწერმოწერა ჩეკისტთა უგარდებოდა ხელთ, გადაიღებენ მის ფოტოს და შემდეგ მავკე სახით, ვითომ მათ არაფერი იციან, სდებდენ წერილს, სადაც ჩაკრებული ან ჩადებული იყო. მაგრამ ნაწილი მაინც დანიშნულებისამებრ საიდუმლოდ რჩება. აი, ამ ფაცაფუცში იყვნენ ამ კვირა დღეს საუზმის შემდეგ ტუსალები!

გიორგიმ საჩქაროდ მოათავა თავისი ბარათი და შემდეგ მე გადმომცა ფანქარი და პატარა ნაგლეჯი პერგამენტის ქალაღისა და მეც საჩქაროდ დავსწერე: —

ძვირფასო! რაშია ჩემი საქმე? რა ბრალდება მაქვს, თუ იცი? ინახულე მელაძე, სთხოვე დაურეკოს ლორთქიფანიძეს; ის ეტყვის მიზეზს; როგორ არიან ბავშვები? ჩემს საქმელზე ნუ იფიქრებ, აქაური კვებით ვკმაყოფილდები. შემომიგზავნე მარტო საცვლები, ასევე ფანქარი და პერგამენტის ქალაღი. გიორგის ცოლი გასწავლის, რა სახით. ისე სხვას არავის ენდო, და არც სადმე წამოგცდეს, რომ მიწერმოწერა გვაქვს. სჯობს, დროებით ერიდო ნაცნობებსა და ნათესავებს. არც სახლში უთხრა, გესმის? მარტო ორმა უნდა ვიცოდეთ. დამიკოცნე ჩემი გვრიტები.

პირველ საათზე დაიწყო „პერედაჩის“ შემოგზავნა. გიორგი და სხვებიც მეტად ლელავდნენ. გაიღო კარბი:

— ალექსანდრე წერეთელი! ბარდლა კობია! ვართან სარქისიან! — დაიძახა მეკარემ და სამი კალათი შემოსდგა საკანში. პატრონებმა სასწრაფოდ ამოალაგეს შემოგზავნილი და ჩაალაგეს უკან დასაბრუნებელი ნივთები. ფრთხილად, სხვა ტუსაღე-

ბის შეუთმნევილად, მიმალ - მომალეს საიდუმლო წერილები... კვლავ გაიღო კარი და კიდევ შემოსდგეს სამი „გადაცემა“, რომელში უკვე გიორგისა იყო. მან ასევე გაამზადა თავისი ჩანთა და მანაც კართან მიიტანა დასაბრუნებლად. „გადასაცემზე“ შემბულია პატარა კარდონი და ზედ აწერია ტუსალის სახელი და გვარი. გამომგზავნი სწერს: გიგზავნი ამას და ამასო. მიმღები სწერს: მივიღე ყველაფერი, გიბრუნებ ამას და ამასო. კარგად ვარ, შენი ესა და ესო.

ჩვენს საკანში „პერედაჩას“ ყველა დებულობდა, გარდა იმ პირთა, რომელთაც არავინ გააჩნდათ, ან შორიდან იყვნენ მოყვანილი. ამ შემთხვევაში მიმღებნი მათ ყოველთვის უწილადებენ ხოლმე. ხშირია შემთხვევაც, რომ „პერედაჩის“ მიღება ტუსას ეკრძალება. ეს დამოკიდებული არის გამომიღებელზე, და ერთი მეტოდთაგანია პატიმარის გამოტეხისათვის.

მოთავდა გადმოცემების შემოგზავნა. ბევრს შეეცვალა ამას შემდეგ გუნება. ყველა ფიქრს მიეცა. ყველა თავჩაქინდრული იყო და ძაფზე დაკიდებულ ბედს ათასნაირად სწონიდა. ბევრს ცრემლი მოერია, აქვითინდა და პირქვე დაწოწილი ცრემლით ასველებდნენ ისედაც ნამიან საკანს. არავის არ აინტერესებდა ამ წუთში ახლად შემოგზავნილი, ოჯახში გაკეთებული ხარჩო, მოხარული ან შემწვარი ხორცი, მწვანე ხახვი, ყველი და „სისხლით ნაყიდი“ შოთი პური. მათი დღევანდელი მოლოდინი თავი ანთი ბედისა და ოჯახების მდგომარეობის გაგებას მიელოდა. მაგრამ კარგი ვერც ერთმა ვერ გაიგო. —

„ბავშვები სკოლიდან დაითხოვეს“, სწერდა ერთ პატიმარს მისი ცოლი, „მავნებელის შვილები არიან“—ო. მე დამლაგებელის ადგილი ვიშოვნე, ვმუშაობ, მაგრამ ვაი ამ მუშაობას! წარსული თვის ხელფასი, რომელიც 165 მანეთს უდრიდა, ხელიდან გამიქრა: აქედან დამიკავეს „ნებაყოფლობითი სესხის ხუთწლიანი ორ წელიწადში“, „კავშირის“, „კულტურ-გადასახადი“, და სხვა „საზოგადოებებისა“ 40 მანეთი; დანარჩენი ვალების ნაწილში გადავიხადე. ნახევარზე მშვირები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ თინა დასთან გავგზავნე სოფელში. აღარ ვიცი, რა ვქმნა. შენი საქმე როგორ არის? ისევ დაუკითხავად ზიხარ?... — ასე სწერდა პატიმარს მეუღლე...

„მეტი მოთმინება აღარ შემწევს,

სწერდა მეორე თავის ქმარს — ლამის თავი მოვიკლა! ამ სამი დღის წინად ვილაც ორი მოქალაქე მოვიდა ჩვენსა. როგორც გამოიკვია, ერთი თბილისის საბჭოდან სახლების კომუნდანტი ყოფილა; წინადადება მომცეს, უნდა შემჭიდროვდეთ! ბინები არა გვაქვს და ერთი ოთახი ამ მოქალაქეს უნდა დაუთმოო. მე უარი ვუთხარი. მერე როცა გამოარკვია, რომ შენ ციხეში ყოფილხარ, ლაპარაკიც აღარ დამიწყო. ორივემ გამომიყარა ოთახიდან ბარგი და ასე ჩასახლეს ვილაც კაცი. ბევრი ვიყვირე, რომ ეს ერთი ბინაა, რომ მეორე ოთახს კარი არა აქვს, გასავლელია, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მომაქციეს. — თქვენს ბინაზე ვივლით ნუ გეშინია, მეგელი ხომ არა ვარო, რო შეგჭამო და სხვა. საცა მივედი საჩივრელად, პირველად შენ გკითხულობენ... ენა მეტებმა... მაცნობე, როგორ მოვიქცე...

ყველამ მიიღო შემაწუხებელი წერილი. ჩემმა ნაცნობმა, გიორგიმაც ვერ მიიღო კარგი ამბავი. მასაც სწერდა შვილი: — დედას ფილტვების ანთება დამებრათა, მეტად დასუსტებულია; გასაყიდი აღარეფერი გვაქვს და აღარ ვიცი, რა ვქმნათ-ო.

— უბედურებას უბედურება მოსდევს, ჩემო მიხა, — მითხრა თვალზე ცრემლმორეულმა გიორგიმ. — რა ვქნა, აღარ ვიცი! როდის უნდა მოეღოს ბოლო ამდენ ტანჯვასა და უსამართლობას! აგერ უკვე მეშვიდე თვეა რაც აქა ვზივარ და იქ გარედ ჩემი ცოლშვილი სტირის თავის გაჭირვებას და ჩემს მოლოდინში სული ამოსდით! მითხარი, რა ვქნა? რა ვუყო? ოჰ, ღმერთო! გადმოხედე ამ უსამართლობას! — შესძახა მან ხმა-მადლოვ და ტირილი დაიწყო. მას აპყვნენ სხვები და ისეთი საზარელი ამბავი შეიქმნა, რომ ძლივს დავაწყნარეთ მეტისმეტად გამწარებულნი.

— კმარა ხალხნო! — იძახდა საკანის მამასახლისი, — რას იზამთ! აბა დაიხოცეთ თავები! მარტო თქვენ ხომ არა ხართ? ასეთი ღრიალით საქმეს რა ეშველება? კმარა! — გაიმეორა მან და მოხუცს, 62 წლის სანდრო ბაზერაშვილს ცოტაოდენი პური და პატარა ყველისა და ხორცის ნაჭერი გადასცა.

— მიირთვი, ძია!
— მადლობთ, შვილო, რაზე სწუხდებით. გიცოცხლოს პატრონი! — უთხრა მოხუცმა და ცრემლ - მორეულმა აკანკალებული ხელით ჩამოართვა მირთმეული. ამის შემხედვა-

რე სხვებიც თავის ადგილზე მოთავსდნენ, დახსნეს, ვისაც რა ებადა და ვახშობას შეუდგნენ.

დრო ისე გასულიყო, რომ გავკვირდით, როცა კარი გაიღო და საღამოს ულუფა (თბილი წყალი) შემოდგეს ვედროთი. მოათავეს. დიდხანს ისხდნენ. ლაპარაკობდნენ.

— კიდეც არ შეძინება, რა ვქნა, რა ზომები მივიღო!

— ასე იცის პირველად, — მეუბნება გიორგი. უკვე ყველამ დაიძინა. ერთი პატიმარი ავად არის, უკვე ორი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ კომენდანტი გაფრთხილებულია, ავადმყოფი დღემდე მაინც უყურადღებოდ გდია. სიტყვ აქვს საწყალს, მაგრამ ვინ არის პატიმარი!

— მიშველეთ, ხალხო! მიშველეთ, ძმებო, ქრისტიანებო! — კვნესით გადახანის ხოლმე იგი ხანგამოშვებით. — ვიწვი! ვაიმე, ჩემო საცოდავო ცოლშვილო... შემდეგ, ერთი ღრმად ამოიხრა და სუნთქვაც სამუდამოდ შეუწყდა.

— საწყალი! — დაღვრემილი, დაბალი ხმით წამოიძახა გიორგიმ და საკანის მამასახლისი გამოაღვიძა.

საჩქაროდ დაუკაუნეს შეკარეს, აცნობეს პატიმრის სიკვდილი, მაგრამ პასუხი მოკლე იყო:

— დილაზე გავიტანთ! — და ამით შეწყდა კარებში ამოჭრილ პატარა ჩუჩრუტანიდან შემოსული ხმა.

თითქმის ყველამ გამოიღვიძა ყველა სინანულს გამოსთქვამდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა — საწყალი! საწყალი!

შემდეგ ცხედარი აიღეს და დაიბრუნეს. გაფენილ თავისავე საბანზე დასვენეს; დაფარეს პირზე პირსახოცი და დაღვრემილი ტუსალები თავთან ადგილებზე დასხდნენ. არავის არ ეძნა, ყველა ღრმა ფიქრში იყო და გაბრუნებული ერთ წერტილს მიხივებოდა.

— ს-უ-უ-უ-უ...! — თითქოს ხმაურობდა ვინმე და აჩერებდნენ... — დაწეით! — სთქვა მამასახლისმა და ვერც კი მოასწრო ამის თქმა, რომ უცბად კარი გაიღო და მეკარემ ვიღაც შუახანის კაცი შემოაგდო საკანში. ყველა გატრუნული იყო. ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქო აქ არაფერცნობდნენ. მაგრამ დაღვრემილი მოხუცის წერეთლის ფილტვებმა დაარღვია მუდღერობა...

ახლად შემოგდებული კართან იყო ატუწული, გაშტერებული იღვა და კანკალებდა.

— რა რჯულის ხარ? — შეეკითხა

მამასახლისი სტუმარს.

— ქართველი ვარ.


— მოდი აგერ, აქ ჩამოჯექი, — მიუთითა ნარზე.

— რა გვარი ხარ? საიდან?

— აზიანიძე ვარ გვარად. სამტრედიიდან ჩამომიყვანეს, აგერ ორი საათი იქნება. გზაში ძან შემცივდა, გავიყინე. სამტრედიის ჩეკაში ვიჯექ 7 თვე. გუშინწინ გამომიცხადეს, თბილისში უნდა გადავიყვანოთ, მოემზადეო. არ ვიცი, რა მომეღის! ვერ მოთავდა ჩემი ტანჯვა! შვიდი თვე მაწამეს, რა ვიცი, რა არ მოყვეს. მბრალეებენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ აგიტაცია გიწარმოებიაო. შენის მიზეზით რამოდენიმე ათეული გლეხის ოჯახი ჯერაც კოლექტივის გარეშე არიანო. ძველი რეჟიმის კაცი ხარო და რა ვიცი კიდეც რა! ჯერ სულ უარზე ვიყავი, ვითმინე, რამდენიც შემეძლო, თუმცა ძალზე მცემდნენ, მარა მერე ისე საშინლად მტანჯავდნენ, რომ იძულებული გავხდი მეთქვა: რასაც იძახით, მართალია-თქო! ჯერ იყო გახურებული შამფურები დამადგეს რბილ ადგილებზე მერე ანთებულ სანთელზე მადებებდნენ ერთ ადგილს; თავზე რაღაც რგოლებს მიკეთებდნენ და ისე მიჭერდნენ, მეგონა ეს არის ეხლა გასკდებოა. არც ეხლა გამოტყდებიო? ვიცივე შვილები, დედა, მამა, მარა სულ სიცილში იყვენ — რას მიჰქარავ, რის დედამა, რა შვილები, შენ რასაც გეკითხებით, იმაზე გავგვცი პასუხიო. — არა, ხალხო, არა — მე-თქი! არაფერი არ მითქვამს, არაფერი პრაპაგანდა არ ვიცი, ერთი მშრომელ ვარ, გაუნათლებელი, არაფერი მესმის პოლიტიკის, მარა ვის დააჯერებ! — გიციობთ, რა შვილიც ბრძანდებიო! ოთხი თვე მარტო სამას გრამ პურს და ერთ ჭიქა წყალს მადღევდენ... ჩემს ჭირსუფლებს აუკრძალეს საჭმელის შემოგზავნა. ერთხელ ჩემი ძმა დამხვდა გამომძიებელთან, რომელიც მეხვეწებოდა, დაეთანხმე, რასაც გეუბნებოან, რაზე იტანჯავ

თავსაო, დაგხვრეტამენო, ისე კი, თუ გამოტყდები, სასჯელი შეგიმსუბუქდებაო და ასე ბევრი. — გიყი ხომ არა ხარ, ძმაო, რას ამბობ. ვანა შენ არ იცი? რომელი პოლიტიკური მსახე? — რა ვქნა, ძმაო, გამომიძახეს, მოელაპარაკე შენ ჯიუტ ძმას, იქნება შენ მაინც დაგიჯეროსო. მე სულ უარზე ვიყავი. ერთხელ ხელის თითების ფრჩხილებსა და კანს შუა ვეებერთელა ნემსები შემეიყარეს. ვიყვირე — ვაიმე დედავ, მიშველეთ! მომკლეს! როგორც პირს გავაღებდი, მეორე კაცი ანთებულ სპიჭკას ჩამიგებდა ხოლმე პირში. დავიწვი, დავიტანჯე, კაცი! ბოლოს ენა - დასივებულმა, დავუქნე თავი; ხელით ვუჩვენე, მოგიწერთ ხელსთქო. — აი ესე, შე კაი კაცი, — მითხრა გამომძიებელმა — რაღას გვაწვალდები! იღებ ბრალდებას შენ თავზე? — და მე კილო დაუქნე თავი. იმ საღამოსვე მომცეს საჭმელი, მაგრამ რა მეტყვევოდა? ორი თვე ისე ვვგდ, ხმას არ მცემდენ. როგორც კოტა გამოკეთდი, ისევ გამომიძახეს და მითხრეს — აი ამ ქალღმერთ ხელი მოაწერე და თავისუფალი იქნებიო — და მაჩვენა 12 კაცის გვარები იყო ჩამოთვლილი, რომელთაც მე ვადებდი ვითამ ხელს, რომ ისინი კონტრრევოლიუციონერები იყვენ, რომ ისინი ეწეოდნენ მთავრობის წინააღმდეგ მუშაობას. ამაზე მე უარი ვთქვი. — კიდევ გინდა გავიმეოროთ ყველაფერი? — მითხრეს და მეც შეშინებულმა ხელი მოუწერე. მას შემდეგ აღარ გამოუძახნივართ და აგერ ეხლა აქ რატომ ჩამომიყვანეს, არ ვიცი! — დააბოლოა პატიმარმა აზიანიძემ.

გულდასმით უსმენდნენ იქ მყოფი პატიმრები ამ ამბავს და ხან კამოშვებით სხვა და სხვა საკითხს აძლევდნენ ახალ მოყვანილს; მეტად კოტა ხანი იყო საწყალი სამტრედიელი ჩვენს საკანში. ორი დღის შემდეგ გამოიძახეს, მასთან ორი კიდეც სხვა და ისევ მალე დააბრუნეს საკანში. როგორც გამოირკვა, მათთვის სუ-



რათები გადაელოთ. ძველი პატიმრების დასკვნით, ყველა ამით ჰქონია მისჯილი: დახურეჭა. და მართლაც ... შუალამის 2 საათზე გაიღო კარი და გამოჩნდა ერთის მაგიერ ორი ჩეკისტი, ერთი მათთაგანი იყო გვარად ზარგინავა (უკანასკნელი დამხურეტი იყო). კარის გაღებაზე პატიმრებმა თავი წამოყვეს და როცა დაინახეს, რომ ორი შემოვიდა და ერთი იყო ზარგინავა, საჩქაროდ თავებუ უკანვე დასდევს და გაინაზნენ.

— აბზიანიძე! — მოისმა ხმა ჯალათ ზარგინავასი.

— მე ვარ — დაბალი ხმით ვასცა პასუხი უკანასკნელმა და წამოდგა.

— გამოდი! — აბზიანიძე ადგა, მიიხედ - მოიხედა, ვერ გაეგო საბრალოს, რა ხდებოდა და თითქო პატიმრებისაგან შველას მოითხოვს, კიდევ გადახედა მათ და მწუხარე; ნელი ნაბიჯით გავიდა.

— პიტოვე! — განმეორდა ხმა ჯალათისა.

— ის, — უბასუხა პიტოვემა და ზღაპრით წამოდგა, ამოიღო პაპიროსი და მოუკიდა.

— სკორეე — განმეორდა ხმა და პიტოვეი გავიდა.

— გუგუშვილი! — დაიძახა მესამედ ზარგინავამ და თან სურათს დასედა.

— მე ვარ, — უბასუხა გუგუშვილმა და წამოიწია.

— გამოდი! — მკვახე ხმით უბრძანა ზარგინავამ.

გუგუშვილი ნარის პირზე ჩამოჯდა, ჯერ პაპიროსს მოუკიდა და შემდეგ ფეხსაცმელებს დაუწყო შეკვრა.

— ჩქარა! არ უნდა შეკვრა, ვერე გამოდი! — დაუყვირა ღვინით გაღეშილმა ჩეკისტმა, მაგრამ გუგუშვილი, თითქო არ ესმის მასო, თავისას აგრძელებდა.

— ჩქარა! არ გეპის? — კვლავ დაუყვირეს მას. გუგუშვილმა შეხედა, თავი ჩააქნია და უბასუხა:

— ძან გეჩქარება, ჯალათო! მოესწრობი! ნუ ჩქარობ! მე არ მეჩქარება სიკვდილი; ჩემთვის თითო წუთი ძვირფასია, ხოლო შენ კი, სისხლისმსმელო, გინდა მალე მომისპო სიცოცხლე. მოვდივარ, ჯალათო, მოვდივარ. მოემზადე! მშედობით, ძმებო! — დაიძახა გუგუშვილმა და გავიდა.

კარი უცბად დაიხურა. კიდევ რაღაც ხმა მოგვესმა, მაგრამ უცბად ჩაწყდა.

ყველა მინაბული იყო. აქა - იქ მძიმედ ქმინავდნენ და ოხრავდნენ.

— კარგი, ბიძია! როგორ შეიძლება! ვეებერთელა კაცი ხარ და ტირიხარ! — უთხრა მოხუცმა წერეთელმა ახალგაზრდა, 19 წლის დ. გამრეკელს, რომელიც შიშით მას ჩაკეროდა.

— ვა ჩვენი ბრალიც! — წამოიძახა ვილაცამ და ჩაჩუმდა, რადგან კარი ისევ გაიღო და გაიტანეს მათი დარჩენილი ნივთები, რომელიც საკანის მამასახლისმა მათი წასვლის შემდეგ კართან დაჰყარა.

თურმე გათენებულა! ... გვესიამოვნა ცივი წყლით პირის დაბანვა. მივიწყებას მიეცა ტანჯვაში გატარებული ღამე და გადატანილი ამბავი თითქოს ასეა წესი, ასე უნდა მომხდარიყო. მართალია, მეორე დღეს ერთმა - ორმა მოიგონა, მაგრამ მალე ისევ მიივიწყეს. ...

მეორე კვირას მე უკვე „პერედაჩა“ მივიღე. გიორგის საიდუმლო წერილში ეწერა, ჩემი ცოლის წერილი სად უნდა მომეძებნა. მოვხახე. მეტად კარგად იყო გადაძალული. შემოგზავნილ ახალ მწვანე ხახვის ფოჩებიდან ფანქარი და პერგამენტის ქალღი გამოვადქვრე. ამრიგად, მეც საკუთარ ქალღღზე და საკუთარი ფანქრით ვუბასუხე მიღებულ არასასიამოვნო ბარათზე:

— შენ იწერები, რომ ვისაც მიმართე, არავინ მივიღო. ყველა იძახის, ჩვენ არასფერი ვიცითო. მაშ, ვინ ეშმაკმა იცის? ბატონბატრონები ეგენი არიან. თუ სანქცია არ ჰქონდა, გამომძიებელს ხომ არ შეეძლო თავისი სურვილით ჩემი დაპატიმრება! უნდა იცადოო, მწერ. როდემდის? უკვე ერთი კვირაა აქა ვარ, ამ ჯოჯოხეთში. აცნობე ჩემს უფროსს მოსკოვში და თან ეს წერილი გაუგზავნე (თანდართულია). მიდექ - მოდექი. შენი მ.

გავიდა ოთხი თვე.

მეტად ძნელია აწერა ყველაფერი, რაც გადავიტანე ამ ხნის განმავლობაში, იმ ცივ ნესტიან და აყროლებულ სარდაფში. აუარებელმა პატიმრებმა ინახულეს ეს საკანი. ზოგი მიჰყავდათ, ზოგი მოჰყავდათ და ბევრი საიჭიოს გაამგზავრეს.

ახალგაზრდა დ. გამრეკელი ჰქუაზე შეიწყა. მრავალ თხოვნაზე, რათა გადაეყვანათ იგი საავადმყოფოში უნდა გვეუბნებოდნენ.

— დაჰკვიანდება! მაგაზე ნუ დარდობთ...

მაგრამ ერთ დღეს ერთ კარისკაცს მან ყვიროდ დაუწყო, რადგან მას პატიმარი უნდა წაეყვანა:

— როგორ თუ შენ აქედან ხალხი მიგყავს! მე არ შეკითხები? — მიყვირა და თავისი ფინჯანი ესროლა. ეს უფრო იყო მიზეზი, ვიდრე დამრეკელი მეორე დღესვე დასტავდა წაიყვანეს...

ებრაელ შტეინგელს, რომელიც ჩვენთან იჯდა, ოქროსა სთხოვდა ჩეკა და ერთ დღეს ისე აწამეს, რომ საკანში დაბრუნებისას, დაყენებულ პატარა თუნუქის ნაჭერთი მაჯის ძარღვი გადაიჭრა და სისხლისგან დაცლილი ძლივს გავაყვანივით, უგონო.

სომონია არჩევადეს ორივე ხელის თითებმა ლობობა დაუწყო, რადგან მას თითებს შუა ვინტოვკის ტყვიები ჰქონდა ჩაწყობილი, ხოლო თითების წვერები შეკრული ჰქონდა ბაწრით. და ასე ეგლო ერთ პატარა ცალკეულში, ე. წ. ოდინოკაში ნდღე. ბოლოს, როდესაც გაუხსნეს თითები, ხორცი თითქმის ამოკმული და ამომპალი იყო და ძვლები უჩანდა.

პატიმარ მოდებამეს აცნობეს, რომ მისმა ცოლმა ველარ გაუძლო აუარებელ გაჭირვებას და მტკვარში გადავარდნილიყო; მას შემოუგზავნეს გაზეთ „კომუნისტიდან“ ამონაჭერი.

მრავალ შემთხვევათა შორის იყო: — „გუშინ მეთევზეებმა ორთაჭლას ბოლოს, მტკვარში დამხრჩვავი ქალის გვამი იპოვნეს. კვლევა-ძიება სწარმოებს“ — ო.


ხოლო წერილში კი სწერდნენ, ეს მისი ცოლი ნინა მოდებამე იყო.

ამ ამბის გაგების შემდეგ, საცოდავი ყინულივით დნებოდა, და ერთ დღეს მძიმე ავადმყოფი სადღაც გადაიყვანეს. და სხვა და სხვა მრავალი შემზარავი ამბავი...

როგორ შეიძლება, ან ვის შეუძლია ასწეროს ყოველივე ის, რაც იმ საიდუმლო სარდაფებში ხდება. ახლად აშენებულ უხარმაზარ შეიძლათულან სახლში, რომელიც სამსქუჩაზე გადის: კლასიკური, გრიბოდოვის და მამადავითის ქუჩაზე. ხალხი იმდენად დაშინებულია შინსახკომის ამბებით, რომ ამ ქუჩებზე გამვლელ-გამოვლელთ, გვერდს უხვევენ და ბევრს ჯერ შენობისათვისაც კი არ შეუხედავს. საბჭოთა კავშირის ამ „უნივერსიტეტში“ ყოველგვარი წინასწარ გამოცდის გარეშე შედის ამ „სამოთხეში“ მაცხოვრებელი ყოფილი მოქალაქე. ძალიან იშვიათია და ძნელად შეხვდებით ისეთ პიროვნებას, რომ იქაური წვენი არ ეწვნოს. იქნება ეს გლეხი, მუშა, მოამსახურ-

რე, ექიმი თუ მეცნიერი... ტყუილად არაა შეგნით, ამ სარდაფებში წარწერები: კტო ნე ბილ, ტოტ ბუდეტ! კტო ბილ ნე ზაბუდეტ! — და ამ წარწერებს, ანუ პატიმართა მიერ შედგენილ ლოზუნგებს შეხვდებით ყველგან — საკანში, საპირფარეოში, დერეფანში და სხვაგან. ამას გარდა იყო წარწერები, რომელთაგან ზოგი კარგად მახსოვს — ვიჯექი 11 თვე. მივიღე 10 წელი. გურგენიძე. — მომესაჯა დახვრეტა 27.3. 1932 წ. ჩუბინიძე. — დახვრეტის კობახიძე, ზედგენიძე. მე — 10 წელი. გოტისაშვილი. 13.10.32 წ. — რაზსტრელიან 17. 2. 33 გოდა. ვასილიევ. და სხვა მრავალი. და განა წარმოუდგენელია მიზეზი შიშისა? ბოლოსდაბოლოს, კაცი კომბოსტო ხომ არ არის, რომ მერმისს კვლავ ამოვიდეს! ერთხელ დაბადებულა, და თუ დაბადებულა, სიცოცხლისა და ცხოვრების უფლებაც უნდა ჰქონდეს! რაზე ჰკლავენ? რაზე უმწარებენ სიცოცხლეს მას, მის ოჯახს, ნათესავებს? განა იმიტომ იტანჯება საწყალი დედა, რომ ვაივავლახით აღზრდილი შვილი მას ვიღაც ზანგინავამ ტყვიით გაუგმიროს... უდანაშაულოდ!

მიესაჯა 10 წელი! 15 წელი! ეს 10 დღე არ გეგონოთ ან 15 თვე! კარგი ვაჟაკი და რკინისებური ჯანმთელობა უნდა გქონდეთ, რომ 10, 15 წელს გაუძლოთ იქ, სადაც აუარებელ



დაუბოლოებელ ტაჯვის შემდეგ, დასუსტებული ორგანიზმით გაგაგზავნიან; იქ, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა და ყოველ დღე სიკვდილს მოელოს... ჩეკისტებისაგან, მოზიელთაგან, გველთაგან, მხეცთაგან და უბედურებისაგან... მერმე რისთვის? ერთი მიბრძანეთ — თუ თქვენ ოჯახში, ან სადმე ნათესავთან ან მეგობართან გამართულ ნაღამზე თამადამ ან ვინმემ სამშობლოს საღიფგრძელო შესვა და ყველამ ვაშა შესახა — ეს დანაშაულია?

— თუ თქვენ შემთხვევით, და თუ გნებავთ, შეგნებულად სთქვით, რომ მამა თქვენი წინად, თვითმშპყრობელობის ჯოჯოხეთში უკეთესად ცხოვრობდა, ვიდრე ამ მშვენიერ სამოთხეში, — ეს დანაშაულია?

— თუ თქვენს ვენახს ან ბაღს ბუნებამ ხელი არ შეუწყო, დასეტყვა, გველად მოსწვა, და თქვენ ამის გამო მთავრობის კონტრაქტაცია ვერ შეუსრულეთ, განა ეს თქვენი ბრალია?

თუ პატივცემულმა პროფესორმა თავის მოწაფეს კარგი ნიშანი არ დაუსვა, რადგან კომკავშირელმა საგანი არ იცოდა, — ეს დანაშაულია?

— თუ ის არის დანაშაული, რომ ზემოაღვალ ჰიდრო - ელექტრო სადგურმა სოღანლულიდან ბორჯომამდე გაანათა და მისი ამშენებელი კი მიახვრეტეს?

— ან იქნებ ისაა დანაშაული, რომ დამპალ ავჭალის წყლის მაგიერ ცივი და წკრილა ნატახტარის წყალი მიაწოდა ინჟინერმა თბილისის მოსახლეობას?

— იქნებ ის მაინც ჩასთვალთ დანაშაულად, რომ ვინმე პიროვნება ჩუმად შევიღოდა საწყალი ქართული ერის შვილთ, რომელთაც უცნაურ ბრალდებითა გამო მისჯილი ჰქონდათ დახვრეტა და ის კი სიცოცხლეს უნარჩუნებდა გადასახლებით ან განთავისუფლებით, იმის მიუხედავად, რომ თვითონ დიდი პიროვნება იყო?!

ვინ იტყვის, რომ ასეთები და მრავალი კიდევ სხვა დამნაშავენი იყვნენ? და აი ასეთი პირები ავსებდნენ შინსახკომის სარდაფებს და წითლად ღებავდნენ მის კედლებს გადმოტყორცნილ მჩქეფარე ქართულ სისხლით.

ხუთშაბათი. თენდებოდა. არ მეძინა. კარები გაიღო. შემოყო თავი ჯარისკაცმა, რომელსაც თვალებზე ნამძინარობა ეტყობოდა და მეტისმეტად ზღაპრებით ამთქნარებდა.

— პატიმარი მ. — დაიძახა და თა-

ვი წამოვყავი; შემეკითხა გვაყო და მითხრა გავყოლოდი გამოძიებულთან. — მადლობა ღმერთს! — გავიფიქრე და წამოვდეგ. საჩქაროდ ჩავვიღე თუთუნის კოლოფი და წაიშალე მაჯიბეში, ჩავიცვი ფენსაცმელი და გავყევი. მან კარებში გასვლისათნავე გამაფრთხილა, არსაით გამეხედა, კართა წარწერებისათვის არ შემეხედა, თავდაღუნული უნდა გავყოლოდი. — კარგი! — ვუბასუხე და წავვიდე. გამატარა ერთი გრძელი კორიდორი, მერმე კიბით ერთი სართული ავედი, კიდევ კორიდორი, შევუხვიეთ მარცხნივ და გავჩერდი. მაგრამ მისი გაფრთხილების მიუხედავად, სანამ იგი კარზე დააკაუნებდა და შესვლის ნებას მიიღებდა, მოვასწარი და წავიკითხე წარწერა კარზე — ხამ ნ-კა სეკრეტო პოლიტიჩესკოვო ოტდელო. ტოვ. ბეჟანოვ. კარებს ამშვენებდა პატარა დაფა, რომელსაც გარედან ტყავი ჰქონდა გადაკრული და როგორც მერმე შევინიშნე, შიგნიდანაც; ტყავი, რომელსაც ქვეშ თივა ან სხვა, ეგრეთ წოდებული ზღვის ბალანი აქვს დატანებული, უკეთდება კარს, რათა ლაპარაკი ან სხვა ხმაურობა არ გავიდეს. ოთახში დამხვდა ერთი ახალგაზრდა, დაახლოებით 30 — 32 წლსა, შავგვრემანი. ლაპარაკი, რასაკვირველია რუსულად იყო, საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ამ დაწესებულებაში!

— გამარჯობათ! — მითხრა მან თავის დაქნევით და სკამისაკენ მიმითითა, ხოლო ჩემს გამყოლს ხელი მოუწერა პატარა ქალაღზე და გაუშვა.

— ხომ არ მოგეწყინათ ჩვენთან? — შემეკითხა და პაპიროსის კოლოფი გამომიწოდა.

— მადლობა! მე ჩემი თუთუნის მაქვს, — ვუბასუხე და თამბაქოს გახვევა დავუწყე.

— თქვენი გამოძიებელი, — მითხრა მან, — მივლინებაშია; ამიტომ თქვენი და თქვენთან თქვენ საქმეზე დაპატიმრებულ პირთა ბრალდება, საწარმოებლად და გამოსარკვევად მაქვს გადმოცემული მე. ვინაიდან ძალიან ბევრი საქმე მქონდა, ამიტომ თქვენი საქმის წარმოება ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ, იმედია, თქვენი და ამ საქმეზე სხვა პირების დახმარებით სულ მოკლე ხანში მოვათავებთ და თუ რამე გაუგებრობაა, გამოვასწორებთ. უპირველესად ყოველისა მინდა შეგეკითხოთ, იცით თუ არა თქვენ, რა გბრალდებათ?

— არა, არ ვიცი!

— მაშ კარგი! — გაკვირვებით მიპასუხა მან, გახსნა უჯრა, ამოიღო ერთი პატარა ქალაღი, მეოთხედი ფურცელისა და მომაწოდა.

— წაიკითხეთ და მოაწერეთ ხელი.

საჩქაროდ გადავაკვლე თვალი ქალაღს, რომელშიც ეწერა, რომ მე ბრალად მედება ტროცკისტული ჯერ ქვეშ მუშაობა წინააღმდეგ არსებულ ხელისუფლებისა მანებლურ - დივერსიული მოქმედებით. ხელს აწვევდა ბათუმის კურტნიანი მუშა, დღეს საქართველოს შინსახკომის მოადგილე დათიკო კილაძე.

— გასაგებია! — ვუპასუხე და ქალაღი მისკენ მივწიე.

— არ აწერთ ხელს?

— არა.

მან ქალაღი უჯრაში ჩასდო და გამიმარტა, რომ ხელის მოწერას მაინც მნიშვნელობა არა აქვსო. შემდეგ ამოიღო საანკეტო ფურცელი, სადაც დაახლოებით ორმოცი საკითხი იყო: გვარი, სახელი, სად დავიბადე, რატომ დავიბადე და სხვა მრავალი; რის შემდეგ საქმიან კითხვებზე გადავიდა.

— მაშასადამე, თქვენ უარს აცხადებთ წამოყენებულ ბრალდებაზე?

— უარს კი არა, — სისულელეა ამაზე ლაპარაკიც კი, დროს დაკარგვაა, რადგან ასეთს ადგილი არასოდეს არა ჰქონია. ეს მოჩამხული და არა-

ფერზე აშენებული სიცრუეა, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს და პროტესტს ვაცხადებ ასეთ ბრალდებაზე.

— მე მჯერა, — მითხრა გამომძიებელმა, — რომ თქვენ ამ უამად მეტისმეტად აგაღელვათ იმ ამბავმა, რომ ეს საქმე ჩვენამდე მოვიდა და გავიგეთ; და ცხადია, ასე უცბად არ გინდათ დაგვეთანხმობთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს ყოველივე გამორკვეულია, და გაფრთხილებთ, რომ ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ დიტანჯავთ. მიიღეთ თქვენს თავზე, მოაწერეთ ხელი და მომეციოთ საშვალეა ასეთი გულწრფელი აღიარებისათვის თქვენი საკითხი გამოვყო ცალკე, შესაწყნარებლად.

— არასოდეს!

— მაშ მიბრძანდით საკანში. გაძლევთ ორი დღის ვადას; წყნარად მოიფიქრეთ, და დამეთანხმეთ, რომ ეს უფრო შეღავათს მოგცემთ, ვიდრე უარყოფითი პასუხები.

მან ელსმენით გამოიძახა გამყოლი და ისევ საკანში წამოყვანეს.

აქ მე აუცილებლად მიმაჩნია ადვინაშო, რომ ყოველმა პატიმარმა, იქნება იგი სისხლის დამნაშავე თუ პოლიტაკური, თითქმის ზეპირად იცის საბჭოთა კოდექსის მუხლები.

და როდესაც გაიგებენ, რა ბრალდება წაუყენეს რომელიმე პირს, თითქმის სწორად არკვევენ, თუ რა სა-

სჯელი მოეღოს, თანახმად წაყენებულ ბრალდებისა.

საკანში რო მიმოყვანეს უკვე დილა იყო. პატიმარებს ეს არის პირი დაე-ბანათ და ჩაის შეექცეოდნენ. შესვლისათანავე ყველამ შემომხედა, შეწყვიტეს საუზმე და რამოდენიმე პირი ჩემსკენ წამოვიდა.

— რა მოხდა? რაშია საქმე? რა ბრალდება წამოგიყენეს? — მეკითხებოდნენ პატიმრებ.

— მავნებლობა! ტროცკიზმი!...

— უ...უ...უ, — დასწყევლოს ღმერთმა! — წამოიძახა რამოდენიმე ერთად და ერთად ხელი ჩაიქნია.

— სულუთუ! — დაუსისინა მათ მოხუცმა. — რა მოხდა! მაგისთანები ყოფილა, რომ გამართლებულა ხალხი?!?

— გვიამბე, როგორ? — მთხოვეს და მეც მოკლედ ვუამბე გამომძიებელთან ლაპარაკი.

იმ დღეს საღამოთი მომცა დიდი სიციხე და ისე განვითარდა, რომ ორთაქალის ციხის საავადმყოფოში გადამაგზავნეს, სადაც ორი თვე ვიყავი, ხოლო შემდეგ ისევ შინსახკომში გადამომიყვანეს...

შენიშვნა. მოგონებანი „საკანი ნომ. 19“ გადაბეჭდვა ან გადათარგმნა ავტორის ნება დაუთრველად აკრძალულია.

(გაგრძელება იქნება)

მ. თბილისელი

მ. თარხნიშვილი

არისტოტელესის მემოზრობა და ზოთა რუსთაველი

ა. შესავალი

1. არისტოტელესის ვინაობა.

„არისტოტელი, ბრძენთა ტომელი“-ო, ამბობს სამართლიანად ჩახრუხაძე თავის თამარაიანში. ჭეშმარიტად არაა მიწა, რომელსაც იმდენი ჭებილი ანკარა წყარო პოეზიისა და მჭერმეტყველებისა ამოეჩუხჩუხებინოს, რამდენიც საბერძნეთის ქვეყანამ აღმოადინა მსოფლიოს მოსარწყავად; არაა მინდორველი, რომელსაც იმდენად მრავალ - ფერი, კეთილ - მფშენიანი ყვავილი მხატვრობისა, ხუროთ - მოძღვრებისა და მოქანდაკობისა აღმოეცენებინოს, რამდენიც ელინთა მთა - ბარმა აღმოაფურჩქნა და არ არის ცა, სადაც იმდენი მოელვარე და შორს სხივ - მფენელი ვარსკვლავი ცოდნისა და სიბრძნისა აკაშკაშებულიყოს, რამდენიც ამ ბრძენთა ტომელებს ცაზე, ძველ საბერძნეთში, აპრიალდა და აციმციოდა. აი, ერთი ამ ელვარე ვარსკვლავთაგანია

საბერძნეთის სახელოვანი ფილოსოფოსი არისტოტელესი, რომელმაც, ზოგიერთს თუ დაეუჯერებთ, აჯობა ყოველსა სიბრძნის მქონებელსა“.

არისტოტელესი დაიბადა მე - 99 ოლიმპიადის პირველ ნახევარში, 384 წელს ქრისტეს წინ, ეპედონის ქალაქ სტაგირას ქალკიდიკეს სანახებში. მისი მამა ნიკომაქი (დედას ფესტიადე ერქვა) მკურნალად ყო მკედონის მეფე ამინტა მეორეს კარზე, პის სტატისტო ქალაქ პელლაში. საფიქრებელია და დასაჯერებელიც რომ შვილს მამამ გაუხსნა გზა სამეფო სასახლეკენ, სადაც შემდეგში უფლისწულის ასაღზრდელად იქმნა მიწვეული. ამისდამიუხედავად არისტოტელესის აყვანა და პირველი აღზრდა - სწავლაზე მძიმე დუმილის ფარდაა გადაფარებული. ვიცით მხოლოდ, რომ ის უკვე მეთვრამეტე წელში იდგა, როცა საბერძნეთის დედაქალაქ ათინას ესტუმრა. იქ ის შეუერთდა პლატონის მოწაფეთა წრეს, რომელსაც ოც წელიწადს ე. ი. მასწავლებლის სიკვდილამდე, უერთგულა.

სამწუხაროდ, არც ამ ხანაზე ძალგვიძს დაბეჯითებით თქმა, თუ გონება - მახვილმა და ნიჭიერმა მოწაფემ რა პირობებში გაატარა ეს ოცი წელიწადი; რა რიგ ჩაუყარა საფუძველი თავის ყოვლის დამტევ გონებასა და ცოდნას ის მტკიცე, ფართე და ღრმა საძირკველი, რაზედაც აგებდა თავისი ფილოსოფიის ვრცელ შენობს, ან კიდევ რა განწყობილებაში სცხოვრობდა თავი ამ ღვთიულ მასწავლებელთან რომლის სიახლოვე და ხელმძღვანელობა მისთვის ფასდაუდებელი უნდა ყოფილიყო! აი, სწორედ ამ უკანასკნელი საკითხის თაობაზე ნაგვიანებ და ხშირად ნდობა - უპოვარ მწერლობაში გავრცელებულია ამბები, რომელთა უგვიანობა და სიჩმახე კაცს თვალში ეჩხირება: ერთი მწერალი მას მოძღვროსადმი უმადურობას უკეთინებს, მეორე მას პრანკიაობას, ავეიობას და აღვირ - ახსნილობას სწამებს. სხვების აზრით პლატონსა და არისტოტელის შორის მალე უთანხმოებამ იჩინა თავი: მოწაფე მოძღვარს შეესიტყვა, მის საჭიშპოდ ათინას საკუთარი სკოლა გახსნა და საბოლოოდ მსცოვანი მასწავლებელი აკადემიიდან განაძო.

ყველა აქ წამოყენებულ ბრალდებაში ან მტკნარ საცრუესთან გვაქვს საქმე, ან კიდევ სავალალო გაუგებრობასთან. არისტოტელს რომ თავისი სათაყვანო მასწავლებელი არც თვით შემდეგში დავიწყებია და მას, პირიქით, კრძალვითა და მოწიწებით იხსენიებს, ცხადია ნიკომაქურ ეთიკიდანაც (1. 4. გვ. 1096 ა), სადაც იგი პლატონურ იდეათა თეორიას არჩევს. პლატონის სიცოცხლისასვე რომ ათინაში საკუთარი მასწავლებელი გაეჩინა, მასწავლებლის სიკვდილის უმალვე ქალაქს რა მიზნით-ღა დასტოვებდა? მისთვის უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა იქვე დარჩენილიყო და პლატონისეული მოძღვრების გაბათილებას იქვე შესდგომოდა?! პლატონის გაძევება აკადემიიდან პირდაპირ ეწინააღმდეგება უფრო ადრინდელ და სარწმუნო ცნობებს, რომელნიც მეტყველებენ, რომ აღნიშნულ ხანაში პლატონმა ფილოსოფიის სკოლა აკადემიის გიმნაზიიდან თავის საკუთარ ბაღში გადიტანა. ხოლო სულით მდულარე, გონება - მახვილი და ცნობა - სწრობილი არისტოტელი რომ ყველაფერში დიდი პლატონის ყურმოჭრილი მონა არ იყო და როგორც მოწაფეს თავისი მსჯელობა და აზროვნება მასწავლებლის სამსხვერპლოზე „ყოვლად - დასაწველად“ არ შეუწირავს, სრულიად დასაჯერებელია. ასეთ თავისუფალ ურთიერთობას შეეძლო, რა თქმა უნდა, რაიმე დაჭიმულობა დაეხატა მათ შორის; მაგრამ ეს არც ხელმისაწვდომად არის დასაბუთებული და ამიტომაც არც უკრიტიკოდ შესაწყნარებელი. არისტოტელმა თუ მართლა თავისი ასაკის თვრამეტი წლიდან ოცდათვრამეტ წლამდე პლატონთან დაჰყო, არ შეგვიძლია აქედან არ დავასკვნათ, რომ ბრძენი მოძღვარის ზეგავლენა გონება გახსნილ ახალგაზრდაზე წარუვალი და მრავალფერი უნდა ყოფილიყო. ასეც ამ გავლენას აშკარად ადასტურებს არისტოტელის ნაწერები, რომელთაც პლატონის ღრმა კვალი

აჩნიათ. ეს მოვლენა თუ უძრახი სინამდვილეა, არა ნაკლებ უდავოა ის გარემოებაც, რომ არისტოტელმა, ჯერ კიდევ მოსწავლემ, თავისი გულისყური მეცნიერების იმ დარგსაც მიაპყრო, რასაც პლატონის მიერ „მეტყველების“ მსახრევი, მაგრამ მაინც ირიბული მნიშვნელობა ჰქონდა განკუთვნილი. მაგ. ბუნების მეტყველებას.

მსგავსადვე მართალია, რომ ის, ჯერ კიდევ პლატონის მოწაფე, მეტყველებების მასწავლებლად გამოვიდა; მისი მიზანი იყო ისოკრატე რეტორის გავლენა როგორმე ჩაენელებინა; მასზე იტყოდა ხოლმე: „ღუმილი სასირცხოა, როცა ისოკრატე ლაპარაკობს“-ო. ალბათ ამავე დროს ეკუთვნის აგრეთვე მისი სამწერლო მოღვაწეობის დასაბამი. აქ მოწაფე მოძღვარს ბაძავს თავის ნაწერების კილოსა და შინაარსით, რაც პლატონის ზეგავლენას არისტოტელის გონებაზე უტოქმანოდ ადასტურებს. გარნა, ისიც უნდა ითქვას, რომ სტაგირელმა აქაც მალე უფრო მეტი თავისუფლება მოიპოვა და შემწინველად ის გახდა, რაც მას თავის დარგში, უამრავ სხვადასხვაობის მიუხედავად, მოძღვარის ქვეშ კი არა, მოძღვარის გვერდით აყენებს.

პლატონის სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით 347 წ. ქ. წ. არისტოტელმა ათინა მიატოვა და პლატონის ერთგულ მოწაფე ქსენოკრატესთან ერთად ათარნეოსის და ასსოსი ბატონ ჰერმიას, პლატონის ადრინდელ მოწაფეს, ესტუმრა, რომელსაც იგინი თავის კარზე გაეწვია. აქ ისინი სამ წელიწადს დარჩნენ. ამის შემდეგ არისტოტელი მიტილენეს გადასახლდა. საჭურისი ჰერმია რომ სპარსელების ხელით ტრალიკულად დაიღუპა, არისტოტელმა მისი ძმისწული თუ შვილად აყვანილი პითია ცოლად შეერთო. დიოგენე ლაერტის თუ დაუუჯერებო, სიყვარულით გაგიყებულმა ფილოსოფოსმა თავის მეუღლეს, ვით ელევსინელ დემეტრე დიაც-ღმერთს, მსხვერპლიც კი დაუკლა. სხვების გადმოცემით, ეს მსხვერპლის შეწირვა პითიას გარდაცვალების შემდეგ მოხდა. პირველი ცოლის სიკვდილის მერმე არისტოტელი ცხოვრობდა სტაგირელ პერპილისთან, რომელმაც მას ერთი შვილი, ნიკომაქი უშობა. ნათლად არა სჩანს, ჩვენი ფილოსოფოსი კანონიერად იყო ამ ქალთან შეუღლებული თუ არა.

343 თუ 342 წელს ქ. წ. არისტოტელი მაკედონიის სამეფო კარზე იქმნა გაწვეული. ფილიპე მეფემ ცამეტი წლის ალექსანდრე მას ასალზრდელად ჩააბარა. მიზეზი ამ ხმობისა ჩვენთვის უცნობია. სამწუხაროდ, უცნობია აგრეთვე ბატონიშვილის აღზრდის ნაირობა, სწავლის ვითარება, ნაყოფიერება, შედეგიანობა. მაინც ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი გენიოსი აღმზრდელის სწავლა სწორუპოვარ შეგირდის სულსა და გულს ღრმად აღებეჭდებოდა; თუ ძლიერა მოსილი მაკედონელი მის მიერ დაპყრობილ მსოფლიოს ელინთა კულტურის მაზიარებლად მოევიანა და, ზოგი ნაკლის მიუხედავად, ერთობ უზადო ყოფაქცევის, კაცთ - მოყვარების, კეთილ - შობილების, დიდ - სულოვნების შარავანდელით შემოსილი სდგას თვითმპყრობელთა შორის,

ეს ერთ წილად მაინც მას უნდა განეკუთვნოს, ვინც იგი აღზარდა, ვინც მისი ვრცელი და მკვირცხლი გონება საფუძვლიანი ცოდნით განაბრძო და მისი ყოველივე სიდიდისა და შვენიერებისათვის კარლია სული და გული მგრძნობიარე სიტყვით განათბო და განაშვენა. ამის გარდა არისტოტელმა, როგორც გადმოგვცემენ, თავისი გავლენა სამეფო კარზე სხვების საკეთილდღეოდ გამოიყენა; ზოგიერთ ქალაქს, მაგალითად, ათინას და ეფესოს მეფე ფილიპეს და ალექსანდრეს წინაშე უშუალოდგომა და ფილიპეს მიერ დანგრეული სტაგირა ისევ ფეხზე წამოაყენებინა.

როცა ფილიპემ თექვსმეტი წლის ალექსანდრეს სამეფო გამგეობა და ხელისუფლება არწმუნა, ამის მოწაფეობასაც ბოლო მოეღო. ნაადრევად მოწიფული ბატონიშვილი მამის ბრწყინვალე ლაშქრობამ ისე გაიტაცა, რომ მას არისტოტელის სიბრძნის სკოლისათვის აღარც დრო ჰქონდა და აღარც მოთხოვნილება. ალექსანდრემ რომ ელინთა ვრი შემოკრიბა და სპარსეთის შესატევად ამხედრა, არისტოტელიც, უკვე კაი ხნით სტაგირას დამკვიდრებული, სამეფო ოჯახს სრულიად დაეთხოვა და 335/4 წელს კვლავ ათინას დაბრუნდა.


ათინაში არისტოტელმა დაახლოებით სულ თორმეტი წელიწადი იმოღვაწა. რაც მან ამ ხნის მანძილზე შექმნა, პირდობირ საზღაბრო ამბავია. მართალია, შეიძლება ითქვას: ათინას დაბრუნებამდე მას თავისი საფილოსოფიო გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა, საამისო წინასწარი შრომა უკვე კაი ხნით დამთავრებული, საბუნებისმეტყველო და საისტორიო კვლევა - ძიება დასრულებული და სათანადო მასალებიც შეგროვილი და დალაგებული. მაგრამ, ეს მოსაზრებაც რომ სინამდვილეს შეეგუებოდეს, მაინც უნდა აღვიაროთ, რომ თითქმის ყველა მისმა თხუხულებამ სწორედ ამ ხანებში შეისხა ხორცი. და აი ეს ერთადერთი მოვლენაც კმარა, რომ არისტოტელის უშრეტმა უნარიანობამ, უტყუბმა ნებისყოფამ და უღვემა შრომის მოყვარეობამ კაცი განცვიფრებაში მოიყვანოს. ამას ზედ ერთვის არა ნაკლებ დამალავი და დროს მიმტაცი მასწავლებლობა ლიკეონის ხეივანებში, სადაც ჩვენი ბრძენი, გარშემოხვეულ ახალგაზრდობას ბოლთისცემით (პერიპატოს — მიმოსვლა) თავის აზრებს უზიარებდა და კითხვა - პასუხით უმარტებდა. ეს მიმოსვლითი სწავლა, ეჭვი არ უნდა, მოწაფეთა რაოდენობით და სასწავლო საგნის ვითარებით იყო განსაზღვრული: სადაც სოკრატული მეთოდი მოსწავლეთა სიმრავლისა და გასარჩევ საგნის სიღრმის გამო შეუსაბამო იყო, იქ სწავლა ერთ უცვლელ ადგილიდან სწარმოებდა, მსჯელობა გაბმით და წართვიტ ვითარდებოდა.

საფილოსოფიო დარგის გვერდით, არისტოტელი, სჩანს მკერმეტყველებასაც ასწავლიდა. ამას დილით ჰქონდა ადგილი, პირველს კი — ნაშუადღევს. „საციკრო“ გაკვეთილი მოწაფეთა სავანებო რჩეულ წრისათვის იყო განკუთვნილი, „სამწუხრო“ კი განურჩევლად ყველასათვის. ცხადია, რომ, პლატონის აკადემიის მსგავსად,

ლიკეონის სკოლაც უფრო ერთგვარ ფსონობას წარმოადგენდა, რომელსაც მეგობრობისათვის გულგანსნილი არისტოტელი სიამოვნებით თაოსნობდა და ეძღვნებოდა. ასეთი ნადიმებისათვის მას, როგორც ეტყობა, „ლხინის წესდებანიც“ კი შეუდგენია.

თავისი ვრცლად განშტოებული მეცნიერებისათვის არისტოტელს, უეჭველია, სათანადო მასალაც ესაჭიროებოდა. ამ მასალის შეკრევა მას, გადმოცემით, მაკედონელ მეფეთა სიუხვემ შეაძლებინა: ფილიპე მეფემ მის მეცნიერულ მოღვაწეობას, უფრო კი მის ზოოლოგიურ კვლევა - ძიებას, დიდი ამაგი დასდო და თავისი შვილის აღმზრდელი გულ უხვად დააჯილდოვა; ალექსანდრემ მას იგივე მიზნით 800 ტალანტი უძღვნა და როგორც პლინიუსი გვარწმუნებს, (ბუნ. ისტორ. 17 44) თავისი უზარმაზარი სამფლობელოს ყველა მონადირე, მეთევზე, მემახური (მახის დამგები) და სხვა რამოდენიმე ათასი კაცი მას ამსახურაო. მაგრამ არა მგონია, ეს გადმოცემა მთლად სიმართლეს შეეგუებოდეს. ყოველ შემთხვევაში, არისტოტელის ნაწერებიდან არა სჩანს, რომ ის, სპილოს გამოკლებით, სწორედ იმ ცხოველებსა და ნივთებზე ლაპარაკობდეს, რომელთაც იგი მხოლოდ ალექსანდრეს აზიამი ლაშქრობის შემდეგ თუ შეეძლო გასცნობოდა. პირიქით, საფიქრებელია და უჭირველად დასაჯერებელიც, რომ თვითონ არისტოტელი იყო ლამის თვალგაუწვდენელი ავლა - დიდების პატრონი და თავის სამეცნიერო კვლევა - ძიებაში ქონებრივად უზრუნველი. ამას გულისხმობს არა მარტო მისი ვითომცდა უზომო განცხრომა - ფუფუნების წინააღმდეგ მიმართული ბრალდება, ამასვე ადასტურებს მისი ანდერძი, მისი თავისუფალი და ხალვათი ყოფა - ცხოვრება, უფროსი ერთად მისი მოძღვრება სვე - ბედნიერებაზე, რომელიც, სოკრატ - პლატონისა და სტოიკების საწინააღმდეგოდ, მისი მოსაზრებით უღოვლათოდ წარმოუდგენელია. საბოლოოდ მისი ამქვეყნიური კეთილდღეობას ასაბუთებს აგრეთვე ის ქვეშაბრტება, რომ მან პლატონის ესქატოლოგია უყურადღებოდ დასტოვა. ეს ხომ ერთობ მდიდარს, სააქათი კმაყოფილ კაცს ახასიათებს ხოლმე! დანამდვილებით ვიცით აგრეთვე, რომ არისტოტელი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც საკმაოდ დიდი წიგნთსაცავი გაიჩინა, რაც უფულოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ადამიანი, რომელიც თავისი ვრცელი გონებით და უსწორო დაკვირვების ნიჭით დასაბუთებულ მეცნიერებას და კვლევა - ძიებას მამად აღმოუჩნდა, ქონებრივად ასე შეღავათიან პრიობებში სცხოვრობდა და თავისი მალალი მსოფლიო მიზნის მისაღწევად არავითარ ხელის მომცარავ დაბრკოლებას არ განიცდიდა.

ის მამაშვილური განწყობილებანი არისტოტელისა და ალექსანდრე მაკედონელის შორის თავიდანვე რომ უნდა არსებულებოდა, ნელნელა შეირყა და საბოლოოდ




სრულიად განქარდა. ჩვენმა ფილოსოფოსმა, საფიქრ-
ბელია, ბევრი რამ იუკადრისა, რაც ძლევა - მოსილე-
ბით გალაღებულმა ალექსანდრემ ახალგაზრდული აჩ-
ქარებით თუ მოიქვენელთა წაქეზებით ჩაიდინა, ელინ-
თა და აზელთა ერთმანეთში განსაზავებლად, გინა და-
პყრობილის გასამტკიცებლად განაგო და განაწესა. არც
ენოვანი კარისკაცები დააკლებდნენ მათ შორის ღვარ-
ძლის დათვისასა და ურთიერთობის გამწვავებას. ამას
ზედ ერთვის კალისტენე ფილოსოფოსის უშვერი ქცევა
ალექსანდრეს მიმართ. ეს ენაჭარტალა მეცნიერი ნათე-
სავი იყო არისტოტელისა, ამის ხელთვე აღზრდილი
და ალექსანდრესადმი შევედრებული. ეს ფილოსოფო-
სი ალექსანდრეს ყველგან თანახლდა მის ლაშქრობაზე
და თავის თავს ბუმბერაზი მეომრის საგმირო ამბავთა
მემბტიანედ სთვლიდა. ალექსანდრეს მიერ ახლად შე-
მოღებულნი, სპარსულად შეფერადებული საკარისკაცო
„ზენი და წესნი“ თავისუფალს და სადა ყოფაცხოვრე-
ბას მიჩვეულ ბერძენს სულ არ ეჭმნიკა. ყველაფერს
დაუზოგველად კიცხვა დაუწყო და საქვეყნოდ გაამას-
ხარავა. მის ამგვარ თავგასულობას, რა თქმა უნდა, არ
შეეძლო ალექსანდრეს ფარულ თუ ცხად მეტოქეებზე
შესაფერი შთაბეჭდილება არ მოეხდინა. ამით ისარგე-
ბლეს მისმა მტრებმაც და კალისტენე იმ შეთქმულება-
ში გარიეს, რომელიც სამეფო ამალაში მაკედონელთა
წინააღმდეგ მზადდებოდა. შეთქმულება რომ გამოიჭ-
ლავნდა, და ჩქარა თავის სისხლშივე აღმოიღწო, კალი-
სტენეც ზე გადაჰყვა. განრისხებული მეფის წყრომა,
რასაკვირველია, კალისტენეს აღმზრდელსა და ნათესა-
ვხედაც გადაიღვარა. მაგრამ ამ გულჯავრიანობის შე-
დეგი ჯერთავად მარტო იმით გამოიხატა, რომ მოძღ-
ვარ - მოწაფის ურთიერთობას უფრო მეტი სიგრილე
და გულცივობა დაეტყო. კალისტენეს სიკვდილთან და-
კავშირებით გამოთქმული ეჭვი, თითქოს არისტოტელს
მაკედონიის გამგე გენერალ ანტიპატერთან ერთად ალ-
ექსანდრე მოეწამლოს, ყოველ ნდობას და საფუძველს
მოკლებულია: ერთი მხრივ ისტორიულად ცნობილია,
რომ მაკედონელი გმირი ბუნებრივ ავადმყოფობას გა-
დაჰყვა, მეორე მხრივ ალექსანდრეს სიკვდილი სულაც
არ იყო არისტოტელისათვის სანუგვარი და ხელსაყრე-
ლი. პირიქით, მისი მოწაფის მოულოდნელმა და უდ-
როო სიკვდილმა ისიც დიდ ხიფათში ჩააგდო: ათინას
რომ ბერძენთა მტრის სიკვდილი გამოხმაურდა, ქალაქი
მყისვე ძირ - ბუდიანად აფორიაქდა; ხოლო სიკვდილის
ამბავი რა დაჭეშმარიტდა, მთელი საბერძნეთი ათინას
მეთაურობით ანტიპატერს გაშმაგებით ეკვეთა, მაგრამ
ლაიბის ბრძოლებში სავალალოდ დამარცხდა. უცხო ბა-
ტონობის წინააღმდეგ ამხერებულ ბერძენთა გულის -
წყრომა, რა საკვირველია, თავიდანვე მათზედაც გადა-
იღვარა, ვინც ამ ბატონობას თანაუგრძნობდა ან კიდევ
მის წარმომადგენელთა მეგობრად ითვლებოდა. ამ რის-
ხვას რომ ვერც არისტოტელი — ალექსანდრეს აღმზრ-
დელი, ანტიპატერის ღვიძლი მეგობარი და მაკედონელ-
თა პირველობის მაინც ფარული მექიმავე — ასცდებო-
და, ადვილად წარმოსადგენია. ბერძენებმა მას ეროვნუ-

ლი სარწმუნოების შელახვა დასწამეს, როგორც ერთ-
ხელ სოკრატესს, და ჩვენი ფილოსოფოსი საჩივარში მი-
სცეს. არისტოტელმა მომავალ ქარიშხალში თავი უმის-
დაახწია, რომ 323 წელს ათინა ლტოლვილად დასტოვდა და
ქალაქ ქალკისში შეიხიზნა. ამ ახალ ბინაზე მას დიდხანს
აღარ უცოცხლია: იმავე წლის ზაფხულზე იქვე გარდაი-
ცვალა ბუნებრივი ავადმყოფობით და არა თავისმოკე-
ლით, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

არისტოტელის გარეგნობისა და შინაგანი ხასიათის
აღწერაში, როგორც სხვა ყველაფერში, მტერ-მოყვარე-
ნი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან; ამიტომ მასზე დანამ-
დვილებით თითქმის არაფერი არ გვეთქმის. მაგალითად,
მტრების გადმოცემით იგი იყო „ტანით მოკლე და მოდ-
რეკილ, ხატითა ღუხჭირი, ენა-ბრგვლი“ (საბა ორბე-
ლიანის ლექსიკონი), რაც მშვენიერი ალექსანდრეს აღ-
მზრდელს და ენამზაობის მასწავლებელს არა მგონია,
გულის მიმზიდველ სამკაულად ჩაეთვალოს; ხოლო ჩვენ
მოსაზრებას თუ ერთობ არა მემბტიანეთა ხშირად უნდო
ჩმახვას, არამედ თვითონ ფილოსოფოსის სამეცნიერო
თხზულებებს, მის წერილთა ნარჩობს და ანდერძმაგის
გარიგებას (ეს ანდერძი თუ მართლა მას ეკუთვნის და
შემდეგში არაა მისდამი მიჩემებული) სარჩულად დაკუ-
დებთ, ვნახავთ, რომ არისტოტელის ხასიათი დადებითად
და სათნოდ უნდა ავსახოთ. „ნათელ-მზიანი დებულე-
ბები, ანკარა ზნეობრივი შეხედულება, სწორი ზედმი-
წვენილი მსჯელობა, ყოველივე მშვენიერის აღმქმელო-
ბა, ოჯახური ყოფა-ცხოვრებისა და მეგობრობისათვის
თბილი და ცხოველი გრძნობა, მოკეთეთა მადლობა, ერთ-
გულობა ნათესავეებისადმი, უმწიკვლო სიყვარული მე-
უღლისა, კეთილშობილური, ბერძენთა ჩვეულებაზე დი-
ალაც რომ ზემადლებული გაგება ქორწინებისა — აი
სახარბიელო თვისებანი, რომელნიც მის ზნეობრივ მე-
ობას ბრწყინვალედ ახასიათებენ“ (ცელლერ, 47—48)
ამის გარდა მის პიროვნების საზომად და სასწორად აღ-
იარებულ უნდა იქმნას უმთავრესად ის ზნეობრივი სი-
ფაქიზე, თავაზიანობა და მართებულობა, რასაც არის-
ტოტელი თავის ეთიკაში ყოველი სათნოების დედაბო-
ძად აცხადებს. ამიტომ შეგვიძლია უდგრემობის დაუწა-
მებელად ვიფიქროთ და ის აზრი მისაღებად დავსახოთ,
რომ ჩვენი ფილოსოფოსის საყოფაქცეო მოძღვრებამ თა-
ვისი უტყუარი გამოანაშუქი მის საკუთარ ცხოვრებაშივე
მოგვცა.

არისტოტელის ზნეობრივი მეობა თუ ასე პირნათ-
ლად გვევლინება, არა ნაკლებ პირნათლად სდგას ჩვენ
წინ მისი ვრცელი, ღრმა და ყოვლის დამტევი გონება,
რომლის უნარიანობას და უშრეტ ნაყოფიერებას მსოფ-
ლიო დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს. მართლა გულდა-
ჯერებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არ ყოფილა მეცნი-
ერი, ვისაც მის მსგავსად ისეთი მრავალსახეობა ცოდნი-
სა, იმდენი მუყაითობა დაკვირვებაში და გულმოდგინე-
ბა კვლევა-ძიებაში გამოეჩინოს, და ეს მაღალი თვისება-
ნი ისეთ მახვილ - გონიერებასთან, წმიდა მეცნიერულ
მსჯელობასთან, საგანთა შინაარსამდე დაყვანილ ფილო-
სოფიურ შემეცნებასთან და მეცნიერების სხვა და სხვა
დარგთა ერთ მთლიანად შემგვამებელ ხილვასთან იმ ზო-




N O E J O R D A N I A
(1868 — 1953)

PRIMER PRESIDENTE de la REPUBLICA INDEPENDIENTE de
G E O R G I A .

Gracias a su actividad política, el 26 de Mayo de 1918 GEORGIA ha re-nacido como Estado Independiente. (El antiguo Reino de GEORGIA ha perdido su independencia en el año 1801). República Independiente de GEORGIA ha sido reconocida por todos los Estados civilizados. La Unión Soviética ha reconocido a la Independencia de GEORGIA el 7 de Junio de 1920. Sin embargo, después de 7 meses, la Unión Soviética, sin declaración de la guerra, con sus tropas ha asaltado a GEORGIA Independiente y, después de la lucha encarnizada, ha vencido a la resistencia heroica del pueblo chico de GEORGIA, ocupandola de nuevo en el mes de Marzo de 1921. El parlamento de GEORGIA Independiente, en su última sesión, ha otorgado el derecho al Presidente de la República a abandonar su Patria y ausentarse al exterior junto con los miembros del Gobierno Nacional, con el objeto de continuar la lucha por la liberación de GEORGIA. Durante de 32 años de su vida en el destierro, el Presidente Noe Jordania ha luchado honradamente y sin cesar, cumpliendo las directivas señalados por los representantes del pueblo de GEORGIA y continuamente llamando a la lucha común a todos los pueblos oprimidos por el imperialismo soviético. A todo el georgiano libre, a todos los pueblos amantes de la libertad, el Presidente N o e J o r d a n i a ha dejado el Testamento de luchar sin tregua por la libertad de GEORGIA y de todos los pueblos oprimidos por el mismo invasor. Dejó de existir el Presidente Jordania en Paris el día 11 de Enero del año 1953.

Enero de 1953,
Buenos Aires, ARGENTINA.



მად შეეუღლებინოს, რა ზომადაც ამას ამეკლავებენ სტა- გირელი ბრძენის უამრავი თხზულებანი. არისტოტელი თუ პოეტური აღმაფრენით და ენამზეობით, ამდულ- რებული გამოხატულებით და ნათელმხედველობით, აზ- რთა ელვარებით და გენიალური განჭკვრეტით მის ღვთი- ურ მასწავლებელს პლატონს ვერ დაედარება და გაეჯიბ- რება, სამაგიეროდ მას სჭარბობს თავისი მრავალმხრივო- ბით და კვლევა-ძიების საფუძვლიანობით, გარკვეული და ხალასი სამეცნიერო მეთოდით, გადამწყვეტ საბუთთა და მიზეზთა ფრთხილი და განკრძალული აწონდაწონვით, ალღევით და გარჩევით, სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიუწდომელად ზუსტი დამუშავებით და განვითარებით, სადა და ლიტონი ენით, გამოთქმის უდარო სიმკვეთრით და უაღრესად დაკვეთილი წინადადებით, რის გამოც მი- სი ნაწერები მართლა რომ მძიმე გამირებით შეკრულ და შებოჭილ შენობას მოგაგონებენ.

არისტოტელესია, რომელმაც ევროპის მეცნიერებას საძირკველი ჩაუყარა, მის სიბრძნისმეტყველებას საუკუ- ნოდ გზა გაუხსნა და გეზი მისცა, თავისი დროის ცოდ- ნის ყოველი დარგი ერთ მთლიანად შეაზავა, საკუთარი კვლევა-ძიებით განავრცო და განამდიდრა, პირადი ნა- რუქით გაანაყოფიერა, კაცობრიობის გენია მეცნიერე- ბის ზოგიერთ დარგში, როგორც ლოდიკაში, თავის საკუ- თარ ლიანდაგზე გადაიყვანა და სამარადისოდ დაანაწი- ლავა.

მ. თარხნიშვილი.

თბილისური ნატურმორტები

ჩემს არქივში აღმოჩნდა მხოვალისე გიორგი ლო- ლუას ორი ლექსი, რომელიც მას ჩემთვის გამოუუ- გზავნია დასაბეჭდად კრებულში: „ქართველი ერი“, 1944 წლის სექტემბერს, ბერლინში. ეს ლექსები აწყობილი იყო და დასაბეჭდად მზად, მაგრამ და- ბომბვის დროს გამზადებული ორი ნომერი დაი- ლუბა; დამრჩა ამ ლექსთა დედანი, რომელსაც აქ ვათავსებ. ბ-ნ გიორგი ლოლუას ვეძებ; მგონია, იგი უცხოეთში უნდა იყოს დარჩენილი და ვინც იცის მისი მისამართი, ვთხოვ შემატყობინოს. გ. ნოზაძე

თბილისი ღამე — საოცნებო ლურჯი ქიშერი, დილამ გაცრიცა მარჯნისფერი ცისკრის სხივები.

მემწვანეები ტაატით და წყნარი სიმღერით გამწკრივებულან წყნეთის გზაზე, როგორც მძივები

ბორჩალოს მხრიდან გაბმულია უწყვეტი ლარი, ფერდსავსე ხარებს მოაქვთ ხილი, რძე და მწვანილი.

უძოს კალთიდან მთაწმიდაზე ჩამორბის ქარი, რომ მოახვიოს დედაქალაქს ნისლის მანდილი.

თათრის ბაზარზე იზმორება სქელი სირაჯი, ისწორებს ხალათს, დილის მუშტარს ღვინოს აწონებს;

მხიბლავს ეს ჭალა, ეს მთა, ეს ველი... მივსდევ ვენახებს, ზვრებს უნაპირებს, და გულში ძველი სიმღერა მღერის: „შოა ნაპირნო, არაგვის პირნო!“.

— თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი: — მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაფვინოთ; მკერდ ნატყვიარი ყვირის ირემი: — „შოა ნაპირნო, არაგვის პირნო!“.

იცვალნენ დრონი თქვენ კვლავ ძველნი ხართ, ჭალებო, მთებო შვებით მომზირნო; დახოცილ ღომთა სისხლით სველნი ხართ „შოა ნაპირნო, არაგვის პირნო!“.

მსურს თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე, მსურვალეს, მზიანს ძველ ქართულ მირონს. დიდება შენდა უკუნისამდე, — „შოა ნაპირნო, არაგვის პირნო!“.

როცა სალამოს ბინდი აშლილი — დაფარავს ზეცის ლაუვარდ საფირონს: გიმღერებს სვედით ბარათაშვილი — „შოა ნაპირნო, არაგვის პირნო!“.

გიორგი გამყრელიძე

დალლას, 1952.

წუხელ ილოთა, გასწყვეტია მუხლში ილაჯი, — ისევ მოელის საქეიფოდ შალალ ამფსონებს, —

ჩაიხანები გაიტენა, — ტევა არ არის, — მახათას მთაზე მზემ დაიწყო სხივთა თამაში. ბალში მეზურნემ ჯერ დაუკრა დილის საარი, შემდეგ დანაყრდა ყველითა და ცხელი ლავაშით.

ჭალარა ჭონი იგვიანებს, დუქანში არ სჩანს, — მუხლმოდრეკილი ანჩიხნატში ვალს იხდის ღვთისას. გეო ბაზაზმა გაასალა ბაღდადის ფარჩა, — უზალოუნები მიუმატა გაზეთილ ქისას.

ჭრელი ფუთებით დატვირთული თვალციმციმანი ორბელიანის აბანოდან მოდიან რხევით; ააღვარეს სინარნარით ძველი ისანი და მწვანე მალით შეფენილი წავკისის ხევი.

ბერ ნარიყალას აღვიძებენ ჩიტნი გალობით, უივილ - სივილით დაარხიეს ცაცხვის ტოტები. მე კი პარიზში ჩემს ქალაქზე ფიქრის წყალობით დავასურათე თბილისური ნატურ-მორტები.

გიორგი ლოლუა

ბარიზი, 23 ივლისი 1944.

უკსულა ქართულ ღერბს როს ხატავდა

ვიცი: ვიტაცებს ტყეში მსრბოლი მკრთალი ალები, ო, ბესიკივით საქართველოს ტრფიალით დნები, ერთხელაც არის დაგმშვენდება ლეილაღები, და ჩვენი ქვეყნის სიყვარულით მოინათლები.

შენი თვალეზი ტვეტონური აერთი ნაფერი, ვით დაეუფლა ბახტრიონით მოვარდნილ მეწყერს, ჰკერდს რომ გიმშვენებს, მიხარია, დროშა სემფეროლი და ცრემლ ნარევი სიყვარულით გული რომ გეძვერს, მინდია ლაშაური

1949 წ. ბერენგშვენდი, — ზემობავარია.

სვიმონ წერეთელი

პარიზის ახლოს, დაბა ლევილში, გარდაცვალა იაპონიის, პირველი დიდი ომის და ქართულ ომთა მონაწილე, 1924 წლის აჯანყების, ქიათურის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი.

ქართულ ემიგრაციაში ვინ არ იცნობს სვიმონ წერეთელს? ვის არ უგემია ერთხელ მაინც მის პატარა ოთახში გამართული ღვინი, სავსე ქართული რაინდული ხელგაშლილობით?

სვიმონის ბუნება არასოდეს არ დამორჩილებია გაუთავებელი ლტოლვილობის პესიმიზმა. მასთან მყოფს იმედი არ დაუკარგავს და მხიარულება დაბრუნებია.

მისი ღარიბი ბინა, მაგრამ რაოდენ მდიდარი ბუნება, ვითარცა შუქი ფარვანებს, ისე გვიზიდავდა ახალგაზრობას.

სვიმონს არ უყვარდა დარდი და მწუხარება: —

— ან კი რაში დაგეხმარება, შვილო! და უდროოდ კი დაგაბერებს! — ხშირად უთქვამს, ოდნავად ირონიულად და მამაშვილურად.


— მოიტა, ბოშო, იქ რაღაც უბედური ერთი ბოთლი ღვინო მაქვს გაღანახული! ვერ ხედავ, დაღლილი ჩამოსულა კაცი!

ამას თან მოჰყვებოდა შინაური წნილი და ამოღესილი ღვინო. თვალს კი ეზოსაკენ ეჭირა, და როდესაც ახლად მოსულს დაინახავდა, მის შვილად კუთვნილსა და მომვლელ-პატრონს, ისიდორე ქარსელაძეს გადასახებდა:

— ეს ბავში რას დადის! დაუძახე შემოვიდეს!

იქ მყოფნი შიშით ღვინიან ქვავს გადახედავდნენ; ბიძია სვიმონიც ღვინით იქითვე გააყოლებდა თვალს:

— ნუ გეშინიათ, შვილებო, ყველას ეყოფა! წყალი ღვინოს აფუჭებს და არა ღვინოს! აქეთ მობრძანდი ბიძია, აქით! აქ ვართ ყველა! გეიწიე, ბოშო! ჩემთან დასვი! დაუსხით მაგას: ერთი შემოსასწრები, მეორე და გვიანების!



სვიმონ წერეთელი
1870 — 1951.

სტუმრად მოსულნიც, ან მიწვეულნი, როგორც შეეძლოთ შაგიდის დანაკლისს შეავსებდნენ ხოლმე და „გაღანახული ერთი ბოთლი“ უმცირად გამრავლდებოდა.

და ამანიარად, ვინ იცის რამდენჯერ, შრომით დაქანცულთ ჩვენი დარდი და ვარამი გაგვიქარწყლებია და ღვინი გვიანობამდე გაგრძელებულა.

ძია სვიმონი იყო ნამდვილი ძველი დროის მხედარი: — ბრძოლის დრო ბრძოლა! დასარჩენი — ღვინი!

მისი რიხიანი ხმა, მოხდენილი სიტყვა, შაირებითა და რუსთაველის მარგალიტებით სავსე სადღეგრძელოები, დაუღალავი თამაძობა, — სანატრელი იყო ყველა ქართველის სუფრასზე.

წმიდა, უმწიკვლო მამულიშვილი, ყოველი ქართველის თანაბრად მოაღვრეს და მოყვარული, იგი ღრმა წყლულად ატარებდა 21 — 24 — 44 წელთა ჩვენს დამარცხებებს, მაგრამ მხიარულების ნიღაბი მას არასოდეს ჩამოუხსნია. მხოლოდ ერთხელ, როდესაც უკანასკნელმა ომმა

ჩვენს იმედებს ბოლო მოუღო, ლაპარაკში მას შეეჩვიეთ:

— ამდენი საუკეთესო ახალგაზრობის ასე უშედეგოდ დაღუპვა! — მას მწუხარების ჩრდილმა გადაუარა, მაგრამ მაინც მაგარი, ომახიანი ხმით გადმოგვძახა:

— ეჰ ყმაწვილებო! დაგავიწყდათ, რომ საქართველო მისი შვილების თავგანწირვით ცოცხლობს? — და თითქო წარსულ გმირთა გასაგონად და მომავალთა სანუგეშოდ, ბარათაშვილი თავისებურად გადააკეთა — ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება! და გზა უვალი შენგან თელილი, შვილებო, თქვენთვის მაინც დარჩება!

უკანასკნელად ბიძია სვიმონი 1948 წლის მიწურულში, არგენტინაში წამოსვლის წინ ვნახე. გამომეთხოვა. ცრემლი თვალით შევამჩნიე, ოღონდ თავი შეიკავა და მხიარულად გადამეხვია:

— არაფერია, შვილო! შორს მიდიხარ, მაგრამ გული მაინც ხომ შენს სამშობლოშია, და მანძილს რა მნიშვნელობა აქვს!

დღეს ძია სვიმონი სამშობლოდან შორს განისვენებს, მისი სული და გული კი იავე საწერეთლოს დასტრიალებს და მშობლიურ კუთხეში დაბადებულ „სულეკოს“ კრინით დაჰლიინებს.

მაია მიძინების ამბავი, შემთხვევით, აქ მყოფ რამოდენიმე ქართველის მხარულ სუფრას თალხად გადაეფარა, მაგრამ გავახსენდა: — ბიძია სვიმონს არ სჩვეოდა მწუხარება და არც ჩვენ მოგვიწონებდა! მისი ხსოვნის სადღეგრძელო მისივე საყვარელი მრავალკამერით შევსებით. ხოლო ფიქრითა და გრძნობით ალავერდს მის მომვლელ ისიდორე ქარსელაძესთან გადავედი...

ლევან ჯაფარიძე

სამძიმარის მაგიერ

წლები, ათეული წლები უხალი-სა და უფერულ ლტოლვილობისა „წარსულის“ უფსკრულში ინთქე-ბოდნენ, ხოლო ისინი ისევ ისე იდგ-ნენ: უტენნი, ურყენი, ძველებური სავითვით „მართალინი“, მომლოდი-ნენი უკეთეს დღეებისა ჩვენი ქვეყნი-სა და ჩვენთვის... უსიტყვოდ და მო-თმინებით ამტანნი ტკივილებისა და მარტოობისა. ეს მათი სიმტკიცე, ძველი, ქართული უტენი ბუნება ხანდისხან ჩვენ გვაბრაზებდა კიდევ. „ჯიუტები, გაუსწორებელნი, მუდამ ერთისა და იმავეს მალაღებელნი... ნუ-თუ არ მოსწყინდათ?“; მაგრამ ისინი ამ „ირონიას“ ყურს არ ათხო-ვებდნენ, ძველ „ჯიუტობას“ არ იშ-ლიდნენ, უტკველნი რჩებოდნენ თავის ასკეტოზში...

ჩვენ კი ამ ხანებში რამდენჯერ ავფიქსირებთ, რამდენჯერ თითქოს სულ „ახლოს ვიყავით“ ჩვენს მიზანთან; ამ დროს უფროსთა დაიჭვება გვანერ-ვიულებდა, თუმცა ისინი ამ იჭვს აშკარად არ გვაჩვენებდნენ, მაგრამ მათი ნაღველიანი ღიმილის უკან ჩვენ ვამჩნევდით „ამა ამბავთა ამაღებებს“.

მათ ამ „სასწაულებისა“ არა სჯე-როდათ, მაგრამ თმენითა და ხანდის-ხან ხალხისთაც უტკვერდნენ ჩვენს მორიგ „აფორიაქებს“.

და როდესაც დამარცხებულნი და გაცრუებულნი უკან მოვბრუნდებო-დით, როცა დამსხვრეული იმედებით დასწეულელებულნი და დაცალიერე-ბულნი ფეხზე ძლივ-ლა ვიდექით და დასაყრდენი გვადრ გვებოვნა, მაშინ ისინი კარს ვეკრებოდნენ და სანუ-გეშო, გამამხნევებელ სიტყვებით და-გვიხვდებოდნენ... არა, საყვედურს არ გვეუბნებოდნენ — იცოდნენ ჩვენი გატაცების სიწმიდე და მარცხს არც კი მოგვაგონებდნენ.

და ნიდავ - გამოცლილთ, დაღ-ლილთ სვეტებად შეგვიდგებოდნენ ეს ძველი, ქართული მუხები: — არაფერია შვილო, არ შეწუხ-დეთ, მხნედ იყავით: „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა ვით ქვითკი-რისა“-ო.

— დავიდალეთ, ძიავ, აღარ შეგ-ვიძლია, ყოველივე გაჭკრა...

— არა! ეს დროებითია... გაივლის სასოწარკვეთა; ნუ გეშინიათ; საქარ-თველო იყო და იქნება. ჩვენ გუ-შინდელნი არა ვართ; ჩვენ წინაპრებს უარესიც გარდახდენიათ, მაგრამ ხომ

ხედავთ, — აქამდე მოგვიტანეს! ჩვე-ნი „მრავალ - უამიერია“! რა ვუყოთ, უკეთესსაც მალე მოესწრებით: „ვერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებას!“

— არ წახდეთ, — გვეტყოდნენ კვლავ, — საქართველო არ შეარც-ხვინოთ! იარეთ მუდამ ამაყად, წმი-დად და სწორად!

და მათი ღარიბული კერა და სუ-ფრა, მათი მტკიცე და ნათელი რწმე-ნა ისევ გვისაღმუხებდა ჭრილობას და იმედების წყაროს თვალი ნელი-ნელ ავსებდა ჩვენს დაცლილ არსე-ბას.

ამ ძველი მუხების ძირში კვლავ ვიბრუნებდით სუნთქვას და სიცოც-ხლეს. თითქო ვგრძნობდით, რომ მა-ნი ფეხები გვერ კიდევ ქართულ მიწაში იყო მაგდარი და მათი ჩრდილი ძველ ქართულ იმედს თავ-ზე გვაფრქვევდა.

ვინ იყვნენ, ვინ არიან ჩვენი დაღ-ლილობის ეს საყრდენი სვეტები? ჩვენი ეული ყოფის მაგრილებელი და გამაცოცხლებელი მუხები?

ეს ბრძანდებოდათ თქვენ, ძველო თაობავ, თქვენ — საქართველოზე შეფიცულნი! მისთვის შორეულ ქვეყნებში ასე გაბნეულნი, მრავალ ლოდინის წლებით დამძიმებულნი! მაგრამ მაინც უტენო, დედებო, და-ნო, მამებო და ძიებო! თქვენ შეგი-ნახავთ ჩვენი ძველი, დიდი ნამუსი და თქვენა ხართ ის „წმიდანები“, რომელნიც გამართულნი დადიან და ცაშიც სწორად ადიან...

რა არის, რომ ამ თქვენს სიღარი-ბეში ასე მდიდრად გაჩნთ, ყინვაში რომ ვათბობთ, გასაჭირში რომ გამ-ხნეებთ?

ეს ხომ იგივე ნათელი და ალალი გულია, მოუსყიდველი, ურყევი და განუხრელი, საქართველომ რომ ჩა-გიდგათ და მხოლოდ მისთვის რომ გიცემთ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კოკი და-დიანი, გიორგი შურული, სვიმონ მღვიანი, ვახტანგ დამბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი, ლევან მამულაიშვი-ლი, გიორგი ფოფხაძე, იოსებ დადი-ანი, კოლია ჭუმბურიძე, მელიტონ რუსია, სპირიდონ კეცია, შალვა სკამკოჩაიშვილი, გიგუშა ერისთავი, იოსებ სალაყაია, საშა ერისთავი, ლენ. ყაზბეგი, მარშალი სვიმონ წერეთე-შაღვი ამირაჯიბი, ზურაბ ავალიშვი-ლი, შაქრო მდიდანი, მიხეილ კაუხ-ჩიშვილი, ვლასა მგელაძე, ბაზორცა ამილახვარი, ლადო ხმეტიელი, ვანო ჯაფარიძე, დათა ლალიძე, აღექსან-

დრე ჯაყელი, გიორგი ჭაჭიაშვილი, სოლიკო ზალდასტანიშვილი, დავით შარაშიძე, ანტონ უორულოიანი, არ-ჩილ არავიაშვილი, ლენ. ორბელიანი, შალვა ქარუმიძე, გივი ამილახვარი, კოკი კიშირია, შოთა ქარცივაძე, ვა-სო გორგოლაძე, ნიკო ნიუარაძე, მა-ისურაძე, ერისთავი, კოტე ამილახ-ვარი, ოზარ ჯავახიშვილი, კალისტ-რატე ბერძე... და რამდენი, რამდე-ნი ჩამოვთვალეთ?... ჩვენი დედები და დები: ოლია ჯაფარიძე, ნინო შარ-ვაშიძე, ელენე აფხაზი, ტასო წერე-თელი და რამდენი კიდევ სხვა.....


ზოგი თქვენგანი ვითომ „მარქსის-ტები და მატერიალისტები“ იყავით, მაგრამ რა ცოტა იყო ამ დიდ იდეა-ლიზმი და წმიდა, უნაგარო თავგან-წირვაში „მატერიალისტური“; ეს იყო მხოლოდ ძველი და ხალასი „ქ-რთული შეფიცულობა“. ზოგი თქვე-ნგანი ხომ ღენერლები და პოლიკოვ-ნიკები იყვნენ, გიორგის ჯვრებით დამძიმებულნი, რუსულ ჯარში გაწ-რთვნილნი და მრავალჯერ დაჭრილ-ნი. მაგრამ რა იყო თქვენში რუსუ-ლი? რა გქონდათ თქვენს რაინდო-ბაში, თავდადებაში და მხნეობაში უცხო? თქვენ მხოლოდ დაწურული ქართული სული გვლობდათ და მი-სი „ორდენის კავალერი“ ბრძანდე-ბოლით...

საიდუმლოდ შეფიცვა თქვენს სა-ტრფო — სამშობლოზე სხვას ვის შეუნახავს ამდენ გაჭირებათა გრძელ ეკლიან გზაზე ისე სუფთად და მოუ-სყიდველად, ვით თქვენ; თქვენ სა-ქართველოს მუხის ძირებზე ამოყრი-ლნი... ბევრნი მოსულხართ სამ-შობლოს ალაშის ღირსებისათვის... ბევრი თქვენგანი წაიქცა, ბევრნი ისევ დგანან. მაგრამ ისინიც კი, რო-მელნიც წაიქცნენ, მაინც „სდგანან“ თავისი ნათელი აჩრდილით ძველ სა-დარაჯოზე.

აი, ეხლახან მოგვიტანეს ამბავი, რომ თქვენს წყებას ორი ძველი მუ-ხაც მოაკლდა: ჩვენი ძვირფასი ძია სვიმონ (წერეთელი) და ჩვენი უტე-ნი ზაქარია (ჩიჩუა) „წასულან“...

ჩვენ შიში გვაცურობს, რომ ძველი მუხები აუკავავთ და თქვენი რიგე-ბი შეთხლებულა: სამძიმარს მოგახ-სენებთ, მაგრამ თქვენ ისევ ძველე-ბურის სიამაყით დევხართ სადარა-ჯოზე, ისევ გამართული და ნათელი შუქით მოხილი მიბიჯებთ და ძველ სიბრძნეს გვასწავლით.

„მიდიან“... მაგრამ ნათელი კვა-ლი რჩებათ აქ, — იგი არ წაიშლება! გაივლის წლები; შეიძლება სულ



მოკლე ხანიც და ჩვენც მათ გავყვე-
ბით. არა უშავს! თქვენ ხომ აქ რჩე-
ბით სადარაჯოზე და არასდროს არ
დაიღლებით საქართველოზე ზრუნვით
და მისთვის გუშაგობით. ამ მუხის
ძირებზე ნორჩი ამონაყარი კვლავ
დავუკაცდებთ, ჩვენს ერს და მის
დროშას მოდარაჯენი არ გამოელე-
ვა, ის მას მხოლოდ გამოეცვლება...

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ასე ამ-
ბობთ, და კვლავ გვამხნევენთ და
ისიც ვიცით, რომ ეხლაც მართალნი
ხართ, როგორც მუდამ და ამიტომ
არც ჩვენ ვტყდებით და წარსულთ
გეტყვით:

„ძვირფასო ჩვენო ბატონო გიორ-
გი, ვახტანგ, კოკი, ლევან, დიმიტრი,
სვიმონ ზაქარია და ...

გვინდა გაუწყოთ, რომ არ გავტყ-
დით და ისევ მხნედა ვართ და მოყუ-
ვებით თქვენს შეურიგებელ, ნათელ
კვალს“.

და ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ეს
თქმა გეყოფათ გვირგვინად, საკურთ-
ხად და ქელეხად...

და როცა თქვენ, ჩვენი დაღლილი,
ძველებური მართალი საათები და-
დევით, გრწამდით სიმართლისა და
მოვალეობის ანდერძი მის ისრებს
ჩვენს გულზე უკვე დაღწერა.

წაბრძანდით იქ, სადაც „მართალ-
ნი“ განისვენებენ... გრწამდით —
თქვენს ნათელ საქმეს ჩვენ ფხიზლად
ვუდარაჯებთ. გრწამდით — საქარ-
თველოს არ გადავუდგებით...

დამშვიდებით ბრძანდებოდეთ და
იარეთ მანდაც მხნედ და გამართუ-
ლად...

გაგიმარჯოთ!

გ. ა. უტუხელი

**სათეატრო მენიკლოპედის
გამოცემის გამო**

ძვირფასო თანამემამულენო!
მაქვს პატივი გაცნობით, რომ
იტალიის საპრობაგანდო სამინისტ-
როს მიერ გადაწყვეტილია გამოი-
ცეს იტალ. დიდი ენციკლოპედია სა-
თეატრო ხელოვნების დარგისა. ამ ენ-
ციკლოპედიაში ქართულ განყოფი-
ლებას დაეთმო საქმარისი ადგილი.
ამ ფრიად საინტერესო წამოწყების
სათავეში სდგას პროფესორი სალვი-
ნი, რომლის პირადი მიწვევით და-
მეველა მივაწოდო მას სათანადო მა-
სალა ქართული თეატრის შესახებ.
საჭიროა უმთავრესად, ზოგრაფიები,
სურათებით ყველა დარგის სათეატ-
რო მოღვაწეთა: მსახიობთა, რეჟი-

სორთა, დრამატურგთა და კომპოზი-
ტორთა, რომელთაც ქართულ თეატ-
რთან და ოპერასთან კავშირი ჰქო-
ნიათ. გარდა ამისა საჭიროა, რო-
გორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ
პიესათა და მათ ავტორთა დასახელე-
ბა, მოკლე შინაარსით, როდის და
სად დაიბეჭდა ან დაიდგა თითოული
ნაწარმოები.

მივმართავ რა ყოველ ქართველს
ხსენებული ცნობით, ვთხოვ ყველას
საჭირო დახმარება გაამწიოს სათანა-
დო მასალის მოწოდებით ამ ქართუ-
ლი კულტურის ფრიად სასარგებლო
საქმეში.

ქართული სალამით

დავით საღირაშვილი

D. Sagiraschwili

Via Marcello Provenzale 11. ROMA

ბარათი

სან ფრანსისკოდან

„მამული“-ს რედაქციას

უმორჩილესად ვთხოვთ გადასცეთ
არგენტინაში მყოფ ქართველობას
ჩემი ძმური სალამი და დღესასწაულ-
თა მოლოცვა. ვისურვოთ, რომ უფა-
ლმა წყალობის თვალთ მოგვხედოს
შორეულ ქვეყნებში გარდმოხვეწილ,
განაწამებ ქართველობას; შევსთხო-
ვოთ მას — მოგვანიჭოს წყალობა
და გავგხადოს ღირსი ჩვენი მრავალ-
ტანჯული სამშობლოსი, ჩვენი დაუ-
ვიწყარი და მადლით ნაკურთხი მი-
წყალის ხილვისა...

ამასთან ერთად მინდა გაუწყოთ,
რომ მე ადგილობრივ ქართველთა
სახელით მივმართე სან - ფრანსის-
კოსში შეერთებული შტატებისა და
კანადის მართლმადიდებლური ეკ-
ლესიის უფროსს, მიტროპოლიტ ლე-
ონტის და ვთხოვე, რათა ჩვენი სი-
ამაყე, ქართველთა განმანათლებელი
წმიდა ნინო მოიხსენებოდეს წირვის
დროს. მიტროპოლიტი ჩვენს წინადა-
დებას დიდი ყურადღებით შეხვდა და
დააკმაყოფილა კიდევ. ბედნიერი
ვარ გაუწყოთ, რომ ეს მცირედი მი-
ღწევა მაინც მოხერხდა ჩვენს ემიგრ-
რანტულ პირობებში და ჩვენი მო-
ციქული და განმანათლებელი წმი-
და ნინო დღეიდან წირვის დროს იხ-
სენიება.

მამულიშვილური სალამით

თენგიზ დადეშკელიანი

ობლად შეთენილს უბედობით,
მოველინე ჩემს ტანჯულს, სტოლს,
ცხოვრებისგან განაწამებს...
ქვეყნის რისხვით აღშფოთებულს, —
ისე ვლელავ; ვით პონტოსი,
მომავალი პელესპონტით, —
ყველაფერი დამიჭუნა და
გული კვდება მწვავე ფიქრით.
ეს საწუთრო ცბიერია
და მავალი მღვრიე წყალი,
შენ რომ ეტრფი სატრფიალოს,
არის მხოლოდ წარმავალი!
სიყვარული ნუ გგონია
ვარდ-ყვავილით ანაბგერი,
რამდენს გული დაუკოდეს,
სიყვარულით ანაბგერი.
შენ რომ ეტრფი სატრფიალოს,
იგი არის გუშინდელი.
როს ქართლოსი მხეს შესტრფოდა;
ხელთ ეჭირა საკმეველი,
როს დიდება გაისმოდა
ზღვიდან ზღვამდე, კიდით კიდე;
მოვიგონოთ ვით სიხმარი: —
იქნებ ახდეს ერთხელ კიდევ!
მინდია ლაშაური

განმარტება

„მამული“-ს მესამე ნომერში მო-
თავსებული იყო წერილი ლონდონი-
დან, რომელიც ბ. არჩილ მეტრეველს
შეეხებოდა; ამის გამო ჩვენი კორეს-
პონდენტი მუენხენიდან შემდეგს გვა-
ცნობებს: — ბ. არჩილ მეტრეველს არ
ჩაუდენია არავითარი კვაჭობა ლონ-
დონში, ვინაიდან მას იქ საქართვე-
ლოს წარმომადგენელად თავი არ გა-
უყსალებია; მან ინახულა გენერალი
ანდერსის მხოლოდ როგორც პარი-
ზის ორგანიზაციის წარმომადგენელ-
მა; თუ პოლონურმა გახეთმა ბ-ნ არ-
ჩი მეტრეველს პროფესორი უწოდა,
არც ამით გამოიხატება მისი კვაჭო-
ბა, რადგან ბ. არჩილ მეტრეველი
მაუხენენის უნივერსიტეტში ქართუ-
ლი ენის ლექტორია, — და ჩვეულე-
ლებრივად ხომ მასწავლებელს პრო-
ფესორს ეძახიან!

გ.

უადგილობის გამო, სამწუხაროდ,
ბევრი მასალა გადაიღო —
რ. ინგილო — მამა ფილიპეს შესახებ
დრ. ვ. ციციშვილი — ოქრომჭედ-
ლობა და წმ. გიორგის ტაძარი იუ-
რიევო - პოლოცკში.
დონაური — დაგვიანებული თვით -
გამორკვევა.
პ. პარიზელი — მხილება.
მინდია ლაშაური — წერილი რედა-
ქციის მიმართ, დ. შალ-ლის მოგონ...

დავატება

აჯანყებათა მიმოხილვაში („მამულ-ლი“, რვეული მესამე) დასახელებულ-ლი მყავდნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის პარტიზანულ რაზმთა ხელმძღვანელები.

ბ. ვალიკო ჩუბინიძე, პარიზში, მა-ცნობებს, რომ გამოძრია ზემოიმე-რეთის სამხედრო ორგანიზაციისა და რაზმთა უფროსების დასახელება.

მიზნად არა მქონია აჯანყების ის-ტორიის დაწერა, და პარტიზანულ რაზმთა ხელმძღვანელნი მხოლოდ გა-კვრით მოვიხსენებ. ოღონდ ბ-ნ ვალი-კო ჩუბინიძის ცნობა თავის თავად ძნიშვნელოვანია და მას სიამოვნე-ბით ვათავსებ.

შორაპნის სამხედრო კომიტეტის თავჯდომარედ იყო ვარლამ კაპანაძე 1921 — 1924 წელთა განძავლო-ბაში; ხოლო სამხედრო კომისიაში იყვნენ: 1) გიორგი გურული, 2) ზა-ქარია ლურსმანიშვილი, 3) ვალიკო ჩუბინიძე, 4) გენო კაპანაძე, და ცენ-ტრალურ აღმასრულებელ კომიტეტ-თან დამაკავშირებელი გრიგოლ ფხა-ლაძე, ამას გარდა არსებობდა კიდევ დამხმარე კომიტეტი, რომლის წევ-რები იყვნენ: 1) დათკო საყვარე-ლიძე, 2) მანაველ კუპატაძე, 3) კლემ-ენტი კუტივაძე, 4) ალექსანდრე არა-ბიძე.

ზემოიმერეთში არსებობდა სამა-პარტიზანული რაზმი — 1) სვირში, ვარლამ კაპანაძის მეთაურობით, 2) საზანოში, გრიგოლ აბაშიძისა და ჟურ-იათიმოფელის ხელმძღვანელობით; მას დაემატა კიდევ ერთი რაზმი ბუ-კუჭი იშხნელის მეთაურობით ხოლო მესამე რაზმს უძღვებოდა მეთაურო-ბა შემდეგი შექმნილობით: 1) გო-გიტა აბდუშელიშვილი, 2) გრიგოლ წერეთელი, 3) აბესალომ გაფრინდა-შვილი, 4) კონსტანტინე ჩაჩახიძე და 5) ვალიკო ჩუბინიძე.

ამ ცნობის მოწოდებლისათვის ბ-ნ ვ. ჩუბინიძეს მადლობას მოვახსენ-ებთ.

ვ. ნ.

მოხსენება საქართველოსსა და რუსეთის შესახებ ბუენოსაირსში

7 ნოემბერს 1951 წ. არგენტინის ქართული საზოგადოების გამგეობამ გამართა მოხსენება რუსულ ენაზე: „საქართველო და რუსეთი“.

როგორც ვიცით, ამ ბოლო ხა-ნებში რუსული პრესა და საზოგა-დოება ბევრ ყალბ ცნობას ავრცე-

ლებს ეგრეთ წოდებულ „საქართვე-ლოს შეერთებაზე“ და რუსობას ერთხელ ათვისებული აზრი რუსულ იმპერიალისტურ ისტორიკოსებისა, საქართველოს „ნებაყოფლობით შე-ერთებაზე“ დღესაც არ დაუგდია.

დღეს, როდესაც ქართველობა თავ-ია უფლებების ცნობას მოითხოვს, საჭიროა რუსის ემიგრაციამ ნამდვი-ლი სურათი იხილოს იმისი, თუ რა მოტყუილებით და ძალადობით მოხ-და საქართველო სამეფოს გაუქმება და რა დიდი ბრძოლები გადაიტანა ჩვენმა ერმა სახელმწიფოს გადასარ-ჩენად რაშდენი აჯანყება და ეროვნ-ული აღშფოთება ჩააღრჩო და ჩა-ჰკლა რუსეთმა ამ 150 წლის მანძილ-ზე. ამ საკითხს არა მარტო რუსულ წრეებში სჭირდება გაშუქება, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ემიგრაც-იაში. — სწორედ ამ მიზნით იქმნა დანიშნული მოხსენება, რომელზე-დაც მოწვეული იყვნენ რუსულ ორ-განიზაციათა და რუსული პრესის წარმომადგენელთა გარდა, უკრაინ-ელთა, ლიტოველთა, ლატვიელთა, ესტონელების, მთაქლთა და სხვათა წარმომადგენელნი. — ქართული სა-ზოგადოების ასნელით კრებას მიესა-ღმა თავჯდომარე ბ-ნი ვ. ნოზაძე, რის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი აკაკი პაპავა:

ბ-ნი აკაკი პაპავას მოხსენება ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველ ნაწილში მოხსენებელი შეცნო ქარ-თელი ერის კულტურის გზებს და მის როლს ქრისტიანობისა და ჰუმან-იზმის განვითარებაში არა მარტო კავკასიაში, არამედ საერთოდ ახ-ლო აღმოსავლეთში. შემდეგ იგი გა-დადინ ბიზანტიის დაცემასა და მის-გან გამოწვეულ საქართველოს პო-ლიტიკური იზოლაციის ამბებზე, რა-საც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა რუსეთთან ურთიერთობის ძიება. ამ ურთიერთობის განვითარებას საქარ-თველო მიჰყავს 1783 წლის ხელშე-კრულებამდე, რაიც რუსეთმა სულ-მალე დაარღვია. ბ-ნი აკაკი პაპავა განსაკუთ. შეეხო რუსულ წყაროებს და პარალელურად მოგვცა მიუდგო-მელი ანალიზი ამ ორი სახელმწი-ფოს იურიდიული ურთიერთობისა. იგი დაწვრილებით შეჩერდა იმ დრა-მატულ ბრძოლაზე, რომელსაც სა-ქართველო წარმოუბდა დიდი იმპე-რიის წინააღმდეგ რუსულ „სახელ-მწიფო საბჭოში“, სადაც სამჯერ და-ისვა და გაიჩრა ეს საკითხი. აღნი-

შნა საქართველოს ძალად შეერთება და ამის მომდევნო აჯანყებათა მთე-ლი რიგი. და დაბოლოს შეეხო წი-თელი რუსეთის შემოსევა... მოხსენ-ებელი საზოგადოებამ ხანგრძლივი რაშით დააჯილდოვა და ამას შემ-დეგ დაიწყო მეტად საინტერესო და ჩვენს პირობებში იშვიათი კამათი.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო გამოსვლები უკრაინელთა სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენ-ლებისა, რომელთაც ერთხმად აღ-ნიშნეს მნიშვნელობა ასეთი მოხსე-ნებისა, რომელიც აცნობს და ურ-თიერთს აახლოებს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს. „უკრაინის საინ-ფორმაციო ინსტიტუტის“ წარმომა-დგენელმა ვიმოჟინსკიმ, უკრაინის ცენტრალურ რეპრეზენტაციის თავ-ჯდომარე ლევიციმ და მისმა მეო-რე რწმუნებულმა პროფ. ბანდურაძე აღნიშნეს ახლო ნათესავობა საქარ-თველოს ბრძოლებისა უკრაინის ამ-გვარსავე ბრძოლებთან რუსეთის წი-ნააღმდეგ. ამას შემდეგ ილაპარაკეს რუსთა წარმომადგენლებმა და ისინი განსაკუთრებით უკრაინელებს დაეს-ხნენ თავზე, ამან გამოიწვია სიტყ-ვიერი შეტაკება და გაჯავრებულმა მემარჯვენე რუსთა რწმუნებულმა ბ.სახნოვსკიმ კრება მიატოვა, მაგ-რამ დანარჩენი რუსები მას არ გაჰ-ყოლიან. ილაპარაკეს სხვებმაც; რო-მელთაც ბ-ნმა გოგი ნაკაშიძემ სათა-ნალო პასუხი გასცა. ვრცელი სიტყ-ვით გამოვიდა ყაზახთა კავშირებს თავჯდომარე ბ-ნი ხარლამოვი, ყო-ფილი რწმუნებული რუსეთის დრო-ებითი მთავრობისა 1917 წელს ამ-იერკავკასიაში. მან აღნიშნა, რომ დიდი ყურადღებით და გულის ტკი-ვილით ისმენდა ამ საინტერესო მო-ხსენებას და მადლობელია, რომ გა-ვიდა ახლა იმ ძალმომრეობის შესა-ნებ, რაც ძველ რუსეთს ჩაუდენია, მაგრამ მომავალში ეს აღარ უნდა იყოს და არც იქნება, ამიტომ ძველი უნდა დავივიწყოთ და ერთად და-ვირახვით სამხენელი მტრის, ბოლ-შეიკების წინააღმდეგ და მომავალ უკეთეს ურთიერთობაზე უნდა ვიზ-რუნოთ. მისმა სიტყვამ უკრაინელ-თა მკაცრი რეპლიკები გამოიწვია, მაგრამ კრების წესრიგი არ დარღვე-ულა. დაბოლოს, მომხსენებელ ბ-ნ აკაკი პაპავას დიდი მადლობა გადაუ-ხადეს და ეს საინტერესო კამათი და-სრულდა. ამ მოხსენებას რუსულ და უკრაინულ პრესაში სათანადო გამო-ხმაურება ჰქონდა.

შობის ხე და ქართული წარმოდგენა ბუნების აირებსში

29 დეკემბერს ქართულმა ახალ-შენმა მოაწყო შობისხე ქართველ ბავშვთა და მათი სტუმრებისათვის.

ცაღა ჯაფარიძის ასული და ბ-ნი მ. დიასამიძე შეუდგნენ ამ საქმეს, შეიძინეს მრავალგვარი საჩუქრები ბავშვთათვის. მორთეს შობის ხე და სახეგაბრწყინებულ პაწია სტუმრებს მიუხმეს ამ დღისათვის. ბავშვთა მშობლები და მსლებელი დიდი აღფრთოვანებით თვალყურს ადევნებდნენ პატარების ხეებს, ერთის წუთით მაინც გადადიოდნენ ოცნებით საყვარელ სამშობლოში, იგონებდნენ იქ გატარებულ სიყრმეს და ტკბილ ალილოს; ზოგი კიდევ თავის მიტოვებულ ბავშვებს იგონებდა. პაწიებმაც მართლაც დიდად შეუწყვეს ხელი ამ ილიუზიების შექმნას.

ბავშვები გამოდიოდნენ სცენაზე შობისხის წინ რაგრიგობით და გვატკბობდნენ ქართული სიმღერით, ლექსებითა და ვეკვით. ტურფა ჭეიშვილის პაწია ასული პუსი იყო კონფერანსიე და მონაწილეთ გვაცნობდა. ჯერ ტურფა, მზიამ და გულნარა ჭეიშვილებმა ერთად წაიკითხეს ლექსი: შობის ხეს ნაამბობი; ამას მოჰყვა სხვა და სხვა ლექსი, ზოგი ხალხურიც, რაც ჩინებულად სთქვა თვთულმა. შემდეგ ესპანურ ენაზე წაიკითხეს მშვენიერი ლექსები მარტინეის ასულმა (ჩვენი თანამემამულის დრ. არჩილ ხაჩიძის მეუღლის დისშვილებმა). ამას მოჰყვა პიანოზე დაკვრა დავარ ნაკაშიძისა ასულის მიერ; მანვე წაიკითხა მისივე ბაბუის ლექსი. ბოლოს ბ. ზურაბ ციციშვილმა დაუკრა ლექსური პიანოზე, ქნთამარ პაპავამ შემოჰკრა დაირას და გაიმართა პატარა გოგონების მოხდენილი ვეკვა. განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო პატარა ფუსი ჭეიშვილის, რომელიც ქართულ კაბაში იყო გამოწყობილი, შესრულებულმა ლეკურმა; მან ისეთი გრაციით და რიტმით ჩაატარა ეს ლეკური, რომ ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა. მისმა უნცროსმა დამ, მზიამაც კარგად შეასრულა ლეკური. ბოლოს, ცაღა ჯაფარიძის ასულმა ბავშვებს სათითაოდ გამოუძახა და მშვენიერ საჩუქრებით დააჯილდოვა...

ბავშვთა ხეიმის დასასრულს შესანიშნავად იცეკვეს ლეკური ცაღა

ჯაფარიძის ასულმა და ბ. გვი გელაშვილმა.

დამთავრდა საბავშვო ხეიმი და სათვისტომოს დამსწრეთ ახალი სურპრიზით გაუმასპინძლდნენ — იმ საღამოთი არგენტინაში პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა.

ადგილობრივ ძალთა სიმცირის მიუხედავად ეს პირველი ცდა მაინც ჩინებულად ჩატარდა და დამსწრენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ.

წარმოდგენილ იქმნა „ლუქანში“, ხეჩუაშვილისა, გადაკეთებული ბ. ა. პაპავას მიერ „სიცოცხლის წყაროდ“.

ლები ალტაცებაში მოიყვანეს და ტაშისცემა-ვაშა დიდხანს ისმოდა. არდავიწყოთ ჩინებული მოკარანაც ბ-ნი გიგა მრელაშვილი, მისი წარმოდგენის მოწყობას დიდხანს გი დასდო ბ. კარლო კვანტალიანმა.

შემდეგ განყოფილებაში იყო ქართული გუნდი ბ-ნ გ. გოგელაშვილის მან შეასრულა ჩვენთვის ახალი სიმღერებიც. ზოგი სიმღერა დამსწრეებმა გაამოიკრებინეს გუნდს და მას დიდი მადლობა მიუძღვნეს.

დასასრულ გაიმართა საერთო ნადიმი, ბ-ნ კარლო კვანტალიანის მი-



დეკორაციისათვის საგანგებო. მშვენიერი აბრა შეასრულა ჩვენმა მხატვარმა ბ-ნმა ლ. სააკაძემ. წარმოდგენა იყო მეტად კოლორიტული, ცოცხალი და ჰუმორით სავსე. „სიცოცხლის წყაროს“ პატრონის როლი მეტად ცოცხლად და მართლად მოხდენილად შეასრულა ბ-ნმა ვალიკო მაღლაკელიძემ ვარგები იყვნენ აგრეთვე მთიულის როლში გ. გოგელაშვილი, ოსის როლში — კარლო კვანტალიანი, გლეხისა — ვ. ბურდულაძე და მსახურისა — ხუტა ელიავა.

განსაკუთრებით ცოცხლად ჩატარდა სურათის მეორე ნახევარი, როდესაც ლუქანს ეწვივნენ სტუდენტები და გაიმართა ნადიმი, რასაკვირველია, საწყალი მედუქნის ხარჯზე.

ყველანი ისე მოხდენილად და კოხტად თამაშობდნენ, რომ მაყურებ-

ერ შეწირული შემწვარი გოჭის აუქციონით, რომელიც მხიარულობითა და კარგი შედეგებით ჩაატარა ბ. ლ. ჯაფარიძემ; მ. დიასამიძემ კი მოაწყო ლოტარეა, რომელმაც აგრეთვე კარგი შედეგები მოგვცა.

საღამო მოეწყო კრებული „მამულის“ სასარგებლოდ. დამსწრე.

5 იანვარს შესდგა ქართული საზოგადოების წლგური კრება ბუნოს აირებსში. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა შემდეგ არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა. საზოგადოების თავჯდომარედ ხელმოკრედ აირჩიეს ბ-ნი ვ. ნოზაძე და გამგეობის წევრებად — ბბ. დრ. არჩილ ხაჩიძე, მ. დიასამიძე, ა. გორგოშძე, გ. მრელაშვილი და დრ. ლ. ჭეიშვილი. სარევიზიო კომისიის შემადგენლობა ისევე ძველი დარჩა.

● საქართველოს ოკუპაციის წლის თავზე ბუენოსაირესში გამართა ქართული საზოგადოების სამგლოვიარო სხდომა. თავჯდომარე ბ-ნ ვ. ნოზაძის მოკლე სიტყვის შემდეგ, ბ-ნმა გ. მრელაშვილმა კრებას მოახსენა თავისი მოგონებანი კოჯორის ბრძოლათა შესახებ, რომელში მონაწილეობას ლებულობდა ვით იუნკერი.

მადლობის გამოცხადება

● ქართული საზოგადოების გამგეობა ბუენოსაირესში თავის ორპირ ბედლობას უჩხადობს თბილისი მოქალაქე ბ-ნ სვიმონ მატინიანს, რომელმაც გარდაცვალებულთა მკრავი კოჯორისა და იაკობ ტატიშვილის ხსოვნის აღსანიშნად. ქართველ ბაგშთა შობისხის მოსაწყობაჲ გამოცხადებას სამასი პესო შესწირა.

● გამგეობამ თავისი გულწრფელი მადლობა გამოუცხადა №35 მარგალიტა ლორთქიფანიძისას, რომელმაც მძიმედ დაჭრილი თ. ჭილაიას უკანასკელ ღლებში ქართველური იდელობა გაუწია და უკანასკნელი წითელი შუქმსუბუქა.

● გამგეობამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნ მუსხელის ოჯახს და ბ-ნ ბურდონის, რომელთაც გაუკვირებს რახმარება აღმოუჩინეს მოკოჟლი თ. ჭილაიას დასაფლავების საქმეში.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ასეთი იყო იმ წიგნაკის სათაურა, რომელიც ჩრდილო ამერიკაში გამოაქვეყნა ჩვენმა თანამემამულე გიორგი პაპაშვილმა და რომელმაც მტკად დიდი წარმატება მოიპოვა. ეს არის ამერიკაში მოხვედრილ ქართველი ემიგრანტის თავგადასავალი, ოღონდ ისე სხარტულად და ისეთი ხუმრობის კილოთი მოხდენილად დაწერილი. რომ მან ომის დასრულების ხანაში მართლად დაიპყრო ამერიკის საწიგნო ბაზარი.

ესლა, როგორც გვაცნობებს ჰოლივუდის სინმატოგრაფიული ტელოვენების გაზეთი — დიდი რაპორტერ, — დიდ საფილმო საზოგადოებას „პერლბერგ - სიტონ - პარამოუნტს“ ბ-ნ გ. პაპაშვილის ეს წიგნაკი გაუფილმებია და დაუდგამს. — ფილმი 105 წუთ გრძელდება.

როგორც აღნიშნული ვახეთი ვადმოგვიკმა, ფილმი წარმოადგენს შესანიშნავ კომედიას და ნამდვილ ხარხარს იწყევსო და დარწმუნებულია, მას დიდი გასავალი ექნება.

ჩვენთვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია და სასიხარულო, რომ ქართველის მიერ დაწერილი თავგადასავალი ფილმდაც იდგმება. ამ ფილმის დადგმაში მონაწილეობას ლებულობდა, ვით მრჩეველი, ჩვენ თანამემამულე ბ-ნი ლადო ბაბიშვილი. ეს ის ბაბიშვილია, რომელიც ამერიკულ ჯარში ჩაეწერა მოხალისედ, მაგრამ შემდეგ განთავისუფლებულ იქმნა კუჭის სნეულების გამო.

იმედი გვაქვს, ბ-ნი ბაბიშვილის მონაწილეობა ამ ფილმის დადგმაში ისეთი დადებითი იყო, რომ ქართულ სახეს დამახინჯება ასცდებოდა და რუსები რომ იტყვიან, „კლიუკვა“ არ გამოვიდოდა. ვნახოთ.

დ. ტ.

მოსედან ჰიტლერამდე

ასეთი არის სათაური იმ წიგნისა, რომელიც ფრანგულ ენაზე უენევაში ბ. ე. გრივეს გამომცემლობას დაუბეჭდავს. ამ წიგნის ავტორია ქართველი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ამ 30 წლის განმავლობაში საქართველოს სადარაჯოზე იდგა შვეიცარიაში და ქართულ საკითხს ერთა ლიგის წრეებში უწვლიდა, ხოლო თვით შვეიცარიაში კი საქართველოს დიდი ნაცნობობა მოუპოვა.

აღნიშნული წიგნი დაწერილია შვეიცარიის ფრანგული ენით, სხარტული თქმებითა და აზრთა მოკვეთილი წინადადებით და ეს აუცილებელიც იყო, ვინაიდან წიგნი აფორივაზმება შეიცავს. საერთოდ ძნელია თანისთან აფორიზმთა წიგნის კითხვა, ოღონდ ეს წიგნი იოლად იკითხება და მოსაწყენი არაა. პირიქით, დაუღალავი ინტერესით იკითხება.

ჩვენ აქ ვათავსებთ ქვემოთ, ერთ ნაწყვეტს, რომელიც წიგნის ხასიათზე მიუთითებს.

ხარიტონ შავიშვილი: —

კაცობრიობის ცივილიზაცია აბრეშუმის ჭიანჭველას; კვერცხიდან გამოსული ძლივს მოსჩანს სხეული ცხოვრებას იწყებს; იგი გრძელდება, ვითარდება და ხდება ჭიანჭველი; ერთი სანტიმეტრის სიგრძეს რომ მიაღწევს, იგი სნეულებს; იგი არ იმჩნევა და არაფერსა სჭამს: ესაა ზრდის კრიზისი: მისი კანი, თუმცა კარგად მოქნილი, როს გაფართოებას მიაღწევს, სკდება. ეს უეჭველად მტკიცეულია. და ამიტომ იგი მომკვდარუნებელია, სანამ ახალი კანი არ შეექმნება და არ გაუ-

ქელდება. მაშინ იწყებს იგი მოქმედ ცხოვრებას მეორე კრიზისამდე, და ეს მეორდება რამოდენჯერმე, სანამ იგი თუთის ფოთლებს მრავლად არ შთანთქმავს, — ეს მისი ერთადერთი საკვებია, — და არ გადააქცევს მას აბრეშუმად. — ესაა მისი დანიშნულება: ჩაიმწყვდეს პარკში და მოკვდეს. შემდეგ მოდის რამოდენიმე სანტიმეტრის სიგრძისა და ორი სანტიმეტრი დიამეტრის მშვენიერი პარკი აბრეშუმისა. 15 დღის დასასრულს, პარკს ხვრეტავს და გამოდის პატარა პებელა „გვამისაგან“ და ცხოვრებას იწყებს. გახდება დიდი და მძიმე, სიღებს მრავალ კვერცხს და კვდება. შემდეგ წელიწადს ამ კვერცხებიდან გამოდიან მრავალი ჭიანჭველი...

ამგვარადვე, ცივილიზაცია, მოსული არარაობიდან, დამკვიდრებულ ერთ პატარა მხარეში, ბუნების კანონთა სიმკაცრეს განიცდის: — დაბდება, ზრდა, მოხუცება, სანამ სიკვდილი კარზე არ დააკაკუნებს. მან აგრეთვე რამოდენიმე კრიზისი ზრდის განიცადა, სანამ, გაქრობამდე, ასდგებოდა, რათა თავისი მოქმედების არე გაეფართოებინა, მხარედას მხარემდე, ქვეყანიდან ქვეყანამდე, რამეთუ მერმე მთელი მსოფლიო მოეცვა. დაბადებული სიკვდილისათვის და გარდაცვალებული დასაბადებულად, — ასეთი არის ცივილიზაციის ხედი, რომლის დანიშნულებაც განეგრძოს ყოველთვის უფრო მეტად, თავისი მარადიული განახლებით.

„მამული“-ს მადლობა

კრებულისა „მამული“ გამომცემლობა უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც კეთილ ინებებს და სათანადო თანხის შემოწირვით შესაძლებელი გახადეს მისი გამოცემა —

პესო	500
ზურაბ ჩხოტუა	300
ალ. პაპუაშვილი	150
თენგიზ ქართველიშვილი	125
ვახტანგ აბაშიძე	125
შალვა ცინცაძე	125
გ. გუგული	100
ტარასი შანავა	100
არკადი გორგოშიძე	100
ა. პ.	75
მანი	50
დ. ანანიაშვილი	50
მ. დიასამიძე	50
ა. ხაჩიძე	50
ჯონდო ჩომახიძე	50



საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა 26 მაისს 1918 წელს. ქართველი ხალხის ეს გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, რომელიც არეჩული იყო საქართველოს ყველა მოქალაქეთაგან, განურჩევლად ეროვნული წარმოშობისა, სოციალური მდგომარეობისა, სარწმუნოებისა, სქესისა და პოლიტიკური რწმენისა. მან მიიღო ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკის.

ატლანტიკისა, რომ ქართველ ერს ამ აქტით არ დაუწყია ახალი ნაციონალური ცხოვრება, მან ამით მხოლოდ აღადგინა თავის 2.000 წელზე მეტი ხნის დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში შეწყვეტილ იქნა იმპერატორთა რუსეთისაგან. ამ უკანასკნელმა ცალმხრივი აქტით გააუქმა ხელშეკრულება დადებული 1783 წელს საქართველოსთან და მისი სრული ანექსია მოახდინა, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და მრავალი აჯანყებები ქართველი ხალხის.

მოსკოვის ხელისუფლებამ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო თითქმის იმავე დროს, როცა ცნობილ იქნა დამოუკიდებლობა პოლონეთის, ფინლანდიის და ბალტიის რესპუბლიკების: ესტონეთის, ლატვიის და ლიტივის.

1920 წლის 7 მაისს დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა პირობა მისცა საქართველოს მისი დამოუკიდებლობის და საზღვრების ხელშეუხებლობის. ამავე დროს საქართველო ცნობილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, — („ალიების“ უმღლესი საბჭო), გერმანიის, ოსმალეთის, არგენტინის და სხვა სახელმწიფოთაგან. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობას და მათ შორის საბჭოთა რუსეთს სათანადო წარმომადგენლობა ყავდა საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს მათთან და ამ რიგად ნორმალური ურთიერთობა იყო დამყარებული მათ შორის.

დიდი ომის შემდეგ დაწყებულ ეროვნულ ამშენებლობის ხანაში ბევრი დაბრკოლებები შეხვდა საქართველოს, რაც მან შესანიშნავი წარ-

მატებით დასძლია. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ქონდა წერილობითი კონსტიტუცია, შემუშავებული დამფუძნებელი კრებისაგან; ამ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო სრული პოლიტიკური თავისუფლება და ავტონომის და მოქალაქის ყველა ის უფლებები, რაც წინეთ დიდი რევოლუციისაგან იყო აღიარებული და ჩვენს დროში ერთა კავშირისაგან არიან დადასტურებული.

ადგილობრივი ადმინისტრაცია სარგებლობდა ფართო ავტონომიით ადგილობრივ საქმეებში. ეროვნულ უმცირესობათ სრული უფლებები თანასწორობა ქონდათ კონსტიტუციით მინიჭებული პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში და საერთოდ ყველა მცხოვრებთათვის შექმნილი იყო პირობები სოციალუგანვითარებისა და გზა გახსნილი ფართო სოციალური კანონმდებლობის შემოსაღებად.

მიუხედავად ამისა, 1921 წელს, ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკების გარეშე, ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა რუსეთი შემოესია თავის ჯარებით და ექვსი კვირის სასტიკი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი. (ეს იყო მეორე შემოსევა ერთი საუკუნის განმავლობაში).

საქართველოს ლეგალურმა მთავრობამ დასტოვა ქვეყანა თანახმად დამფუძნებელი კრების დადგენილებისა, რათა განეგრძო საქართველოს საქმის დაცვა უცხოეთში განათლებული კაცობრიობის წინაშე.

ეს შემოსევა საქართველოზე იყო პირველი საჯარო აქტი საბჭოთა ძალმომრეობის, რომელსაც მოყვა ამ უკანასკნელ ხანებში ასეთივე ბედი პოლონეთის, ფინლანდიის, ბალტიის სახელმწიფოების და ცენტრალური ევროპის.

ღაიწყო ხელ-ახალი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ქართველი ხალხი არასოდეს დამორჩილება შემოსეულთა ხელისუფლებას; ის წინაღობას უწყევდა მას საჯარო კრებებზე პროტესტებით, ქუჩაში დემონსტრაციების მოწყობით, შემდეგ შეიარაღებული აჯანყებებით, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო აჯანყება 1924 წელს, აგვისტოში, რასაც მოჰყვა საშინელი ტერორი, სისხლისღვრა და გადასახლება ათი-ათასობით ქართველი ხალხისა.

ამ ყამად საქართველო განიციდის

რუსიფიკაციის ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას, როგორც ცარიზმის დროს, თვით უძლიერეს კოლონიზაციის ხანაშიაც არ მოსწრებია. ეს აშკარა და საჯარო აქტი პატარა საქართველოზე ძალმომრეობისა დაგმობილ იქნა მთელი განათლებული კაცობრიობის აზრის მიერ: საჯარო კრებებზე, ინტერნაციონალურ კონგრესებზე, პარლამენტების სესიონებზე, თავისუფალ პრესაში და სხ.

შამრავ რეზოლუციებს შორის, რომელნიც საქართველოს დასაცვლათ იქნენ გამოტანილი, ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმეს, ყველაზე დამახასიათებელთ:

1. მშვიდობიანობის მსოფლიო კონგრესისა

მე-31-ე მსოფლიო კონგრესი მშვიდობიანობის იღებს რა მხედველობაში, რომ ს. ს. რ. კ. მიღებულ იქნა ერთა ლიგაში იმ პირობით, რომელიც ლოკარნოს კონგრესზე იყო გათვალისწინებული; იღებს რა მხედველობაში, რომ ერთა ლიგა დაფუძნებულია განსაკუთრებით ერთა უფლებებზე თვით განაგოს თავის ბედს; რომ ეს პრინციპი უძევს საფუძვლად კონსტიტუციას ს. ს. რ. კავშირისა, რომელმაც 1920 წ. 7 მაისს, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებით იცნო ურუხერვოთ დამოუკიდებლობა და სუვერენობა საქართველოს სახელმწიფოსა; იღებს რა მხედველობაში, რომ ამ ხელშეკრულების დარღვევით და ამ პრინციპის წინააღმდეგ აქვს დაკავებული დღეს საქართველო ს. ს. რ. კავშირს; ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მშვიდობიანობის დაცვა, რაც არსებითი მიზანია ერთა ლიგისა, შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულებათა და საერთაშორისო სამართლიანობის პატივისცემის დაცვით; მოაგონებს რა თავის წინანდელ რეზოლუციებს, დაბეჯითებით სთხოვს ერთა ლიგას მიიღოს სათანადო ზომები ხალხთა უფლებების საწინააღმდეგო მდგომარეობისათვის ბოლოს მოსაღებათ და ამ მიზნით მოუწოდოს ს. ს. რ. კავშირს, რათა მან დაუბრუნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უფლებები, რომელიც მას აქვს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს“ (იენისი 1936 წ. კარდიფი, ინგლისში)

2. სოციალისტურ ინტერნაციონალის

თავის მანიფესტში, რომელიც 1924 წელს იყო გამოქვეყნებული, მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი ამბობს: — „60 წელიწადია, რაც სიმბოლოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებებსა ითვლებოდა მოთხოვნა პოლონეთის დამოუკიდებლობის, დღეს ჩვენ ინტერნაციონალის ამ პრინციპის თანახმად მოვითხოვთ უფლება მიეცეს საქართველოს, — სიმბოლოს იძულებითი რეჟიმის ქვეშ მყოფ ხალხისა, — თვით განავოს თავისი ბედი“.

მ. ერთა ლიგისაგან

1922 წელს, ერთა ლიგის მესამე საერთო კრებაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ერთა ლიგის საერთო კრება, იღებს რა მხედველობაში საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს საბჭოს თვალ - ყური ადევნოს მსოფლიოს ამ ნაწილის ამბებს, რათა ხელი ჩასჭიდოს შესაფერ შემხვევას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისთვის, რომ მშვიდობიან და ინტერნაციონალურ უფლებებთან შეთანხმებულ საშუალებებით დაუბრუნოს ამ ქვეყანას ნორმალური მდგომარეობა“.

მეხუთე საერთო კრებამ ერთა ლიგისა 1924 წელს განმეორებით და ერთსულოვნად დაადასტურა ეგივე რეზოლუცია.

ქართველი ხალხი ახლაც იმავე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ განაგრძობს ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიული დაწესებულებებისათვის, თავისუფალი და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის.

ამ ერის სახელით, რომელმაც ათეულობეულობა განმავლობაში შეინახა თავისი ცივილიზაცია, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა და დღესაც გააფორმებინა იბრძვის იმავე მიზნებისათვის, ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მივაქციოთ თავისუფალ ერთა და მათი მსოფლიო ორგანიზაციის ყურადღება მის დღევანდელ მდგომარეობაზე.

ქართველი ერი დარწმუნებულია, რომ ერთა კავშირის ორგანიზაცია, რომელიც უძღვის კავშირობის მისწრაფებებს მშვიდობიანობისადმი, იბრძვის ადამიანის და ყველა ერის, დიდისა და მცირის, ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის, სამართლიანობისა და ხელშეკრულება-

თა თუ სხვა საერთაშორისო წყაროთაგან გამომდინარე ვალდებულებათა“ აღსრულებისათვის, ხელიდან არ გაუშვებს, როგორც ერთა ლიგა ავალდებდა თავის დროზე თავის საბჭოს — ხელსაყრელ შემთხვევას, რომელიც გამოადგება აღსადგენათ საქართველოს ურყევი უფლებებისა: მი-

სი პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ეროვნული სუვერენობის.

საქართველოს ეროვნული მოთხოვნა გარდახვეწილობაში:

თავდღომარე — ნ. შორდანიას ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მონდობილობით: — დ. სხირტლაძე



საქართველოს მათალიკოს პატრიარქი, ყოვლად უწმიდესი კალისტრატე

1952 წლის სამ თებერვალს თბილისში გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი, ყოვლად უწმიდესი კალისტრატე (ცინცაძე). იგი დაიბადა სამტრედიისში 1866 წელს და 1893 წელს იგი აკურთხეს მღვდლად და მსახურებდა ჯერ დიდუბისა და შემდეგ ქვაშეთის ეკლესიაში, თბილისში, სადაც მასწავლებლობდა და ქართულ გამოცემებში მსურვალე მონაწილეობას იღებდა. იგი იყო საქართველოს ეკლესიის უფლებათა მსურვალი და მცველი; ამასთან ერთად იგი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იყო. ამ ნიადაგზე რუსულ ეკლესიასთან ბრძოლა ისე განმწვავდა, რომ 1908 წ. რუსი ეგზარხოსი თბილისში მოჰკლეს. ქართულმა სამღვდელეობამ არა ერთჯერ სცადა თავისუფლების მოპოვება, მაგრამ უშედეგოდ. და მხოლოდ რე-

ვოლუციის დროს, 1917 წ. 12 მარტს გამოცხადებული იქმნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მას შემდეგ რაც კალისტრატეს, კირიონის და ამბროსის თხოვნამ პეტერბურგში არ გასჭრა. 1917 წ. ოქტომბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო ყრილობამ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა დაადასტურა და საქათალიკოსო ტახტზე კირიონი დასვა. ყველა ამ ბრძოლაში კალისტრატე პირველ მოქმედთაგანი იყო. შემდეგ ბოლშევიკებმა იგი დაიჭირეს და გაასამართლეს, მაგრამ 1925 წ. საქათალიკოსო საბჭომ კალისტრატე ეპისკოპოსად აირჩია და 1932 წ. საეკლესიო ყრილობამ საქართველოს კათალიკოსად. 1943 წ. კალისტრატემ თავის მიზანს მიღწია: საქართველოს ეკლესიას მან დამოუკიდებლობა მოუპოვა.